საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №272 (2972) ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ - 45 თეთრი.

რეზონანსი

19 ოქტომბერს ვაი რივერში (მერილენდის შტატი), სადაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ხელმძღვანელობით ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკება მიმდინარეობს და რომელზეც ხაზგასმით დაიგმო ტერორიზმი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გააკეთა სპეციალური განცხადება საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

თეთრი სახლი
პრეზიდენტის პრესსამსახური,
(ვაი რივერი, მერილენდი)
1998 წლის 19 ოქტომბერი

პრეზიდენტის განცხადება

მე დიდად შემაშფოთა ინფორმაციამ ძალადობის შესახებ საქართველოს დასავლეთ ნაწილში, სადაც დღეს მძიმე ტექნიკით შეიარაღებულმა ოპოზიციურმა ძალებმა აიყვანეს მძევლები და შეებრძოლნენ მთავრობის ჯარებს.

შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას, რომელსაც პრეზიდენტი შევარდნაძე ხელმძღვანელობს, ისევე, როგორც საქართველოს სტაბილურობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ჩვენ გვახარებს ის ფაქტი, რომ ოპოზიციურმა ძალებმა დღეს მოგვიანებით გადაწყვიტეს მძევლების გათავისუფლება და მოვუწოდებთ მათ, მოაგვარონ თავიანთი უთანხმოება მთავრობასთან მშვიდობიანი, დემოკრატიული საშუალებებით და არა შეიარაღებული დაპირისპირებით.

პრესკონფერენცია

საქართველომ დაადასტურა, რომ მას საკუთარი ძალებითა და შესაძლებლობებით არა მარტო ახალი საზოგადოების, ახალი დემოკრატიის მშენებლობა შეუძლია, არამედ მონაპოვრის დაცვაც

1998 წლის 19 ოქტომბერი, ღამის ორი საათი — დღე ღალატისა, მუხანათობისა, სიტყვის გატეხვისა, უმადურობის კულმინაციისა. დღე ქართველთა კიდევ ერთი ტკივილიანი განსაცდელისა და გონივრული განჭვრეტისა, საქართველოს სიცოცხლის, ბრძოლისუნარიანობის გამოცდისა და გამძლეობისა.

1998 წლის 19 ოქტომბერი — თარიღი, რომელსაც უსათუოდ განსაკუთრებული ფანქრით აღნიშნავს ჟამთააღმწერელი თავის დიდ წიგნში თხრობის დაწყებისას. მისი საქმეა, რა იქნება პირველი ფრაზა. მე საქართველოს პრეზიდენტის იმ სიტყვით დავიწყებ, არა მარტო ჩვენი ქვეყნის, მსოფლიოს გასაგონად რომ თქვა ჟურნალისტებთან შეხვედრისას გუშინდელ პრესკონფერენციაზე:

— ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მხარდაჭერით წამოწყებული პოლიტიკანთა ავანტიურა ლიკვიდირებულია, დამთავრდა. საქართველომ დაადასტურა, რომ მას საკუთარი ძალებითა და შესაძლებლობებით არა მარტო ახალი საზოგადოების, ახალი დემოკრატიის მშენებლობა შეუძლია, არამედ მონაპოვრის დაცვაც, იგი საქმის ცოდნითა და მაღალ პროფესიულ დონეზე განხორციელებულს უწოდებს ჩვენი ქვეყნისათვის ამ მეტად პასუხსაგებ, ავანტიურის სალიკვიდაციო ღონისძიებას, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ხელმძღვანელობდა და განსაკუთრებულად გამოყოფს მინისტრის მხარში მდგარ კოლეგებს, უწინარეს ყოვლისა, შინაგან ჯარებს, შინაგან საქმეთა მინისტრს, მოლაპარაკებებში მონაწილე სახელმწიფო უშიშროების მინისტრს, სხვა უწყებათა წარმომადგენლებს, დასავლეთ საქართველოს რეგიონების ხელმძღვანელებს...

აღნიშნავს იმ სიდინჯეს, სიმშვიდესა და აბსოლუტურ მხარდაჭერას ხელისუფლებისადმი, რომელიც გამოამჟღავნეს ქუთაისელებმა, სენაკელებმა (იმის მიუხედავად, რომ მოვლენის ეპიცენტრი სწორედ სენაკი იყო), ფოთელებმა, ზუგდიდელებმა, დედაქალაქის მოქალაქეებმა, სხვებმა და სხვებმა.

დიდად აფასებს აჭარის ხელმძღვანელობის, ბატონ ასლან აბაშიძის მხარდაჭერას: როცა იძულებული ვიყავით დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი შეგვექმნა ფოთისა და ბათუმისთვის, სწორედ ფოთის მისადგომების ყველაზე რთულ მონაკვეთს თავდაცვის სამინისტროს ბათუმის ბრიგადის ორი ასეული იცავდა, — აღნიშნავს იგი.

იმ მწარე დღეს ხელისუფლებას სალად მოაზროვნე საქართველო უჭერდა მხარს. მადლობა უფალს, ეს თითქმის მთელი ქვეყანაა.

რაც 1998 წლის 19 ოქტომბრის ღამით მოხდა, საზოგადოების უმეტესობამ დილით შეიტყო. საქართველოს პრეზიდენტმა კი, ავანტიურის დაწყებიდან ორი საათის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებისა და

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1998 წლის 18 ოქტომბერი ქ. თბილისი

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის მსახიობთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ახალგაზრდობის მაღალმოქალაქეობრივი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის მსახიობები:

რევაზ თავართქილაძე – საქართველოს სახალხო არტისტი;
ვალერიან მაზმიშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი;
ვლადიმერ მექვაბიშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1998 წლის 18 ოქტომბერი ქ. თბილისი

ი. გოგოლაურის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

დუშეთის რაიონის სასწავლო დაწესებულებების მუშაობასა და სამუზეუმო საქმიანობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და სამეცნიერო მუშაობისათვის მცხეთა-მთიანეთის მწერალთა რეგიონული ორგანიზაციის სალიტერატურო ალმანახ „პირიმზის“ მთავარი რედაქტორი **ირაკლი გოგოლაური** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

კანონმდებლები

მეამბოხეთა ილუზიები არ გამართლდა

გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. პარლამენტის თავმჯდომარისათვის ცნობილი გახდა, რომ აკაკი ელიავას რაზმის შემორჩენილ წევრთაგან 15 კაცი – ამბოხების მოთავენი, დილის ოთხ საათზე ტყეში დაბანაკდნენ. მეორე მოსაზრების მიხედვით, ისინი გალის რაიონის ტერიტორიაზე გადავიდნენ და სხვა ჯგუფს შეუერთდნენ. ზურაბ ჟვანიას განმარტებით, არასწორია იმის მტკიცება, რომ მეამბოხეებს სენაკის მთელმა ბრიგადამ დაუჭირა მხარი. ბევრი ჯარისკაცი სამხედრო ფიცის ერთგული დარჩა. ზურაბ ჟვანიას შეფასებით, სატანკო ბრიგადაში მაღალი რანგის ოფიცრების მხრიდან აშკარა ღალატს

იხ. მე-2 გვ.

არნოლდ ჩიქობავა – 100



კავკასიაში ახლა ის დრო დადგა, როცა მშვიდობა უნდა დავამყაროთ, მშვიდობა უნდა დავამკვიდროთ

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე

1998 წლის 20 ოქტომბერი

ბატონებო,

ნება მიბოძეთ, მოგესალმოთ დიდი ქართველი მეცნიერის არნოლდ ჩიქობავას დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მონაწილეებს, მივესალმო არნოლდ ჩიქობავას მოსწავლეებს, მივესალმო ყოველ თქვენგანს, მათ შორის, არაკავკასიელ კავკასიელებს, რომელნიც აქ ღირსეულად წარმოადგენთ თქვენი ქვეყნების სამეცნიერო და საზოგადოებრივ აზრს.

რამდენიმე თვის წინათ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დიდი ქართველი ენათმეცნიერის არნოლდ ჩიქობავას დაბადების დღესთან დაკავშირებით, მე მცირე წერილი გამოვაქვეყნე, სადაც შევეცადე ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩვენი დროის ამ დიდ პიროვნებაზე.

ახლა ეს წერილი დაიბეჭდა რუსულად „სვობოდნაია გრუზიაში“ და ქართულად „ლიტერატურულ საქართველოში“, ასე რომ, ჩემი სათქმელი, ფაქტობრივად, უკვე ვთქვი, მაგრამ რაკიღა დღეს, ამ დარბაზში თავი მოიყარეს არნოლდ ჩიქობავას მოწაფეებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ცნობილმა მეცნიერებმა, გონიერმა და მშვიდობისმოყვარე ხალხმა, მე არ შემიძლია არ მივესალმო მათ და რამდენიმე კითხვა არ დავუსვა მათაც და საკუთარ თავსაც, მთელ ჩვენს საზოგადოებას.

იხ. მე-3 გვ.

ნავთობმოპოვება

კარჩაკეტილობა სიღატაკეა, ურთიერთთანამშრომლობა – სიმდიდრე

საოცრებათა ჯაჭვს კიდევ ერთი რგოლი მიემატა. ამას წინათ წინანდალში — ვაზისა და ღვინის აღიარებულ საუფლოში — საბჭოდ და სათათბიროდ შეიკრიბნენ არა სახელგანთქმული კახელი მეღვინეები და მევენახეები, არამედ მენავთობეები; თანაც არა „წმინდა სისხლის“ კახელები, არამედ მათთან „შერეული“ ინგლისელი, კანადელი, ამერიკელი პარტნიორები, აქ ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრისას უცხოელმა ინვესტორებმა პირველად „გასცეს“ დიდხანს ნათმენი საიდუმლო – საქართველო არის ის ქვეყანა, რომელსაც 600 მილიონი ტონა ნავთობის მარაგი და უაღრესად მიმზიდველი მომავალი აქვს.

შეხვედრა წინანდალში.

იხ. მე-2 გვ.

პერსპექტივა

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნავთობკომპანიებისათვის მიცემული გარანტიები ძალაშია

19 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში მომხდარი მოვლენები ხელისუფლებისა და მოსახლეობის მიერ უკვე არაორაზროვნად შეფასდა, როგორც ქვეყანაში ქაოსისა და დესტაბილიზაციის დამკვიდრების, დემოკრატიული განვითარების შეფერხებისა და ევრაზიის დერეფნისა და ნავთობსადენების განვითარებასთან დაკავშირებული პერსპექტიული პროექტების რეალიზაციის ჩაშლისაკენ მიმართული მცდელობა. ამავე შეხედულებას იზიარებენ მრავალი ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციისა და კომპანიის ხელმძღვანელები, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს მიერ აღებულ პოლიტიკურ კურსს, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, ეკონომიკურ რეფორმებსა და საერთაშორისო პროექტების განხორციელებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს მილსადენის კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის, რეზიდენტ-მენეჯერის დენის სტიუარტისა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის გიორგი ჭანტურიას ერთობლივი მიმართვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისადმი, რომელშიც დადასტურებულია დიდი თანადგომა და მხარდაჭერა იმ პოლიტიკური კურსისა და ეკონომიკური რეფორმებისადმი, რომლებიც ქვეყანაში ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით ხორციელდება.

იხ. მე-2 გვ.

ფინალი

მძიმე ტექნიკის ყველა ერთეული და ჯარისკაცები სენაკის სამხედრო ბრიგადაში დაბრუნდნენ, ელიავა, მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად, მიიმალა.

საქართველოს მოსახლეობა უკვე ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ 1998 წლის 19 ოქტომბერს, 17 საათზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა, რომელთაც უშუალოდ თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ხელმძღვანელობდა, ქუთაისის მისადგომებთან გზა გადაუღობეს ელიავას შეიარაღებულ დაჯგუფებას და კიდევ ერთხელ წაუყენეს მათ კატეგორიული მოთხოვნა დაბრუნებულიყვნენ დისლოკაციის ადგილებში.

1998 წლის 20 ოქტომბრის ღამის 3 საათისათვის მძიმე ტექნიკის ყველა ერთეული და ჯარისკაცები სენაკის სამხედრო ბრიგადაში დაბრუნდნენ.

ამჟამად ბრიგადაში ყველა ჯარისკაცი, მათზე რიცხული ტაბელური იარაღით, ადგილზეა, სენაკის ბრიგადას მთლიანად აკონტროლებს თავდაცვის სამინისტრო.

ელიავა, მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად, მიიმალა, ხორციელდება ღონისძიება ჯგუფის ლოკალიზაციისათვის.

როგორც სენაკში, ასევე, მთლიანად დასავლეთ საქართველოში სიმშვიდეა, იმერეთისა და სამეგრელოს მხარეში სიტუაციას სრულად აკონტროლებენ სამხარეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური – საქინფორმი.

ინფორმაცია

ფოთის ნავსადგური ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს

19 ოქტომბერს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, თითქოს ფოთის ნავსადგური დაიკეტა და გემთა მიმოსვლა შეწყდა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შესაბამება.

19 ოქტომბერს ფოთის ნავსადგურში შემოვიდა სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის რუსეთის) 5 გემი, 3 გავიდა.

ნავსადგური ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას, რომლის უსაფრთხოებასაც საზღვრის დაცვის დეპარტამენტი და შინაგანი ჯარი უზრუნველყოფს.

ნორბერტ ბაასი გერმანიაში ბრუნდება

20 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ნორბერტ ბაასი, საქართველოში მისი მოღვაწეობის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით.

ბატონ ნორბერტ ბაასის საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის თანამდებობაზე მუშაობის წლებში საქართველოსა და გერმანიას შორის ტრადიციულმა მეგობრულმა ურთიერთობამ მეტი დინამიზმი შეიძინა.

გერმანია, როგორც გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრი, ასევე უაღრესად პოზიტიურ როლს ასრულებს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა ბატონ ნორბერტ ბაასს დიდი ღვაწლისათვის და შემდგომი წარმატებები უსურვა მას.

რათა დაიფარონ დავალიანებები

საქართველოს მრეწველთა კავშირმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც გმობს დესტრუქციული ძალების მიერ ინსპირირებულ სამხედრო ამბოხებას.

საქართველოს მრეწველთა კავშირმა მოუწოდა ყველა მრეწველს და ბიზნესმენს, გაითვალისწინონ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობა და უმოკლეს ვადაში დაფარონ ბიუჯეტის დავალიანებები, არ დაუშვან ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადამალვა, ხოლო ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს, მოახდინოს ბიუჯეტთან წონსწორებითი ურთიერთობა.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

უკანასკნელ საათს

გუშინ მოსკოვში ჩაიყვანეს ჩეჩნეთში ტყვეობიდან განთავისუფლებული 14 რუსი სამხედრო მოსამსახურე. წუხელ, გვიან ღამით, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი სერგეი სტეპაშინი შეხვდა დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურის მაღალჩინოსანს. იმსჯელეს 3 დატყვევებული ბრიტანელის განთავისუფლების ღონისძიებებზე.

რუსეთის პრემიერმა ევგენი პრიმაკოვმა პრეზიდენტ ელცინისგან ცოტა ხნის წინათ შერისხული სერგეი შახრაი გუშინ თავის მრჩევლად დანიშნა პრეზიდენტთანვე შეთანხმებით.

გუშინ მოსკოვში მოკლეს ცნობილი ნავთობბიზნესმენი ალექსანდრე ბერტლანდი, რომელიც ბიზნესს კურსკში ამ მხარის გუბერნატორის ალექსანდრე რუცკოის ვაჟთან ერთად ეწეოდა. სკანდალი გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ მათ ფირმას 47 მილიარდი რუბლი კრედიტი სწორედ ბერტლანდის რეკომენდაციით მისცეს.

სახელდახელოდ

მგელს უთხრეს – ცხვარში უნდა გაგგზავნოთ, შენი შვილი – კრავშიო. აქაც მე წავალ და იქაცო

ნუთუ მართლა ეგონა აჯანყებულ პოლკოვნიკ ელიავას, რომ შეძლებდა თბილისის აღებას?

მართლა ასე ბნელში იჯდა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა დღევანდელ ქართულ არმიაზე, რომელიც უკვე ანგარიშგასაწევი ძალაა?

იხ. მე-3 გვ.

გვიპასუხებენ

საქმიანი რეაქცია

უპირველეს ყოვლისა, მადლობას გიხდით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1998 წლის 26 სექტემბრის 248 ნომერში გამოქვეყნებული მასალებისათვის, რომლებიც მცხეთა-მთიანეთის მხარის ერთ-ერთი რაიონის, ახალგორის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ეხება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ასეთი ურთიერთთანამშრომლობა აუცილებლად სასიკეთო შედეგს გამოიღებს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ამასთან ერთად, გაცნობებთ, რომ თქვენს გაზეთში წამოწეული პრობლემები და საკითხები, სამხარეო ადმინისტრაციამ და ახალგორის რაიონის გამგეობამ სპეციალური განსჯის საგნად აქცია, ჩვენივე ინიციატივით, მათი გადაჭრისათვის ჩაბმულია საქართველოს პარლამენტი, რიგი სამინისტროები და უწყებები.

პატივისცემით,
კობა ბუჩუკური,
სახელმწიფო რწმუნებული.

ენერგეტიკა

გადაახდევინეს 3075 ლარი

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის ქუთაისის რეგიონული სამმართველოს მუშაკების მიერ ჩატარებული შემოწმების დროს 26 ობიექტიდან 12-ში უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების უხეში დარღვევები გამოვლინდა.

ქსელზე უნებართვოდ იყვნენ მიერთებული ბენზინგასამართი სადგურები „ხვამლი-94“ და „მანსითილი“, ხოლო ოთხ ობიექტს, მათ შორის გუმათის წყალსადენს დენის დატაცების ფაქტზე წაასწრეს.

დებიტორული დავალიანების მქონე ექვს ობიექტს, 69636 ლარის გადაუხდელობის გამო, დენის მიწოდება შეუწყდა.

აღნიშნული რეიდის დროს მათ მევალეებს გადაახდევინეს თანხა, რომელმაც 3075 ლარი შეადგინა. ექვსი ობიექტის საქმე კი სათანადო რეაგირებისათვის ადგილობრივ ენერგოკომპანიებს გადაეცათ.

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 20 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	2.3501	ლარი
გერმანული მარკა	1	0.8529	ლარი
აშშ დოლარი	1	1.3800	ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.2543	ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0494	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0836	ლარი.

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +9+14;
დღისით +21+26.
მთაში: ღამით +5+10;
დღისით +18+23.
მაღალ მთაში: ღამით +2+7,
დღისით +15+20.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +7+12;
დღისით +19+24;
მთაში: ღამით +3+8;
დღისით +15+20.
მაღალ მთაში: ღამით -2+3;
დღისით +11+16.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.
ღამით +10+12; დღისით +22+24.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

21 ოქტომბერი სუსტი მაგნიტური აქტივობის დღეა

ბიუჯეტში ჩაირიცხა

მიმდინარე წლის 20 ოქტომბრის ოპერატიული ინფორმაციით ადგილობრივი საბაჟო ორგანოებიდან ბიუჯეტში შეტანილია 8 122,2 ათასი ლარი. დღის საბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 1.252,9 ათასი ლარი.

საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის მიერ 20 ოქტომბერს გამოვლენილია საბაჟო წესების 5 ადმინისტრაციული სამართალდარღვევითი ფაქტი. მოკვლევის პროცესში ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით მოქცეულია 2 100 ლარი. მათ შორის, ადმინისტრაციული სახდელების (ჯარიმების) სახით 1 100 ლარი.

გორის საბაჟო ტერმინალში შესამოწმებლად შეიყვანეს რუსეთიდან ცხინვალის რეგიონის გავლით შემოსული 18 ცალი განუბაჟებელი ხის საჭრელი დაზგით დატვირთული 4 სატვირთო ავტომანქანა. მიმდინარეობს მოკვლევა.

გაზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

პრესკონფერენცია

საქართველომ დაადასტურა, რომ მას საკუთარი ძალებითა და შესაძლებლობებით არა მარტო ახალი საზოგადოების, ახალი დემოკრატიის მშენებლობა შეუძლია, არამედ მონაპოვრის დაცვაც

(პირველი გვერდიდან)

ხალხის სახელით მიმართა მეამბოხეებს, ყველას, ვინც მათ უჭერდა მხარს: შეეწყვიტათ დანაშაულებრივი აქცია, დამორჩილებოდნენ კანონებს, თავისი ტექნიკით შესულიყვნენ ყაზარმებში და არ აეძულებინათ ხელისუფლება ავანტიურის აღსაკვეთად აემოქმედებინათ სამხედრო ძალა. სახელმწიფოს მეთაური ხაზს უსვამდა იმას, რომ ხელისუფლება მზად იყო მათთან სასაუბროდ, საერთო ენის გამოსანახად, რათა არ დაღვრილიყო ძმათა სისხლი, არ ყოფილიყო ახალი მსხვერპლი, უმიზნო და გაუმართლებელი სისხლისღვრა.

საქართველოს პრეზიდენტის ეს მიმართვა არაერთხელ განმეორდა და, საერთოდ, ამბოხებულებთან მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევა, მთელი დღე, ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იყო, მაგრამ... რაც არ სურდათ — არც ესმოდათ. მათთან მოსალაპარაკებლად მისული საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლების რამდენიმესაათიანი მოლაპარაკება „წყლის ნაყვა“ გამოდგა. როგორც საზოგადოებამ უკვე იცის, მათ მძევლებად აიყვანეს უშიშროების მინისტრი ჯემალ გახოკიძე, იმერეთის მხარის რწმუნებული თემურ შაშიაშვილი და სხვები. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, მძევლებისადმი ამბოხებულთა პირველი მოთხოვნა იყო: წინ გაძღოლოდნენ ტანკების, ოფიცერთა და ჯარისკაცთა კოლონას და დაუბრკოლებლად შეეყვანათ ისინი ქალაქ ქუთაისში. მეორე: ქუთაისში ჩაეყვანათ საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც უნდა განეცხადებინა არა მარტო თავისი გადადგომა, არამედ მთელი ხელისუფლების. თუ არადა, შეიარაღებული კოლონა დედაქალაქისაკენ დაიძრებოდა და შემოიჭრებოდა თბილისში. — სხვა საკითხია განახორციელებდნენ თუ არა ამას, მაგრამ ეს ჰქონდათ გამიზნული. თავიანთი განზრახვით, იმასაც იმედოვნებდნენ, რომ გზადაგზა მათ ათიათასობით, ასიათასობით თანამოაზრე შეუერთდებოდა და ამგვარად მიაღწევდნენ იმას, რასაც ვერ მიაღწიეს, ბოლო წლებში ტერორისტული აქტებით, სხვადასხვა გამოსვლებითა და ავანტიურით. ჩვენ არ დავუშვებდით, რომ ტანკებითა და ავტომატებით შეჭრილიყვნენ ქუთაისში, რასაც უბედურება და მსხვერპლი მოჰყვებოდა; სწორედ ამიტომ ავმოქმედდით და იძულებული შევიქმენით ძალა გვეხმარა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიუხედავად ავანტიურისტთა ამაზრზენი მუხანათობისა, ედუარდ შევარდნაძემ მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ იგი საკითხის მშვიდობიანი მოგვარების მომხრე იყო. უცხოელ კოლეგებთან საუბრისას არც ის დაუმალავს, რომ ამ აქციის მიზანია დესტაბილიზაცია, ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსის შეცვლა, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ გალაშქრება.

რა იქნებოდა ყველაზე საშიში შედეგი ამ ავანტიურისა?

ის, რომ საქართველო დაკარგავდა ნდობას, რომელიც შრომის, ოფლის, სისხლისა და თავგანწირვის ფასად მოვიპოვეთ ამ ბოლო წლებში მეზობელ, მეგობარ ქვეყნებთან, პარტნიორებთან საქმიანობაში საერთაშორისო არენაზე. ამიტომაც უწოდებს საქართველოს პრეზიდენტი ავანტიურისტთა ამ გამოხდომას განაცხადს იმისა, რომ თითქოს საქართველო არასტაბილური ქვეყანაა და არ შეიძლება მას ენდონ, რომ აბრეშუმის გზა, „ტრასეკას“ პროექტი, ნავთობსადენები, გაზსადენები, ყველაფერი ეს ზღაპარია, ჩასაფუშად არის განწირული...

საკუთარი ქვეყნის მტრობა და ამგვარი? სახელის გატეხვა და ამისთანა?

მადლობა უფალს, საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სახელმწიფოა. ხელისუფლებამ შეძლო ამოქმედებულიყო მთელი სახელმწიფო მექანიზმი, ქვეყანას აქვს უშიშროების, უსაფრთხოების კონცეფცია და არა მარტო კონცეფცია, არამედ პროგრამა, სამობილიზაციო გეგმები და სხვა. რამდენიმე საათში საიმედოდ იყო დაცული მაგისტრალები, ნავსადგურები, კომუნიკაციები, მილსადენი, რომელიც ეს-ეს არის უნდა შეუერთდეს სუფსის ტერმინალს, არ შეფერხდა რკინიგზის, ავიაციის, საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა, მუშაობდა პოლიცია, უშიშროება და, რაც მთავარია, არ იყო პანიკა. ხალხს ხელისუფლების იმედი ჰქონდა, საქმის კეთილად დასრული არ ეჭვებოდა. ომი ნამდვილად აღარავის სურდა. ხალხს ის მოტყუებული პირტიტველა ბიჭები სტკიოდა, რომლებიც შეცდომაში შეყვანილნი, ზოგი თვითონ გაიქცა უკან, ზოგიც ნაწილში დაბრუნებას იხვეწებოდა. გამოუსწორებელი უმადურები, ავანტიურისტები და გამოუსწორებელი მტრები საკუთარი ხალხისა კი, საქართველოს ისტორიულად მოდგამს. ისინი მოთავენი იყვნენ, ისინი ლაჩრულად გაიქცნენ.

— არ არსებობს ღონისძიება, ჩვენ რომ ელიავას არ მივდგომოდით, რათა იგი საქართველოსთან, თავის ხალხთან მდგარიყო, ჩვენთან ერთად ებრძოლა საქართველოს ერთიანობისათვის. არმიაშიც კი დავტოვეთ, წოდებაც მივანიჭეთ, ნდობა გამოვუცხადეთ. სამაგიეროდ, გვიღალატა, მის შესაფასებლად სხვა სიტყვა არ არსებობს, იგი და მასთან ერთად მიმალულნი უნდა მოიძებნონ. გაქცეულები და მოღალატენი ხალხის სამსჯავროზე უნდა წარსდგნენ. პატიებასაც და შერიგების პოლიტიკასაც რაღაც გარკვეული ჩარჩოები და ფორმები, გარკვეული ნორმები აქვს, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და არც ის დაუმალავს, რომ იმათ, ვინც ღირსია და იცის პატიების მადლი, აფასებს სახელმწიფოს მხრიდან გაღებულ ამ სიკეთეს, მათთან კვლავაც გაგრძელდება თანამშრომლობა. ასეთია მისი მრწამსი და რაც უნდა მოხდეს, არ გადაუხვევს. თუმცა გულწრფელად ვიტყვი: საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი, და, სხვათა შორის, ჩემი კოლეგებიც ედუარდ შევარდნაძეს სწორედ ამ შერიგება-მორიგების პოლიტიკისათვის საყვედურობენ. მისგან კვლავ „მაგარ ხელს“ მოითხოვენ. ერთხელ მეც შევბედე: უსაზღვრო გადემოკრატებას გიზიანს და სისუსტედაც გითვლიან-მეთქი; მიპასუხა:

— გვინდა თუ არა, უნდა შევეგუოთ იმას, რომ ქვეყანას დღეს ის „მაგარი ხელი“ აღარ გამოადგება. თუ ვინმე ხალხს ჰპირდება, ხელისუფლებაში მოვალთ და სწორედ „მაგარი ხელით“ დავამყარებთ წესრიგს, ტყუილია, უფრო მეტი მსხვერპლი იქნება და ქვეყანას უფრო მეტი ანარქია მოიცავს. იმ გზით, რომლითაც საქართველო დღეს მიდის, უფრო მეტი საფუძველი ეყრება იმას, რასაც მომავლის საზოგადოება ჰქვია.

დემოკრატიის გზაზე რომ მართლაც ბევრად წინ წავიწიეთ, ეს საქართველოს პრეზიდენტმა გუშინდელ პრესკონფერენციაზეც დაადასტურა, როცა ამ განსაცდელის ჟამს საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა, პოლიტიკურ პარტიათა, პოლიტიკურ ძალთა სოლიდარობა აღნიშნა. მას უდიდეს მონაპოვრად მიაჩნია ეს და ამბობს: ხშირად ვკამათობთ, ეს კამათი ზოგჯერ დასაშვებ ფარგლებს სცილდება, მაგრამ უკვე აშკარად ჩანს და იგრძნობა, რომ ჩვენში რეალურად ამაღლდა პოლიტიკური კულტურა, ამინდს ქმნიან არა უცხო ძალებზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტიები, არამედ ნამდვილი პატრიოტული ძალები.

ჩვენს შორის განსხვავებული აზრები იყო და იქნება, გარკვეული „ჩხუბები“ ახლაც იყო, მაგრამ მთავარია, ის ერთსულოვნება, რომელიც აშკარად გამოიკვეთა იმ დღეს, როცა ქვეყანა განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ხელისუფლებამ მიიღო აბსოლუტური მხარდაჭერა, პოლიტიკური მხარდაჭერა, — განაცხადა მან.

ავანტიურა ჩაიშალა, ის 15-20 მოთავე ამბოხებისა, ლაჩრულად გაიქცა, ვერ დაიმალებიან, მოიძებნებიან. სენაკის სამხედრო ნაწილის მთელი პირადი შემადგენლობა უკვე ადგილზეა, მთელი სამხედრო ტექნიკა დანაკარგის გარეშე დაუბრუნდა თავდაცვის სამინისტროს, ასევე, დაბრუნებულია გატაცებული იარაღი, თავდაცვის მინისტრი სიტუაციას ფლობს. გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადდება, საქართველოს დღეს ასეთი ზომის მიღება არ ესაჭიროება.

— მთელ საქართველოსთან ერთად ბედნიერი ვარ, რომ ეს საკმაოდ დიდმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია თითქმის უმსხვერპლოდ განხორციელდა, არ დაიღვარა ძმათა სისხლი.

ყველაზე ძვირფასი უსისხლოდ მოპოვებული წარმატებაა, — ასე სჯერა საქართველოს პრეზიდენტს.

1998 წლის 19 ოქტომბერი, ამ დღეს საქართველო გადარჩა — დაწერს ჟამთააღმწერელი.

დაიხსომეთ ეს თარიღი, — ამბობს საქართველოს პრეზიდენტი.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

კანონმდებლები

მეამბოხეთა ილუზიები არ გამართლდა

(პირველი გვერდიდან)

ჰქონდა ადგილი, მაგრამ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ოპერატიულად და მობილიზებულად ჩატარებული სამხედრო ოპერაციების შედეგად, ვითარება განიმუხტა.

ზურაბ ჟვანიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აკაკი ელიავას და მის მომხრეებს ქვეყნისათვის სერიოზული პრობლემის შექმნა შეეძლოთ. „ეს იყო ფართომასშტაბიანი ავანტიურა. გუშინ, საქართველო რეალურად, სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე იდგა“ — აღნიშნა მან.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, არ გამართლდა მეამბოხეთა ილუზია მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ. სენაკში, ხონში, ქუთაისში, ყველგან ხალხი ფეხზე დადგა და დაირაზმა მათ წინააღმდეგ. გადამწყვეტი ფაქტორი გახლდათ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით წარმატებით დაგეგმილი ოპერაცია, რომელიც ჯარისკაცთა თავდადებული და პროფესიული მოქმედების შედეგად განხორციელდა. ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, აგრეთვე, იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის თეიმურაზ შაშიაშვილისა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ჯემალ გახოკიძის განსაკუთრებული როლი მეამბოხეებთან მოლაპარაკებებში. აღინიშნა საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის, ენერგეტიკის სამინისტროების წვლილი და ხელშეწყობა მოვლენების წარმატებით განვითარებაში. ითქვა ისიც, რომ მძევლად აყვანილ რაიონების გამგებლებსა და სენაკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს დემურ გადელიას ცოცხლად გადარჩენის გარანტია არ ჰქონდათ, რომ არა სწორად გათვლილი საომარი მოქმედებები.

„დადგა დრო, აღნიშნული მოვლენები პრინციპულად შევაფასოთ და სერიოზულად გავაანალიზოთ, როგორ უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამ, მისმა ცალკეულმა სტრუქტურებმა ამდაგვარი ფაქტების წინასწარვე აღსაკვეთად“ — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ. განიხილეს კონკრეტული წინადადებები ამ მიმართულებით მუშაობის გასაუმჯობესებლად. ბიურომ იმსჯელა, აგრეთვე, 27-30 ოქტომბრის პლენარული სხდომების დღის წესრიგზე, სამთავრობო საათსა და სხვა საკითხებზე.

პარლამენტის პრესსამსახური.

ექსკლუზივი

გადაიდარა?..

საქართველოს პარლამენტი, 20 ოქტომბერი...

გადაიდარა? — ეჭვი არ მეპარება, გუშინდელი დღე ამ კითხვით დაიწყო მთელმა საქართველომ, თითოეულმა ჩვენგანმა. ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო მას შემდეგ, რაც ტელეეკრანიდან დაგვაიმედეს ძალოვანი სტრუქტურების მესვეურებმა, იმერეთის გუბერნატორმა და ბოლოს, ჩვენმა პრეზიდენტმა.

გუშინწინ ჩვენი პარლამენტის რამდენიმე კომიტეტის თავმჯდომარეს ვესაუბრე. სწორედ მაშინ შემპირდა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე რეზო ადამია, რომ მეორე დღეს ამ მოვლენის სათანადო კომენტარით წარსდგებოდა ჩვენი მკითხველის წინაშე.

დანაპირები შესრულდა...

— ბატონო რეზო, ჩვენი გუშინდელი საუბარი თქვენ ასე დაამთავრეთ: — მოდით, დროს ნუ გავუსწრებთ და დაველოდოთ მოვლენებს... მართლაც, როგორ განვითარდა ეს მოვლენები?.. თქვენი შეპირებული კომენტარი...

— ამ ავანტიურისტული „ეპოპეის“ მიმდინარეობამ ცხადად დაგვანახა, რომ წავიდა ის დრო, როცა შესაძლებელი იყო ათიოდე ტანკითა და ორასი-სამასი კაცით საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება.

ძალზე ოპერატიულად იმუშავეს ჩვენმა ძალოვანმა სტრუქტურებმა, უპირველესად, თავდაცვის სამინისტრომ. მთელი გუშინდელი დღე გავატარე გენერალურ შტაბში, რომლის უფროსი ჯონი პირცხალაიშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას. მაღალპროფესიულად იმუშავა თითქმის ყველა სტრუქტურამ, რამაც თვალნათლივ დაგვარწმუნა იმაში, რომ შესაძლებელია ასეთი ექსტრემალური სიტუაციის ჩაწყნარება და ლოკალიზება.

ამას, ჩემი აზრით, დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც აქვს, რადგან ცხადად დავინახეთ, რომ ეს სახელმწიფო სტრუქტურა ნამდვილად ამუშავდა.

ასეთ დროს არ გვავიწყდება შეცდომებიც, რომლებმაც ასეთი გამოხდომა განაპირობა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი სამხედრო კონტრდაზვერვა კარგად ვერ მუშაობს, რისთვისაც პასუხს აგებენ ის ხელმძღვანელები და პირები, რომლებიც ამ სფეროს თავკაცობენ. ამის გაკეთება, უპირველესად, იმისათვის არის საჭირო, რომ იმან, ვინც ამ დარგს უხელმძღვანელებს, იცოდეს, რომ უსაქმურობა და არაპროფესიონალიზმი დასჯადია.

— ქვეყნის პრეზიდენტმა, ხელისუფლებამ ისეთი დიდი საქმეები წამოიწყეს, რომელთაც განსაკუთრებული უზრუნველყოფა სჭირდება უშიშროების თვალსაზრისით, რასაც ჯერჯერობით, რატომღაც ვერ ვახერხებთ. თქვენ რას იტყოდით?

— თავდაპირველად უნდა გითხრათ, რომ ბატონ ჯემალ გახოკიძის პირადმა სიმამაცემ ბევრად განსაზღვრა ამ ამბოხების ჩაქრობა. როგორც მისმა, ასევე ბატონ თემურ შაშიაშვილის ვაჟკაცურმა შემართებამ დიდად შეუწყო ხელი ამ პროცესს.

ჩვენს უშიშროების სისტემას მართლაც სჭირდება სერიოზული გარდაქმნა, გადაყვანა იმ რელსებზე, რაც რეალურად შექმნის სრულ გარანტიას ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. ეს ძალზე დიდი და რთული სამუშაოა, რისთვისაც კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს... მათ შორის მხედველობაში მაქვს, საკანონმდებლო ბაზაც. ამ შემთხვევაში, მე უფრო სამხედრო კონტრდაზვერვის ხარვეზებზე გავამახვილებდი ყურადღებას. ახლა ძალიან სერიოზულად მუშაობენ ამ სისტემის სრულყოფისათვის. ჯერჯერობით ამ თემაზე დიდად არ ვისაუბრებ, რადგან უკვე ბევრი რამ კეთდება სამინისტროში ახალი კადრების მოსაზიდად, ახალი სამსახურების ჩამოსაყალიბებლად, რაც ჭეშმარიტად გარდაქმნის ამ სფეროს. ჯერჯერობით ჩვენ არა ვართ ისე შეკრული, როგორც საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაცვას სჭირდება. ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი, რომლებიც თავისი კეთილდღეობისა და განდიდების შესაძლებლობას საკუთარი სახელმწიფოს დაკნინებაში უფრო ეძიებენ; ასეთი ადამიანებისა და პოლიტიკური ძალების ჩამოთვლაც კი შემიძლია. ვთქვი კიდეც, რომ ერთადერთი, ვინც მხარი დაუჭირა ამ ამბოხებას, იყო ექსტრემისტური კომუნისტური ჯგუფი — პანტელეიმონ გიორგაძის ხელმძღვანელობით. ვფიქრობ, რომ სავსებით შესაძლებელია და დროც არის საერთოდ აიკრძალოს ჩვენში კომუნისტური პარტია, ვინაიდან იგი პირდაპირაა განწყობილი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

— მითუმეტეს, რომ ოპოზიციამ ამ საერთო საშიშროების დროს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ხელისუფლებას...

— ვეთანხმები. ყველამ გაიცნობიერა, რომ სამხედრო გზით ახლა სახელმწიფო გადატრიალება, არა მხოლოდ მთავრობის, მოქალაქეთა კავშირის, პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული, არამედ მთლიანად საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება იქნებოდა. ასე ფიქრობს ყველა, გარდა კომუნისტებისა, რომლებიც პირდაპირ იმართებიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ძალების მიერ.

— რახან სიტყვამ მოიტანა საქართველოში რუსულ სამხედრო ნაწილების ყოფილ ტერიტორიებზე აღმოჩენილ თუ საგანგებოდ დამარხულ რადიაქტიულ ნივთიერებებზე გკითხავთ, ხომ არ ასდის ამას ე.წ. „საგანგებო წინასწარგანზრახვის“ სუნი?

— კვალი მართლაც ჩანდა და თავიდაც ჩანდნენ მოსკოვიდან ჩამოსული ის ადამიანებიც, რომლებიც დიდი ხანია საქართველოში არ „ბრძანდებიან“. მათი კონკრეტულ ბრალეულობას, ალბათ, გამოძიება დაადგენს. რაც შეეხება „რადიოაქტიურებს“, ეს მართლაც საგანგაშო თემაა, თუმცა არ მინდა გავამძაფრო ჩვენი საუბარი, რადგან თითოეული ეს შემთხვევა (მათმა რიცხვმა უკვე 80-ს გადააჭარბა. — **რედ.**) მაინც ლოკალურია. ამ მიმართულებით უკვე ვილეწით ამერიკელ მეგობრებთან ერთად; დეკემბერში ჩამოვა საგანგებო ჯგუფი, შევიმუშავებთ ერთობლივ გეგმას, რომლითაც თითოეულ ასეთ შემთხვევას გამოვიკვლევთ. ისინი დაგვეხმარებიან იმაში, რომ მოხდეს ყოველი ასეთი წყაროს დეზაქტივიზაცია და ამასთან დადგინდეს ის მატერიალური ზარალიც, რომელიც მიაყენა რუსეთის ამ ნაწილების დგომამ ჩვენს გარემოსა და ადამიანებს. ამის მეთოდოლოგია არსებობს, ჩვენ საგანგებო ურთიერთობა გვაქვს ლივერმორის ცნობილ ლაბორატორიასთან კალიფორნიაში და, ალბათ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად შევიმუშავებთ სპეციალურ პროგრამას.

— ბატონო რეზო, ჩვენი საზოგადოებრიობა შეშფოთებულია იმით, რომ მტერს და მოღალატეს საკადრისს არ მიუზღავთ. გაჩნდა დაუსჯელობის სინდრომი.

— რა თქმა უნდა, დაუსჯელობის სინდრომი დღეს საქართველოში არსებობს. ეს ეხება ბიუჯეტის შევსებასაც, თუნდაც გუშინდელი მოვლენისმაგვარი ფაქტების თავიდან აცილებასაც, საერთოდ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასაც, რომელიც ვერ იარსებებს გარკვეული წესების დაცვის გარეშე. ვინც ამ წესს — ე.ი. კანონს დაარღვევს, უნდა იცოდეს, რომ შესაბამისად აგებს კიდეც პასუხს. თუ ეს ასე არ გავაკეთეთ, მივალთ ისეთ სიტუაციამდე, როგორიც გვქონდა 90-იანი წლების დასაწყისში. სწორედ მათი დანგრევა საზოგადოებაში არის ჩვენი უმთავრესი ამოცანა. ისეთი კანონის შექმნაზეც კი გვეფიქრია, რომელიც დაავალდებულებს თითოეულ ბიუროკრატს დაიცვას კანონი. მაგრამ ეს მხოლოდ კანონით ვერ მოხდება, უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი ცნობიერება.

რაც შეეხება ლოიალობას, მისმა სრულმა უგულებელყოფამაც შეიძლება მიგვიყვანოს უარყოფით შედეგებამდე. აქაც რაღაც ოპტიმუმი უნდა მოიძებნოს.

— და ბოლოს, ბატონო რეზო გადაიდარა?

— მოდით, როგორც მიღებულია, სამჯერ დავაკაკუნოთ ხეზე და ვთქვათ: ჯერჯერობით ასეა, ასე, რომ გამოდარებას გილოცავთ თქვენც და თქვენს მკითხველებსაც... საერთოდ, სრულიად საქართველოს.

გია ჭელიძე.

პერსპექტივა

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნავთობკომპანიებისათვის მიცემული გარანტიები ძალაშია

(პირველი გვერდიდან)

გუშინდელი თქვენი მიმართვა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმ პროცესების შეუქცევადობაში, რომელთაც თქვენ, მსოფლიოს აღიარებული პოლიტიკოსი ხელმძღვანელობთ და ავითარებთ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიის რეგიონში, — აღნიშნავენ დენის სტიუარტი და გიორგი ჭანტურია.

მათი შეფასებით, „გუშინდელი დღე იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ საქართველოს ძალუძს აღმოფხვრას ყოველგვარი ქმედება, რომელიც მიმართულია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების წინააღმდეგ, დესტაბილიზაციისა და ქაოსის შექმნისაკენ“. — ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საქართველო, თქვენი ხელმძღვანელობით, მიჰყვება და ავითარებს ჭეშმარიტად დემოკრატიულ, საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, რაც ჩვენთვის და საქართველოში მომუშავე ყველა უცხოური კომპანიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, — აღნიშნავენ მიმართვის ავტორები.

საქართველოს მილსადენის კომპანიისა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ხელმძღვანელები ერთსულოვნად ადასტურებენ, რომ დასავლეთ საქართველოში ახლახან მომხდარი სამწუხარო ინციდენტის შემდეგ „დასავლეთის მიმართულების“ ნავთობსადენის პროექტის მშენებლობასთან დაკავშირებით დასაქმებული მთელი მომსახურე პერსონალი სრულიად უვნებელია და საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა ყველა აუცილებელი ზომა მათი დაცვისათვის.

„ჩვენ კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩვენს მზადყოფნას და ვკისრულობთ მთელ პასუხისმგებლობას „დასავლეთის მიმართულების“ პროექტის თქვენთან შეთანხმებულ ვადებში დასრულებასთან დაკავშირებით.

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულწრფელი მხარდაჭერა და დასტური, რომ თქვენს მიერ ნავთობკომპანიებისათვის მიცემული გარანტიები იმის საფუძველია, რომ ჩვენ უფრო მეტი ინტენსიურობით გავაგრძელოთ სამუშაოები, როგორც მიმდინარე „ადრეული ნავთობსადენის“ მშენებლობის პროექტზე, ასევე იმ პერსპექტიულ პროექტებზე, რომელთა განხორციელებასაც უახლოეს პერიოდში ვაპირებთ საქართველოში“, — ნათქვამია დენის სტიუარტისა და გიორგი ჭანტურიას მიერ საქართველოს პრეზიდენტისადმი გამოგზავნილ ერთობლივ მიმართვაში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ჩვენ კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩვენს მზადყოფნას და ვკისრულობთ მთელ პასუხისმგებლობას „დასავლეთის მიმართულების“ პროექტის თქვენთან შეთანხმებულ ვადებში დასრულებასთან დაკავშირებით.

ნავთობმოპოვება



კარჩაკეტილობა სიღატაკეა, ურთიერთთანამშრომლობა – სიმდიდრე

(პირველი გვერდიდან)

აი, თურმე რა სიმდიდრის პატრონები ვყოფილვართ (ჩვენ კი მხოლოდ დღემდე კასპიის ნავთობის გატარებაზე ვოცნებობდით). ამ ცნობას, იტყვის ედუარდ შევარდნაძე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქვეყნის ხელისუფლების, ისე ხალხისათვის, რადგან, როგორც მან განაცხადა, „როდესაც იცი, რა სიმდიდრის პატრონი ხარ, უფრო იმედიანად უყურებ მომავალს“.

სიხარულს ვერ ფარავს კახეთის მხარის თავკაცი, ყოველთვის დინჯი და აუღელვებელი გიორგი არსენიშვილი. მისი თქმით ინგლისელებს ჯერ კიდევ ამ საუკუნის გარიჟრაჟზე დაუწყიათ კვეტერასთან (ახმეტის რაიონი) ნავთობის საძიებო სამუშაოები, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა და შემდგომმა მოვლენებმა მთელი ათწლეულებით გადასწიეს მათი სანუკვარი გეგმები.

და აი, საუკუნის დასასრულს, მეუბნება ბატონი გიორგი, კახელები და ინგლისელები (და არა მარტო ინგლისელები) კვლავ შევხვდით ერთმანეთს. ბოლო წლებში კახეთის ტერიტორიაზე, რომელიც სხვადასხვა უცხოური ფირმის მიერ მთლიანად ლიცენზირებულია, მკვიდრად მოიკიდეს ფეხი მსოფლიოში კარგად ცნობილმა ნავთობკომპანიებმა „ფრონტერამ“, „კანარგომ“ და „რამკომ“. უნდა ვთქვა, მენავთობეებთან ურთიერთობის არავითარი გამოცდილება არ გვქონდა, მაგრამ მოკლე დროში ბევრი რამ გავიგეთ და გავაკეთეთ, არაერთი სიძნელის გადალახვისას დავრწმუნდით, რომ ერთმანეთს ვჭირდებით.

უახლოეს დროში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატთან შეიქმნება ჯგუფი, რომელიც მენავთობეებთან ურთიერთობით იქნება დაკავებული. გიორგი არსენიშვილს სჯერა, რომ ჯგუფში შემავალი ახალგაზრდები უცხოელ მენავთობეებთან ურთიერთობაში უკეთესად შეისწავლიან მართვის თანამედროვე პრინციპებს, დაეუფლებიან სპეციალობას, ბიზნესისა და ეკონომიკის აქტუალურ მიმართულებებს.

უცხოელ სპეციალისტთა პროგნოზით საქართველოში 600 მილიონი ტონა ნავთობის მარაგია, მაგრამ როგორია ამ მოცულობაში კახეთის წილი?

დიდი! როგორც პრეზიდენტის რწმუნებული ამბობს, ეს წილი 100-დან 300 მილიონამდე ტონა ნავთობში ასოცირდება. ყოველ შემთხვევაში, უცხოელები ასე ვარაუდობენ.

მარაგი მარაგია, მაგრამ რა კეთდება ამჟამად მის ასათვისებლად?

მიმდინარეობს აქტიური გეოფიზიკური გამოკვლევები, შეისწავლება მომავალი ჭაბურღილების ადგილები. დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე გაიწმინდა ძველი ჭაბურღილი, საიდანაც მცირე რაოდენობის ნავთობს უკვე მოიპოვებენ. უკეთესად მიდის საქმე ნინოწმინდაში, სადაც დღე-ღამეში საშუალოდ დაახლოებით 300 კუბმეტრ ნავთობს იღებენ. ბუნებრივია, ნავთობს მოყვება თანმდევი გაზი, რომელსაც გონიერულად იყენებენ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

კერძოდ, სოფელ ნინოწმინდაში მომუშავე ინგლისურ-კანადურმა კომპანია „კანარგომ“ ააშენა გაზზე მომუშავე სათბურები, სადაც ხალხიც დასაქმდა და პროდუქციაც მიიღება. აქვე მენავთობეები აგებენ სამეგავატიან ელექტროსადგურს (ისიც გაზზე იმუშავებს), რომლის ენერგია რამდენიმე სოფლის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

ეს ტენდენცია გაგრძელდება და კიდევ უფრო განვითარდება მოდევნო საბადოზე, რომელიც სოფელ მანავში დაიბურღება. კახეთში ამ „ძნელდენობის“ ჟამს, როცა სოფლები კვირობით და თვეობითაც კი ჩაბნელებულია, სინათლის გამოჩენა სწორედაც რომ ცაზე ცისკრის გამონათებას ჰგავს.

და საერთოდ, პრეზიდენტის რწმუნებული მაწვდის ზოგიერთ მონაცემს, რომლებშიც უცხოური ნავთობკომპანიების „პრეზენტაცია“ სარკესავით ირეკლება:

„ფრონტერა“ (ამერიკული კომპანია). შეიქმნა 1997 წლის ნოემბერში, დასაქმებულია 100 კაცი, აქედან 75 დედოფლისწყაროში. გაიყვანა 18 კილომეტრი გზა ტარიბანაში, ჩარიცხა 20 ათასი დოლარი სამხარეო ფონდში, ამდენივე თანხა ფონდში „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, ბიუჯეტში გადაიხადა 185236 ლარი, მათ შორის დედოფლისწყაროს რაიონის ბიუჯეტში — 61109 ლარი. პროგრამაში აქვს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა გარდაბნის რაიონში.

„რამკო“ (ინგლისური კომპანია). 11 ათასი ლარის ღირებულების ფქვილით დაეხმარა სეტყვით დაზარალებულ სოფლებს, 4 ათასი კილოგრამი ფქვილით და 100 კილოგრამი შაქრით სოფელ ჭერემის მოსახლეობას, 3 ტონა დიზელის საწვავით — თელავის მერიასა და რაიონს. გეოფიზიკურ სამუშაოებში დაასაქმა 130 სპეციალისტი, 400-მდე გეოფიზიკური ბაზების დაცვისა და 50-მდე პოლიციის მუშაკი.

„კანარგო“ (ინგლისურ-კანადური კომპანია). დაასაქმა 150 ადგილობრივი მუშაკი, ჰუმანიტარული დახმარებისა და შეწირულობის სახით გაიღო 100 ათასი დოლარი, საგარეჯოს რაიონის ბიუჯეტში გადაიხადა 230 ათასი ლარი. აშენებს ბუნებრივ აირზე მომუშავე ელექტროსადგურს.

ყველაფერს ვერ ჩამოთვლი, რაც კახეთში უცხოური ნავთობკომპანიების მოღვაწეობას მოჰყვა. და მაინც, ჩემი „დაძალებით“ გიორგი არსენიშვილი ზოგ რამეს კიდევ ამატებს, უფრო სწორედ, გაწეულ სამუშაოებს აჯამებს:

— ნავთობმოპოვების სამუშაოებზე სულ დასაქმდა 1000-მდე ადგილობრივი მოსახლე (ძირითადად სპეციალისტები), დამატებითი შემოსავალი გაუჩნდათ კვების ობიექტებს, სატელეფონო სადგურებს, გამოცოცხლდა სატრანსპორტო მიმოსვლა, დაიბადა ქველმოქმედება. „კანარგომ“ მაგალითად 35 ათასი დოლარი შესწირა „ალავერდის ფონდს“, რამაც ახლადაჩენილი ბზარებისა და მონასტრის ნგრევასთან დაკავშირებული პრობლემები მთლიანად მოხსნა. „ფრონტერამ“ კი, სადაც დიდწილად ქართველი სპეციალისტები საქმიანობენ, შეიძინა უახლესი გამოთვლითი ტექნიკა, კომპიუტერები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ ჰიუსტონთან (აშშ).

რა თქმა უნდა, ეს „მშრალი“ კავშირები და ურთიერთობები არ გახლავთ. ამ ურთიერთობებში იზრდება და იწრთობა ქართველ მენავთობეთა ახალი თაობა, რომელმაც მიმართულება უნდა მისცეს ოცდამეერთე საუკუნეში ჩვენი ნავთობმდინარეთის საექსპორტო დინებას.

ეს სურათი, რომელიც კახეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დახატა, მედლის ერთი მხარეა, მაგრამ, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, მედალს მეორე მხარეც აქვს: კახელები კი აქებენ უცხოელ ნავთობმომპოვებლებს, მაგრამ, საინტერესოა, ისინი რა აზრის არიან ჩვენებურ პარტნიორებზე?

ამ კითხვაზე, რომ პასუხი გამეცა, მეორე მხარესაც დაველაპარაკე. პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები კმაყოფილი არიან ქართველი ინჟინრების, გეოლოგების, მენეჯერების საქმიანობითა და პროფესიონალიზმით. ამას ისიც ადასტურებს, რომ მათს ნავთობკომპანიებში უმთავრესად ჩვენი სპეციალისტები მუშაობენ.

— აქ პირობები საუკეთესოა, — ამბობს კომპანია „კანარგოს“ თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი დევიდ რობსონი, — არის სტაბილური ვითარება, წესრიგი და კეთილგანწყობა, რაც წარმატებული საქმიანობის გარანტიას გვაძლევს.

ეტყობა, ამიტომაც უცხოელი მენავთობეები და ინვესტორები საქართველოში, კერძოდ კი კახეთში, გულდამშვიდებით მუშაობენ და მზად არიან კიდევ უფრო გაზარდონ თავიანთი საქმიანობის მასშტაბები. ამის მაგალითად „ფრონტერაც“ გამოდგება, რომელმაც საქართველოში უკვე დააბანდა 2 მილიონი დოლარი. პარალელურად შესრულებულ სამუშაოებზე დახარჯული აქვს 6 მილიონი ლარი, ხოლო მომდევნო 5 წელიწადში 58,7 მილიონი დოლარის ინვესტირებას გეგმავს.

— ასე რომ, წინ დიდი ნავთობი და დიდი სამუშაოები გველის, — მეუბნება დამშვიდობებისას პრეზიდენტის რწმუნებული.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ კახეთი მეორე ქუვეითად იქცევა?

— არ ვეშვები.

— ამის თაობაზე მშვენიერად თქვა „ფრონტერას“ ვიცე-პრეზიდენტმა ჯეფ მორგენტალერმა და მეც იგივეს გავიმეორებ: „საქართველო არ არის ქუვეითი, არც აზერბაიჯანი, ეს არის საქართველო, რომელსაც დიდი რაოდენობის ნავთობი აქვს“.

ამის მიუხედავად, ზოგზოგებს მაინც ჰყოფნით გამბედაობა ამტკიცონ: ჩვენი სიმდიდრე უცხოელებისთვის არ უნდა ჩავუგდოთ ხელში, ყველაფერს ისინი წაიღებენ და ჩვენ ხელცარიელს დაგვტოვებენო: ან იქირქილონ — რა ნავთობი, რის ნავთობი, გვაცუცურაკებენო...

ასეთებს ავიწყდებათ, რომ კარჩაკეტილობა სიღატაკეა, ურთიერთთანამშრომლობა კი სიმდიდრე. მხოლოდ მსოფლიოს ქვეყნებთან ურთიერთობასა და პარტნიორობაში იჭედება ძლიერი ეკონომიკა, ჩვენი ცხოვრების სამომავლო გარანტიები.

ოთარ ხუციშვილი.

არნოლდ ჩიქობავა — 100

კავკასიაში ახლა ის დრო დადგა, როცა მშვიდობა უნდა დავამყაროთ, მშვიდობა უნდა დავამკვიდროთ

(პირველი გვერდიდან)

რა ხდება მეოცე საუკუნის მიწურულს მსოფლიოში? რა ხდება შუაგულ ევროპაში? რა ხდება კავკასიაში? რა გადაგვაქვს მეოცე საუკუნიდან ოცდამეერთეში — სიძულვილი, შეურიგებლობა, ადამიანთა ჟლეტვის ვნება თუ სიყვარული, მიმტევებლობა, კაცთმოყვარეობა?

რა ხდება? ნუთუ ჩვენ თვითონ ვიახლოვებთ აპოკალიფსს, ნუთუ ჩვენს ცნობიერებაში იგი უკვე დაიწყო?

აბა სხვაგვარად როგორ და რით უნდა აიხსნას, რომ მსოფლიოში რამდენიმე მილიონი ლტოლვილი დაეხეტება დაკარგული სამშობლოსა და დაკარგული სიმშვიდის ძიებაში?

და კიდევ, თუ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს დიდ მეცნიერებსა და შემოქმედთ ეყოთ მოქალაქეობრივი გამბედაობა მსოფლიო გაეფრთხილებინათ მოახლოებული საფრთხის შესახებ, ნუთუ დღეს ვერ ვხედავთ ამ საფრთხეს? ნუთუ გამბედაობა არ გვყოფნის წინ აღვუდგეთ აგრესიულობას, თავაწყვეტილ ნაციონალიზმსა და სეპარატიზმს, ეთნიკურ წმენდასა და პოლიტიკურ ტერორს, მატერიალურ თუ სულიერ ფასეულობათა ნგრევას და მოსპობას?

რა მოხდა თავად ჩვენში, ნუთუ შევეჩვიეთ ამ ყველაფერს და ცხვრის მოლოდინით ველოდებით, როდის გამოგვისვამენ ხანჯალს ყელში. იქნებ მერე ვიყვიროთ კიდეც, მაგრამ გვიან იქნება.

მე მინდა ყველა დავფიქრდეთ ამაზე — რა გვჭირს? რა სჭირს დღევანდელ მსოფლიოს, დღევანდელ კავკასიას?

და არ მინდა ამ დაფიქრებაში მტერი სადღაც ჩვენს გარეთ ვეძებოთ, რადგან უპირველესი დამანგრეველი ძალა თავად ჩვენშია. ბოლოსდაბოლოს, არავის არავისთვის არ დაუძალებია იარაღის ხელში აღება და კარის მეზობლის მოკვლა.

ჩვენ ერთმანეთის კარის მეზობლები ვართ, კავკასიელები.

და ისიც ხომ ცნობილია, თუ მეზობლის სახლს ცეცხლი წაეკიდა, უნდა ჩააქრო, თორემ შენი სახლიც დაიწვება.

ეს პრობლემა თავისი სიმწვავითაც და გეოგრაფიითაც სცილდება კავკასიას, მაგრამ ჩვენ, კავკასიელები, კავკასიაში ვცხოვრობთ და თუ თავად ჩვენ ვერ ვისწავლით ჩვენი კონფლიქტებისა და გაუგებრობების ჩვენივე ხელით მოგვარებას, აქ დანთებული ცეცხლი გვშთანთქავს ჩვენც და მსოფლიოსაც მოედება.

არადა, თითქოს ძნელი არ უნდა იყოს იმის გაცნობიერება, რომ ადამიანმა უნდა იცხოვროს იქ, სადაც მას სურს და როგორც სურს, თუკი მას სხვისთვის ვნება არ მოაქვს, არ შეიძლება ადამიანი გამოაგდო თავისი ბინიდან, სიკვდილის მუქარით განდევნო თავისი ეზო-კარიდან, აიძულო მიატოვოს თავისი წინაპრების საფლავები, აიძულო ისწავლოს სხვათა ენაზე, გაუყალბო ისტორია და დაუმახინჯო მომავალი.

სად არის და რატომ არ ისმის ასეთი უსამართლობით აღშფოთებულ თუნდაც კავკასიელთა ხმა, განა სამართლიანობის საზომი შეიძლება ერთისთვის სხვა იყოს და მეორისთვის სხვა?

თქვენ შესანიშნავად იცით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მე აფხაზეთი მაქვს მხედველობაში, როდემდე შეიძლება წინ აღვუდგეთ სამშობლოდან გამოდევნილ ქართველთა ინსტინქტურ და ამდენად დაუძლეველ ლტოლვას თავისი სახლ-კარისკენ?

როდემდე შეიძლება უშედეგოდ ვცდილობდეთ ლტოლვილთა მშვიდობიან დაბრუნებას, მათთვის მშვიდობიანი და უსაფრთხო ცხოვრების უპირობო გარანტიით?

ქართველების დიდი ტრაგედია მარტო ის კი არაა, რომ აფხაზეთიდან გამოდევნეს, არამედ ისიც, რომ იქ იდევნება ქართული კულტურაცა და ქართული ენაც, არნოლდ ჩიქობავას კულტურა, არნოლდ ჩიქობავას ენა, რომლის კვლევასაც, ისევე როგორც სხვა ენებისა, მან მთელი ცხოვრება შეალია. როგორც შემატყობინეს, გალში ქართული სკოლა აღარ არსებობს, ორი სკოლიდან ერთი რუსულია, ხოლო მეორე — აფხაზური, რუსულის გაძლიერებული სწავლებით. ქართულს კი მხოლოდ კვირაში ერთი საათი ეთმობა, სხვა დროს ქართველებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებსაც ქართულად ლაპარაკი ეკრძალებათ. რა არის ეს თუ არა ენობრივი გენოციდის, მე სხვა სიტყვას ვერ გამოვიყენებ, გამოვლენა? განა შეიძლება ადამიანს წაართვა ენა — ეროვნული კულტურისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების უპირველესი საშუალება?

ჯერ რუსეთის იმპერიაში, შემდეგ კი საბჭოთა სინამდვილეში იყო ასეთი რამ, მაგრამ განა შეიძლება ძველი სისტემის სიმახინჯის დღეს გამეორება?

ვინ აგებს პასუხს აფხაზეთში დარჩენილი ბავშვების ცნობიერების დამახინჯებაზე? ეს ხომ გაგრძელებაა იმ ეთნიკური წმენდისა, რომელმაც სამასი ათასზე მეტი ქართველი გამოდევნა ამ კუთხიდან.

ვინ აგებს პასუხს იმ ბავშვების ცნობიერებაზე, რომელთა მახსოვრობაში დიდი უსამართლობაა დალექილი და მუდმივად ფეთქავს დაუოკებელი სწრაფვა საკუთარ სახლში დაბრუნებისა?

ეს ხომ გაუთავებელი პროცესია, მე ვიტყოდი ფეთქებადი თავისი ლოგიკური შედეგებით?

ნურავის ნუ შეაცდენს ამწამიერი გამარჯვებანი.

ჩვენ კავკასიიდან არსად არ ვაპირებთ წასვლას და ჩვენს ურთიერთობაში არაფერი უნდა იყოს ისეთი, რაც არამარტო ჩვენ, არამედ ჩვენს შთამომავლობასაც სისხლისმღვრელ და დამღუპველ კონფლიქტებში ჩაითრევს. თანამედროვე იარაღი ჩვენ არ გვაძლევს კონფლიქტის გაჩაღების უფლებას, ისევე, როგორც საკონფლიქტო სიტუაციის შექმნის უფლებას.

ოცდამეერთე საუკუნეში კავკასიაში სისხლიანი კონფლიქტი იმას ნიშნავს, რომ კავკასია იყოს, ხოლო კავკასიელები აღარ.

ბოლოსდაბოლოს კავკასია მხოლოდ მთები ხომ არაა.

ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და სად უნდა ითქვას ეს, თუ არა თქვენთან, ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო სტუმრებო. გწერთ კიდეც ადიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ასლან ჯარიმოვი თავის მისალმებაში (მე დიდი სიამოვნებით ვახდენ ამ სიტყვების ციტირებას): „დიდად სამწუხაროა, რომ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ კავკასიის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას უკანასკნელ წლებში ზიანი მიაყენა ერთაშორისმა და სამხედრო კონფლიქტებმა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ხალხებს ეყოფათ ძალა, ნება და სიბრძნე, რომ საერთო კავკასიურ სახლში უზრუნველყონ მშვიდობა და სიმშვიდე, თავიდან აიცილონ ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა და, საერთოდ, ჩვენი რეგიონის ადამიანთა ერთმანეთისაგან გაუცხოება.

ეჭვსგარეშეა, რომ ამ კეთილშობილ მიზნებს ემსახურება კავკასიის დიდი შვილისა, მართლაცდა დიდი შვილისა და დიდი ადამიანის არნოლდ ჩიქობავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი".

სხვათაშორის, როდესაც თავის დროზე არნოლდ ჩიქობავა და ქართული საენათმეცნიერო სკოლა სწავლობდნენ და შთამომავლობას ძვირფას რელიკვიად უნახავდნენ კავკასიურ ენებს, ეს მხოლოდ მეცნიერული ნაბიჯი კი არ იყო, დიდი კაცთმოყვარული ნაბიჯიც გახლდათ. ამ მხრივ არნოლდ ჩიქობავა და მისი სკოლა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ბევრს გვეუბნება. დღეს ყოველი ჩვენგანის ძალისხმევა იმისათვის უნდა იყოს მიმართული, რომ ჩატეხილი ხიდები აღვადგინოთ, დაკარგვის პირას მისული ენები და კულტურები ავაღორძინოთ.

ამ მხრივ არნოლდ ჩიქობავას მაგალითი შესასწავლია და მისაბაძი. მაგალითი კაცისა, რომელმაც სიყვარულით მოინადირა კავკასია, რომელმაც „უდიდესი გავლენა მოახდინა ჩრდილოეთ კავკასიის, არამარტო ენათმეცნიერების, არამედ საზოგადოდ მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე". ეს სიტყვები პროფესორ აფთი თიმაევს ეკუთვნის.

ერთხელ უკვე ვთქვი, რომ ყოველივე ამას მან მიაღწია არა მხოლოდ დიდი ცოდნით, განსაკუთრებული, გამორჩეული ნიჭიერებითა და სიყვარულით, არამედ იმ თავისი მოწაფეებითაც, რომელნიც მრავლად ჰყავდა საქართველოსა, ჩრდილოეთ კავკასიასა და სხვა ქვეყნებში. მათ მასწავლებლის პათოსით გააგრძელეს დიდი მოძღვრის საქმე. და მე გულწრფელ მადლობას მოვახსენებ თითოეულ მათგანს ამ დიდი მოღვაწეობისათვის.

მე ვფიქრობ, ახლა, როდესაც არაერთი ტრაგიკული მცდელობაა კავკასიაში დიდი ხანძრის გაჩაღებისა, სწორედ მათ უნდა თქვან თავისი სიტყვა.

არ შემიძლია დიდი კმაყოფილებით არ აღვნიშნო, რომ არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის მიიღო იმ მეცნიერთა დიდმა ჯგუფმა, რომელნიც მესამური ერთგულებით აგრძელებენ არნოლდ ჩიქობავას, მეცნიერისა და მოქალაქის, დიდ ტრადიციებს. რა ბევრისმთქმელია, რომ მათ შორისაა აკადემიკოსი ქალბატონი ქეთევან ლომთათიძე, ჩვენი დროის დიდი მოღვაწე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზურ-ადიღეური ენების შესწავლაში და ქალბატონი ლიდა ჭკადუა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თვალსაჩინო აფხაზი მეცნიერი, რომელსაც მეტად ფასეული ნაშრომები აქვს აფხაზური ენის სისტემისა და ისტორიის საკითხებზე, სამწუხაროდ, ყველას ვერ ჩამოვთვლი.

ასეთი ერთად ყოფნა ბევრს ნიშნავს.

არ შეიძლება არ მივულოცო ეს პრემია ჩვენს უხუცეს ოს მეცნიერს, თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდ მეცნიერს, თავისი ხალხის დიდ პატრიოტს და ქართველთა დიდ მოკეთეს, არნოლდ ჩიქობავას მეგობარს, აკადემიკოს ბატონ ვასილ აბაევს, კავკასიელთა მშვიდობიანი თანაცხოვრების დიდ მოსურნეს.

არ შემიძლია ეს პრემია არ მივულოცო ყველა ლაურეატს, უკლებლივ ყველას.

დღევანდელი თქვენი შეკრება იძლევა დიდ იმედს — ჯერ კიდევ შეიძლება დამღუპველი პროცესების შეჩერება, რა თქმა უნდა, სხვა ხალხებთან ერთად.

ჩვენ უნდა აღვადგინოთ ძველი, დაკარგული კონტაქტები, ჩვენ მზად ვართ საქართველო კვლავ ვაქციოთ კავკასიის არამარტო სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურის ცენტრად, არამედ იმ ქვეყნად, რომლის არსებობა რეგიონში გამორიცხავს სისხლიან კონფლიქტებს, რა თქმა უნდა, სხვა ხალხებთან ერთად.

აქვე ხაზგასმით ისიც უნდა ვთქვა, რომ კავკასიის ქვეყნების ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობა და კავკასიაში უსისხლო ზონის შექმნა, არამც და არამც არ ეწინააღმდეგება მეზობელი ქვეყნების საარსებო ინტერესებს, მეტიც, მშვიდობიანი კავკასია, რომლის იდეაც აქ, თბილისში, დაიბადა, ალბათ, ერთგვარი გარანტი უნდა იყოს ამ ქვეყნებში მიმდინარე მშვიდობიანი პროცესების შეუქცევადობისა.

ჩვენი საერთო საცხოვრისი კავკასიონია, თავისი ღვთაებრივი სილამაზით, ჩვენი საერთო სიამაყე ზოგადკავკასიური ხასიათია და ზნე-ჩვეულებანი, ჩვენი ძმადნაფიცობა, ჩვენი შეხედულებანი ღირსებაზე, ვაჟკაცობაზე, სინდის-ნამუსზე.

თავის დროზე ითქვა, რომ მეცნიერები დაობენ, ხოლო პოლიტიკოსები ომობენ, თუმცა, იგივე პოლიტიკოსები, მშვიდობასაც ამყარებენ ხოლმე. ისტორიამ, თუნდაც მეოცე საუკუნისამ, იცის ამის მრავალი მაგალითი.

ეტყობა, კავკასიაში ახლა ის დრო დადგა, როცა მშვიდობა უნდა დავამყაროთ, მშვიდობა უნდა დავამკვიდროთ.

ჩვენ, კავკასიელები, ჩვენი თავისუფლებისმოყვარე მითიური გმირივით — კავკასიის მთებზე ვართ მიჯაჭვულნი, მასავით ჩვენც არსად წაგვესვლება, მასავით ცასთანაც ახლოს ვართ და მიწასთანაც და სწორედ ამიტომ ამ მთებს არ შეიძლება სისხლი ეცხოთ.

მადლობას გიხდით ყურადღებისათვის.

„მეცნიერს ვერავინ წაართმევს იმას, რაც გაუკეთებია", — წერდა დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა. მართლაც ასე მოხდა. დიდ აღიარებასთან ერთად მეცნიერს მოწინააღმდეგეც ჰყავდა, მაგრამ დრომ ყოველივეს თავისი ადგილი მიუჩინა და არნოლდ ჩიქობავას სახელი დიდი ხანია შორს გასცდა საქართველოს ფარგლებს. ამის დასტურია ის, რომ მისი დაბადების 100 წლისთავი იუნესკოს ეგიდით აღინიშნა, ა. ჩიქობავას 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ენათმეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში კი მსოფლიოს მრავალი ცნობილი ენათმეცნიერი და მისი მოწაფეები მონაწილეობდნენ.

20 ოქტომბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული საიუბილეო საღამო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლით დაიწყო **(ქვეყნდება „სრ" დღევანდელ ნომერში).**

სიტყვა უბადლო მეცნიერზე, რომელიც მშობლიური ენის ბურჯი იყო და დიდი ღვაწლი დასდო იბერიულ-კავკასიურ ენებს, წარმოთქვა მეცნიერებათა აკადემიის ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გუჩა კვარაცხელიამ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით საიუბილეო საღამოს მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალეკო თავხელიძე.

ა. ჩიქობავას მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობაზე, მის გამორჩეულ ადამიანურ თვისებებზე, მაღალ ზნეობრივ და მოქალაქეობრივ მრწამსზე ილაპარაკეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა პროფესორმა ბერნარდ უტიემ, რომელმაც დამსწრეთ გააცნო იუნესკოს გენერალური დირექტორის ფედერიკო მაიორის მისალმება და ქართულ ენაზე წარმოთქვა ამაღელვებელი სიტყვა დიდ მეცნიერზე, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, რუსეთის ფედერაციის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსმა მუხადინ კუმახოვმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ჰაჯი გამზათოვმა, ჩეჩენმა მეცნიერმა აფთი თიმაევმა, ინგუშმა მეცნიერმა რაისა ახიევამ, სენაკის ქიული შარგაევას სახელობის საშუალო სკოლის დირექტორმა მანანა ცომაიამ და სხვებმა. ადიღეელმა მეცნიერმა მირა ხაჩიმიზოვამ წაიკითხა ქვეყნის პრეზიდენტის ასლან ჯარიმოვის მისალმება, ამაღელვებელი იყო ჩრდილოეთ ოსეთის ცნობილი მეცნიერის ტამერლან გულიევის გამოსვლა, რომელსაც არნოლდ ჩიქობავასთან 35 წლის გულთბილი მეგობრობა აკავშირებდა.

საღამოზე გამოაცხადეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას პრემიის ახალი ლაურეატების სახელები.

ეს საპატიო წოდება მიენიჭა მეცნიერთა დიდ ჯგუფს. საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე.

საღამო დააგვირგვინა საზეიმო კონცერტმა.

საქინფორმი.

დავით ხიზანიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყურადღება!

ვაქვეყნებთ იმ მოქალაქეების მონაცემებს, რომლებმაც იუსტიციის სამინისტროს მიმართეს განცხადებით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ:

1. **ვალერიან ხრისტოფორეს ძე ლუკასოვი,** მცხ. უკრაინა, ჩერკასის ოლქი, ქ. ვატუტინო.
2. **ტატიანა პეტრეს ასული ლუკასოვი,** მცხ. უკრაინა, ჩერკასის ოლქი, ქ. ვატუტინო.
3. **ალა ვალერიანის ასული ლუკასოვი,** მცხ. უკრაინა, ჩერკასის ოლქი, ქ. ვატუტინო.

მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ორგანოებს, რომელთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მსურველ პირს აქვს შეუსრულებელი მოვალეობები, ან ქონებრივი ვალდებულებანი, ვთხოვთ, ერთი თვის ვადაში მიმართონ იუსტიციის სამინისტროს და წარმოადგინონ აღნიშნული დამადასტურებელი დოკუმენტი.

მისამართი: 380082, ქ. თბილისი,
რუსთაველის გამზ. 30.
მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველო.
ტელ: 99-67-98, 99-03-44, 99-05-23.

პარლამენტის თავმჯდომარე

ტენდერით უნდა მოწესრიგდეს

მიწის დეპარტამენტსა და მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივს შორის წარმოქმნილი დავა იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან ამ ინსტიტუტის თანამშრომელთა შეხვედრის მიზეზი.

ინსტიტუტის თანამშრომელთა შეფასებით, კონფლიქტი უფრო სუბიექტურ ხასიათს ატარებს და მათივე თქმით, ცალკეულ მოხელეთა მიერ არის პროვოცირებული. ისინი მზად არიან განიხილონ დავის გადაწყვეტის ყველა კონსტრუქციული ვარიანტი.

როგორც ბატონმა ზურაბ ჟვანიამ შეხვედრაზე აღნიშნა, საქართველოში, სადაც აგრარული რეფორმა გადამწყვეტ ფაზაში შედის, ყალიბდება მიწის ბაზარი, ასეთი პროფილის ინსტიტუტს უდიდესი ფუნქცია ეკისრება. მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ის უნიკალური სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც აქ არსებობს. რაც შეეხება თავად კონფლიქტის არსს, პარლამენტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ყველაფერი დროის მოთხოვნისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით უნდა მოწესრიგდეს. პრაქტიკული ამოცანები მაღალი სამეცნიერო ხარისხისა და ტენდერების ეფექტიანი გამოყენებით უნდა მოწესრიგდეს ეს საკითხები, უახლოეს დროში, დეტალური განხილვის საგნად იქცევა.

პარლამენტის პრესსამსახური.

სახელდახელოდ

მგელს უთხრეს — ცხვარში უნდა გაგგზავნოთ, შენი შვილი — კრავშიო. აქაც მე წავალ და იქაცო

(პირველი გვერდიდან)

კიდევ გყავთ ასეთი ოფიცრები, ბატონო მინისტრო?

გვეყოლებათ. დაგახვედრეს.

ავანტიურისტი ყოფილა ეგ პოლკოვნიკი, ან პატრონის დავალების ზუსტად შემსრულებელი — აქციის უპერსპექტივობის მიუხედავად დააფიქსიროს ფაქტი ამბოხის, როგორც დასტური საქართველოს არასტაბილური მდგომარეობის, რაიც ასე სჭირდება საქართველოს ტაქტიკურ თუ სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებს.

ეგონა ელიავას, რომ აჰყვებოდა სამეგრელოს, იმერეთის და ა. შ. მოსახლეობა? ხელში აყვანილს შემოაბრძანებდა დედაქალაქში? იგიც დაგვირიგებდა ხელფასებს, პენსიებს, ინვესტორები დაგვაყრიდნენ ფულებს, სავალუტო ფონდი — ოღონდ თქვენ მოისურვეთ, და ყველაფერზე ყაბულსა ვართო. ავყვავდებოდით და გავიფურჩქნებოდით ნემო ბურჭულაძის ბრძნული ხელმძღვანელობით...

ვისზე ელაპარაკობ?!

სარდლობის, თუნდაც ამბოხებული ნაწილის მეთაურობის პრეტენზიის მქონე კაცი მოლაპარაკებაზე მისულ პარლამენტიორს რომ ეტყვის — შენი მოკვლა რომ მინდოდეს, მოგკლავდიო, იბწკინე, ხომ არ გძინავს, ველურების ქვეყანაში ხომ არ მოხვდი? რადგან, რაც კაცობრიობამ თავი შეიცნო და დაპირისპირებულთა მოლაპარაკება შესაძლებლად ჩათვალა, მას შემდეგ პარლამენტიორის ხელის ხლება ყველა ხალხში და ყველა საუკუნეში აბსოლუტურად დაუშვებელი იყო. დღეს კაცობრიობის ტრადიციის გაგრძელება ელიავას სურვილზე ყოფილა თურმე დამოკიდებული — უნდა მოკლავს, უნდა — აცოცხლებს.

გადარჩა თემურ შამიაშვილი, თუმცა ეკრანზე კარგად ჩანდა, არ აკანკალებულა ელიავას გაცვეთილი მორალისა გამო.

შიმშილისა და გაჭირვების გამო აჯანყდაო, ხმა დაირხა თბილისში, სენაკის ბრიგადა. რაღაც არ ჰგავდა ნაშიმშილებ კაცს ელიავა: კარგად ნაპატივები ღიპი ისე გადმოეგდო ქამარს ზემოთ, როგორც რამ ჩინი მისი აღმატებულობის დამადასტურებელი.

ცოტა გინახავთ ხალხის გაჭირვებაზე მზრუნველი ნასუქი პოლიტიკოსი? ელიავასი რა გამკვირვებია?!

გვინახავს და გვისწავლია კიდეც — რუსეთის გაძვალტყავებული პროლეტარიატის ბელადი არაპროლეტარულად რომ ცხოვრობდა შვეიცარიებსა და გერმანიებში...

უკვდავია ტრადიცია სხვის კისერზე ჯდომისა პატრიოტული მოტივით. არ მითხრათ ახლა, ელიავა ყანას ამუშავებდა და მოწეული მოსავლით ცხოვრობდა, გაყიდდა მოსავალს, იყიდდა ერბოს, გაყიდდა ერბოს და...

„მოიქნია გლეხმა სახრე"...

მაგრად მოიქნიეს ამბოხებული პოლკოვნიკი. ახლა გარბის. გზაც იქით ჰქონია.

მერე დაიჭერენ, აპატიებენ, ისევ აჯანყდება. რა ჰქნას აბა, თუ ასეთი პროფესია აქვს?!

* * *

მორალი იხილე საბასთან.

არმაზ სანებლიძე.

უკომენტაროდ

ჩვენ უკავშიროდ სიცოცხლე არ გვიწერია!

აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა. სახელმწიფოს მეთაური, უმაღლესი მთავარსარდალი ედუარდ შევარდნაძე კამუფლაჟით ბრძოლის ველზე იმყოფებოდა. საღამოს სოხუმიდან დამირეკა: — ვახტანგ, ეგებ, წახვიდე მოსკოვში და სთხოვო გრაჩოვს, გამოგზავნოს ის დივიზიები, რომლებიც ომის გასაჩერებლად იყო გათვალისწინებული? საქართველო იტანჯებოდა თავისი თვითიზოლაციონიზმის გამო. მაგრამ, სიტყვა დსთ ზოგზოგებისათვის უსაზარლესი აბრევიატურა იყო. მას ნეიტრალური კონტექსტითაც კი არ წარმოთქვამდნენ და ყველაზე საშინელ ანტიქართულ მოვლენად თვლიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დსთ შექმნის იდეა კეთილმოსურნე მეგობრებისაგან არ მომდინარეობდა, თანამეგობრობის შექმნას მაინც, გვინდოდა თუ არ გვინდოდა, თავისი დადებითი საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. დსთ შემადგენლობაში ყოფნა სულაც არ განიჭებდა რაღაც შეღავათებისა და პრივილეგიების გარანტიას. და მაინც, საქართველო, როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, არ შეიძლებოდა თანამეგობრობის ფარგლებს გარეთ დარჩენილიყო.

— კეთილი, ბატონო ედუარდ, — ვუპასუხე მაშინ. — ვიფიქრებ...

ეს საუბარი 1993 წლის 19 სექტემბერს გაიმართა. სამი დღით ადრე კი, სოჭში შეხვედრისას, გრაჩოვმა შევარდნაძეს დასახმარებლად შესთავაზა „სვეტნაზის" ორი დივიზია, რათა შეექმნა ბუფერული ზონა და გაეკვეთა საბრძოლო მოქმედების ხაზი. საქართველოს ახალგაზრდა „ძალოვანებმა" ცივი უარი განაცხადეს. მათი აზრით, ეს „ოკუპაცია იქნებოდა". არ გინდათ, ნუ გინდათო, გული მოუვიდა გრაჩოვს. სოხუმში არ წყდებოდა საარტილერიო სროლა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. არ მასვენებდა აზრი, რა მელოდა. დილით სოხუმში დავრეკე — ბატონო ედუარდ, მე ვერ წავალ მოსკოვში.

— რატომ? რა უნდათ? — მკითხა მოკლე პაუზის შემდეგ.

— მე ვფიქრობ, უნდათ, რომ ჩვენ თანამეგობრობაში შევიდეთ.

— ჰოო? კეთილი, კეთილი, — თქვა და ელდანაცემმა დადო ყურმილი.

წყეულიმც იყოს ყველა პოლიტიკოსი, რომელთა ახირებასაც ეწირებიან ადამიანები! წამით წარმოვიდგინე, როგორ დამიშენენ ქვას თანამეგობრობის მოწინააღმდეგენი. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება მომკლან, არც ამას შევუშინდები, მაგრამ თვალწინ წარმომიდგა ჩემი შვილების — „მოღალატის" შვილების ბედი... და მაინც, სხვა გამოსავალი არ არის, გადავწყვიტე მე, თორემ ქვეყანა საბოლოოდ დაიღუპება. მოვიხმე თანაშემწე, სასწრაფოდ მოვიწვიე „ოსტანკინოს" ტელეჟურნალისტები, მივეცი ინტერვიუ, საქართველო თანამეგობრობაში უნდა შევიდეს, ვთქვი მაშინ. აღვნიშნე, რომ ეს ჩემი პირადი აზრია, რომელიც არავის არ მოუხვევია თავს... გამოსვლის შემდეგ, გეგონებოდა, ცა დამემხოო თავზე. მოდური აზროვნების პოლიტიკანები საჯაროდ კამათობდნენ მხოლოდ ერთზე — იმაზე, თუ რა აჯობებს, როგორ დამსაჯონ სიკვდილით — ჩამომახრჩონ თუ ოთხში ამომიღონ... ტელეგადაცემის შემდეგ სახლში წავედი. ის იყო კარი გავაღე, რომ ყველა ტელეფონი ერთად აწკრიალდა. ტელევიზიიდან შემომითვალეს: აუცილებლად უნდა გამოხვიდეთო. სოხუმიდან რეკავდა შევარდნაძე. ასეთი განრისხებული არავის ენახა: დაე, გოგუაძე ხალხის წინაშე გამოვიდეს და თქვას, რომ მე არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს ამ უპასუხისმგებლო განცხადებასთან. მათ სურდათ, მომენანიებინა. გამოვსულიყავი და მეთქვა, შევცდი, ავჩქარდი-მეთქი, და ასე შემდეგ. მეც წავედი ტელევიზიაში. საათზე მეტხანს გრძელდებოდა ჩემი ინტერვიუ. პოზიცია არ შემიცვლია. ვლაპარაკობდი ნამუსიანად, უკომპრომისოდ, განვმარტავდი, რომ სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს. დასაკარგი არაფერი მქონდა. მაგრამ, მოხდა სასწაული — ხალხმა ირწმუნა და ალაპარაკდა. სულ უფრო ხშირად მირეკავდნენ საქმიანი, სერიოზული ადამიანები, რომლებიც რეალურად უყურებდნენ სინამდვილეს. ეს ტალღა მთელ საქართველოს მოედო. ჯერ კიდევ შემორჩენილი მუშათა კოლექტივები მთხოვდნენ: მოდით, თანამეგობრობაში შევიდეთო. მირეკავდნენ კოლექტივების სახელით რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან, გალის რაიონიდან, სოხუმიდან... ერთი საყურადღებო დეტალი. თანამეგობრობაში შესვლის თაობაზე ჩემი გამოსვლიდან სამი დღის შემდეგ მიღება მთხოვა აშშ ელჩმა ქენთ ბრაუნმა. მან გადმომცა პრეზიდენტ კლინტონის წერილი ჩვენი პარლამენტისადმი, რომელიც რუსეთში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერას ეხებოდა. ჩვენი საუბრის დასასრულს, ელჩი დიპლომატიურად შეეხო თანამეგობრობის საკითხსაც. თქვა, რომ მთელი რიგი ადგილობრივი პარტიების განცხადებანი, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის წინააღმდეგი იყოს, ყოვლად უსაფუძვლოა. ეს თქვენი ხალხის ნებაა. მე შვებით ამოვისუნთქე და მადლობა გადავუხადე. მაშინ ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. დავიჯერე, რომ „მეგობრები" მხარს უჭერდნენ სწორ ნაბიჯს. მაგრამ, როდესაც გადავწყვიტე, გამეკეთებინა არანაკლებ სენსაციური განცხადება რუბლის ზონაში შესვლის მიზანშეწონილობის შესახებ, და თვითონ მოვიწვიე იგივე საელჩოს ერთ-ერთი მრჩეველი, ამჯერად „კეთილი" ამერიკული კლანჭები გამომიყვეს: ეს არაფრის დიდებით არ შეიძლებაო".

მაგრამ, 1994 წლის 9 იანვარს მე ყველასთვის მოულოდნელად მივედი ტელევიზიაში და იქიდან მივმართე საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს, ამომრჩევლებს. მოვუწოდე მათ, ეთხოვათ რუსეთისათვის, მიეღოთ საქართველო რუბლის ზონაში. მიმართვის მიზანი იყო, არ დაგვეკარგა ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობის პერსპექტივა. მთავარი კი ის გახლდათ, რომ უნდა გამოგვეცოცხლებინა აზრი საარსებო საჭიროების მქონე ეკონომიკური, ისტორიული ურთიერთობის შესახებ. აი, რა ვთქვი მაშინ: „თანამეგობრობაში შესვლით ჩვენ ერთი ნაბიჯი გადავდგით რუსეთის მიმართულებით და რუსეთმა გადმოდგა ერთი ნაბიჯი ჩვენკენ. მართალია, რუსებმა ცაში ქუდების სროლა არ დაიწყეს და სიხარულით არ აჭყლოპინებულან: კიდევ კარგი, საქართველომ გაგვაბედნიერაო. რუსეთი. ჩვენ პირდაპირ გვეცხადებს: „რამდენადაც თქვენ მოგვიახლოვდებით ჩვენ, იმდენად მოვიახლოვდებით ჩვენც. თუ თქვენ გსურთ ძმობა, ჩვენც გიძმობთო". ჩვენ კი რუსეთთან ულტიმატუმების ენაზე ველაპარაკობთ. არადა, შეგვიძლია ვილაპარაკოთ უფრო ღირსეულად — ძმობისა და ნდობის ენით. პირადად მე ვიამაყებ რუსეთთან ძმობით.

ვისაც ეს არ სურს, ეტყობა, უკეთესი ძმები ეგულება. პირდაპირ ვიტყვი: „რუსეთზე უფრო საიმედო ძმას ჩვენ ვერსად ვნახავთ... ვთხოვთ, ისე შეხედოთ რუსეთს, როგორც ილია ჭავჭავაძე უყურებდა. ერთხელ რუსეთმა უკვე გადაგვირჩინა კუთხეებად დანაწევრებული საქართველო. თუ ჩვენ არ ვაღიარებთ ამას, მაშინ შეგახსენებთ: ღმერთს არ უყვარს უმადურები, იქნება ეს ერთი კაცი თუ მთელი ერი!". თანამეგობრობაში საქართველოს შესვლამ, საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მუშაობაში ქართველების აქტიურმა ჩართვამ უდავოდ იხსნა ქვეყანა სრული ნგრევისაგან, თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთში ომის შეწყვეტის შემდეგ საშინელი მდგომარეობა იყო, მეტადრე, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში. როდესაც დსთ საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში გაწეულ მუშაობას ვიხსენებ, უნდა გითხრათ, რომ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნდობის აღდგენისათვის. მახსენდება ასეთი ეპიზოდი. 1994 წლის 8 თებერვალს პირველად ვმონაწილეობდი როგორც დსთ მეთორმეტე წარმომადგენელი საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში, რომელიც პეტერბურგში მიმდინარეობდა.

სხდომის შემდეგ ბანკეტი გაიმართა. მომცეს სიტყვა, და მეც ჩემი ექსპრომტი სადღეგრძელო დავასრულე რუსთაველის სიტყვებით: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიაო". ერთი სიტყვით, ვილაპარაკე კომუნისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. სუფრიდან რომ ავიშალეთ, ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი მონაწილე, გამომიწოდა მარჯვენა და მითხრა: „მადლობა თქვენ, მადლობა!". ეს იყო გენადი ზიუგანოვი. ეტყობა, იგი არ ელოდა ასეთ გულწრფელ სიტყვებს ჩვენი ხალხების მეგობრობის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ. 1994 წლის 18 მარტს, ამჯერადაც სახელმწიფოს მეთაურის დაუკითხავად, გავკადნიერდი, გადავდგი კიდევ ერთი ნაბიჯი. ასამბლეის სხდომაზე პეტერბურგში გავაკეთე შემდეგი შინაარსის განცხადება: „არა მგონია, ამერიკა აღმოაჩინო, თუ ვიტყვი, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის გასაღები ძევს არა ამერიკაში, არამედ რუსეთში. ჩვენ უნდა ვწყვეტდეთ ჩვენს პრობლემებს თანამეგობრობის ძალებით და, უწინარესად, რუსეთის აქტიური მონაწილეობით".

იდეამ გასჭრა. მშვიდობისმყოფელებმა, რომლებიც დღესაც აფხაზეთში არიან, შეაჩერეს ომი. ის იოტისოდენა და მშიერი სტაბილიზაცია, რომლითაც ხშირად მოაქვს თავი ჩვენს ახლანდელ ხელმძღვანელობას, დღეს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ემყარება. კავკასიაში ხალხთა საკლაოს მოწყობა მოინდომეს. მაგრამ ჩვენ დროზე მოვეგეთ გონს და გამოვახილეთ თვალი. რუსეთმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მსოფლიოს - რაოდენ დიადი და სულგრძელია და რაოდენ აქტუალურია დღეს დიდი მწერლის თეოდორე დოსტოევსკის სიტყვები: „... ეს მხარეები სულ მუდამ ერთმანეთს იქნებიან წაკიდებული, მოსვენებას დაჰკარგავენ ერთმანეთის მტრობით და გაუთავებლად მოუწყობენ ერთურთს ინტრიგებს. რა თქმა უნდა, როგორც კი რაღაც სერიოზული უბედურება დაემუქრებათ, ყველანი მყისვე რუსეთთან მოირბენენ დახმარების სათხოვნელად". წინასწარმეტყველური სიტყვებია! სწორედ ამიტომ, ჩვენში „საქართველოს ხსნის" სახალხო-პატრიოტული მოძრაობის შექმნა ობიექტური აუცილებლობით იყო გამოწვეული, როგორც პასუხი შევარდნაძის ანტისახალხო რეჟიმისადმი. მისი არსი ჯერ კიდევ 120 წლის წინათ ზუსტად დაახასიათა სალტიკოვ-შჩედრინმა, რომელმაც დაგვიხატა ნამდვილი ახლანდელი რეფორმატორი, —რომელიც მოვა, დაანგრევს ძველ ტაძარს, ახალს არ ააშენებს, და, [illegible] რომ იჯერებს, გაქრება". ჩვენი სახალხო-პატრიოტული მოძრაობის ლოკომოტივია საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, რომელსაც სათავეში უდგას გამოცდილი საბჭოთა გენერალი, პატიოსანი და გულადი კაცი პანტელეიმონ გიორგაძე, მამა ღირსეული ვაჟის და ასევე გენერლის — იგორ გიორგაძისა, რომელსაც ყოვლად უნამუსოდ დააბრალეს ტერორიზმი. ჩვენი სახალხო-პატრიოტული კავშირი შვიდი პარტიისაგან შედგება. ხალხმა მას „შესანიშნავ წითელ შვიდეულს" უწოდებენ. სახალხო-პატრიოტული კავშირის ლიდერთა შორის მრავლად არიან პოპულარული ადამიანები. ისეთები, როგორიცაა ვალერი დავითის ძე კვარაცხელია. ეს გახლავთ ცნობილი სოციოლოგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, რომელსაც ამ ბოლო ათწლეულის საქართველოს ყველა ხელისუფალნი სდევნიან და ავიწროებენ. სიმართლის მაძიებელს განსაკუთრებით არ სწყალობს ახლანდელი ხელმძღვანელობა. ვალერი კვარაცხელია იყო ყველაზე აქტიური ენთუზიასტი იმისა, რომ 90-იანი წლების დამდეგს საქართველოში დაგვებრუნებინა „უძღები შვილი", ედუარდ ამბროსის ძე, იმ იმედით, რომ მისი სახით ქართველი ხალხის ჭეშმარიტი პატრიოტი გვეყოლებოდა. აღმოჩნდა კი პირიქით. და ამისათვის ვალერი დავითის ძე მწარედ ანანეს. ლიდერთა შორის ჰყავნან სტალინური მემკვიდრეობის გენეტიკური პოლიტიკოსებიც — ევგენი იაკობის ძე ჯუღაშვილი. იგი გარეგნობით ძალიან ჰგავს თავის დიდ პაპას. სწორედ მან განასახიერა ფილმში სტალინის როლი. ბრძნულად ერკვევა ყოველგვარ საერთაშორისო მზაკვრობაში, ნამდვილი პატრიოტ-ინტერნაციონალისტი და, საერთოდ, შესანიშნავი ადამიანია. დადგა დრო ქვის შეგროვებისა, [illegible] რა, რომ ეს ბევრს გულზე არ ეხატება. რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულმა უნდა აშენოს. და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი მიზანია ვიაროთ ახალი ინტეგრაციული კავშირისაკენ, რომელსაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები შექმნიან, რამეთუ ეს არის ერთადერთი გზა ჩვენი გადარჩენისა.

ვახტანგ გოგუაძე,
ექსსპიკერი, საქართველოს
პარლამენტის წევრი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი
გაზ. „პრავდა", 9.X-98 წ.

იბეჭდება საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1998 წლის 18 ოქტომბერი — ქ. თბილისი

თანამდებობის პირთა დეკლარაციების საჯაროობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 ივლისის № 413 ბრძანებულებით დამტკიცებულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარირების პროცედურის სრულყოფისა და დეკლარაციების მონაცემების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით:

1. დამტკიცდეს თანამდებობის პირთა დეკლარაციების საჯაროობის უზრუნველყოფის თანდართული წესი.

2. „თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარირების პროცედურის რეგლამენტაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 ივლისის № 413 ბრძანებულებით დამტკიცებულ თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების ტექნიკურად სწორად შევსების ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-13 მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში სიტყვა „მარცხნიდან“ შეიცვალოს სიტყვით „ზემოდან“, ხოლო სიტყვა „ვერტიკალურ“ შეიცვალოს სიტყვით „ჰორიზონტალურ“;

ბ) მე-15 მუხლის 1-ლ პუნქტში სიტყვა „თხუთმეტმაგ“ შეიცვალოს სიტყვით „ორმოცდაათმაგ“.

გ) მე-16 მუხლი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის მე-3 წინადადებაში სიტყვები „თვის და რიცხვის“ შეიცვალოს სიტყვებით „რიცხვის და თვის“;

ე) 29-ე მუხლის 1-ლ პუნქტში სიტყვის „თაობაზე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობას“.

3. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 ივლისის № 413 ბრძანებულებით დამტკიცებულ თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარირების წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილ დეკლარაციებს საინფორმაციო ბიურო არ მიიღებს“.

ბ) მე-7 მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-4 პუნქტი;

გ) მე-7 მუხლის მე-8 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს მე-2 წინადადება.

დ) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის დადგენილი წესით წარუდგენლობის შემთხვევაში საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე ვალდებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლის, 239-ე მუხლის, მე-17 ნაწილისა და 241-ე მუხლის შესაბამისად შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის წარუდგენლობაზე და გადასცეს იგი შესაბამის სასამართლოს“;

ე) მე-12 მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-3 პუნქტი.

4. ეს ბრძანებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

თანამდებობის პირთა დეკლარაციების საჯაროობის უზრუნველყოფის წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრავს თანამდებობის პირთა დეკლარაციების საჯაროობის უზრუნველყოფის ზოგად საფუძვლებს, დეკლარაციების ფურცლების ასლების მოთხოვნისა და გაცემის, აგრეთვე დეკლარაციების ფურცლების გაცემული ასლების გამოყენების ნორმებს.

2. თანამდებობის პირთა დეკლარაციების მე-12 ფურცლების (საიდუმლო გრიფის) მონაცემების გაცნობის, დაცვისა და გაცემის წესი განისაზღვრება ცალკე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში ძირითადი ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

ა) თანამდებობის პირები — „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული თანამდებობრივი რეესტრით გათვალისწინებული ის თანამდებობის პირები, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსება;

ბ) ოჯახის წევრები — „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ოჯახის წევრები;

გ) სადეკლარაციო პერიოდი — თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში (შემდგომში — საინფორმაციო ბიურო) დეკლარაციების წარსადგენად კანონით განსაზღვრული ვადა;

დ) მორიგი სადეკლარაციო პერიოდი — ყოველწლიური სადეკლარაციო პერიოდი, როდესაც ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების საინფორმაციო ბიუროში წარდგენა სავალდებულოა ყველა თანამდებობის პირისათვის;

ე) რიგგარეშე სადეკლარაციო პერიოდი — სადეკლარაციო პერიოდი, როდესაც ცალკეული თანამდებობის პირებისათვის საინფორმაციო ბიუროში დეკლარაციების წარდგენა სავალდებულოა შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნასთან ან შესაბამისი თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით:

ვ) ფიზიკური პირი — საქართველოს ან უცხო სახელმწიფოს სრულწლოვანი მოქალაქე, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე სრულწლოვანი პირი;

ზ) იურიდიული პირი — საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის იურიდიული პირი;

თ) იურიდიული პირის წარმომადგენელი — საინფორმაციო ბიუროსაგან დეკლარაციის ფურცლების ასლების მიღებაზე იურიდიული პირის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი;

ი) შეზღუდული გავრცელების ინფორმაცია —

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციისათვის: მე-4 ფურცელზე ასახული მონაცემები ნებისმიერი მოძრავი ნივთის შესახებ; გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა; მე-7 ფურცელზე ასახული მონაცემები ანგარიშზე ან/და შენატანზე რიცხული თანხის შესახებ; მე-8 ფურცელზე ასახული მონაცემები;

საფინანსო დეკლარაციისათვის: მე-4 ფურცელზე ასახული მონაცემები ნებისმიერი მოძრავი ნივთის შესახებ, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა; მე-6 ფურცელზე ასახული მონაცემები ანგარიშზე ან/და შენატანზე რიცხული თანხის, ანგარიშის ან/და შენატანის გახსნის ან/და დახურვის თარიღის, ანგარიშიდან ან/და შენატანიდან მიღებული შემოსავლის შესახებ; მე-9 ფურცელზე ასახული მონაცემები საჩუქრის (ნივთის) სახეობისა და საჩუქრის (ნივთის) საბაზრო ღირებულების შესახებ, თუ ეს საჩუქრები არ წარმოადგენს უძრავ ნივთს ან სატრანსპორტო საშუალებას;

აქ აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებული ცნობები, რომლებიც ასახულია დეკლარაციაზე თანდართულ მასალებში;

კ) შეზღუდული გავრცელების ინფორმაციის მფლობელი — ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, იურიდიული პირის წარმომადგენელი, რომლებსაც ამ წესის შესაბამისად მიღებული აქვთ შეზღუდული გავრცელების ინფორმაციის შემცველი დეკლარაციის ფურცლების, თანდართული მასალების ასლები.

მუხლი 3. დეკლარაციების საჯაროობის უზრუნველყოფის ფორმები

საინფორმაციო ბიურო დეკლარაციების საჯაროობას უზრუნველყოფს:

ა) ფიზიკური პირების განაცხადების საფუძველზე დეკლარაციების ფურცლების ასლების გაცემით;

ბ) იურიდიული პირების განაცხადების საფუძველზე დეკლარაციების ფურცლების ასლების გაცემით;

გ) თანამდებობის პირთა ეკონომიკური ინტერესების ყოველწლიური ბიულეტენის გამოცემით;

დ) საჯაროობის უზრუნველყოფის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმებით:

მუხლი 4. დეკლარაციების საჯაროობის უზრუნველყოფის პერიოდი

დეკლარაციების საჯაროობა უზრუნველყოფილია შესაბამისი სადეკლარაციო პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ.

თავი II.
დეკლარაციების ფურცლების ასლების მოთხოვნისა და გაცემის საერთო წესი

მუხლი 5. დეკლარაციების ფურცლების ასლების მოთხოვნის სუბიექტები

დეკლარაციების საჯაროობის უზრუნველყოფის პერიოდში დეკლარაციების ფურცლების ასლების მოთხოვნის უფლება აქვთ:

ა) ფიზიკურ პირებს;

ბ) იურიდიულ პირებს.

მუხლი 6. განაცხადი თანამდებობის პირის დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემის თაობაზე

1. ფიზიკური პირის მიერ დეკლარაციის ფურცლების ასლების მისაღებად შევსებული უნდა იქნეს თანდართული ფორმის ფიზიკური პირის განაცხადი თანამდებობის პირის დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემის თაობაზე (დანართი № 1).

2. იურიდიული პირის მიერ დეკლარაციის ფურცლების ასლების მისაღებად შევსებული უნდა იქნეს თანდართული ფორმის იურიდიული პირის განაცხადი თანამდებობის პირის დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემის თაობაზე (დანართი № 2).

3. ერთი განაცხადის საფუძველზე გაიცემა მხოლოდ ერთი თანამდებობის პირის მიერ ერთი სადეკლარაციო პერიოდის განმავლობაში შევსებული დეკლარაციის ფურცლების ასლები.

4. ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე განაცხადების ფორმებს გასცემს საინფორმაციო ბიურო.

მუხლი 7. საინფორმაციო ბიუროს მიერ განაცხადის მიღება

1. შევსებული განაცხადი თანამდებობის პირის დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემის თაობაზე წარედგინება საინფორმაციო ბიუროს.

2. შევსებულ განაცხადს საინფორმაციო ბიუროში წარადგენს უშუალოდ განმცხადებელი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირის წარმომადგენელი.

3. შევსებული განაცხადის საინფორმაციო ბიუროში შეტანისას შესაბამისად ფიზიკურმა პირმა ან იურიდიული პირის წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი (მოქალაქეობის არმქონე პირმა — პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი საბუთი).

4. შევსებული განაცხადის საინფორმაციო ბიუროში წარდგენისთანავე ფიზიკურ პირს (იურიდიული პირის წარმომადგენელს) განემარტება განაცხადის განხილვის ვადები და დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემის პირობები.

5. ამ წესის დარღვევით შევსებული ან წარდგენილი განაცხადი საინფორმაციო ბიუროს მიერ არ მიიღება.

მუხლი 8. განაცხადის განხილვა და დაკმაყოფილება

1. განაცხადი საინფორმაციო ბიუროში განიხილება და შესაბამისი დეკლარაციის ფურცლების ასლები გაიცემა განაცხადის საინფორმაციო ბიუროში მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

2. დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემის დადასტურების მიზნით საინფორმაციო ბიუროში შეივსება თანდართული ფორმის თანამდებობის პირის დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემის თაობაზე ფიზიკური ან იურიდიული პირის განაცხადის განხილვისა და დაკმაყოფილების ცნობა (დანართი № 3). შევსებული ცნობის პირველი პირი რჩება და ინახება საინფორმაციო ბიუროში, ხოლო ასლი დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემისთანავე გადაეცემა შესაბამისად განმცხადებელ ფიზიკურ პირს ან განმცხადებელი იურიდიული პირის წარმომადგენელს.

მუხლი 9. დეკლარაციაზე თანდართული მასალების ასლების გაცემა

1. დეკლარაციის ფურცლის ასლის გაცემისას სავალდებულოა დასაზუსტებელი მონაცემების განმარტებისა და დაზუსტების თაობაზე შესაბამისი თანამდებობის პირის დასკვნის ასლის გაცემაც, თუ დასკვნაში განმარტებული ან დაზუსტებული მონაცემები ასახულია დეკლარაციის მოცემულ ფურცელზე.

2. დეკლარაციაზე თანამდებობის პირის მიერ თანდართული სხვა მასალების (ამ მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული მასალების გარდა) ასლები საინფორმაციო ბიუროს მიერ გაიცემა მოთხოვნის შემთხვევაში, თუ საინფორმაციო ბიუროს მიღებული ექნება შესაბამისი თანამდებობის პირის წერილობითი ნებართვა მის მიერ დეკლარაციაზე დართული მასალების ასლების გაცემის თაობაზე.

მუხლი 10. განმცხადებლის შესახებ მონაცემების გაცემის შეზღუდვა

1. დეკლარაციების ფურცლების ასლების მომთხოვნი ცალკეული ფიზიკური პირის, იურიდიული პირის, იურიდიული პირის წარმომადგენლის შესახებ მონაცემები საინფორმაციო ბიუროს მიერ არ გაიცემა.

2. ამ მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნული მონაცემების გაცემა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი მოტივირებული მოთხოვნის საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოკვლევის ან გამოძიების, აგრეთვე სასამართლო განხილვის მიზნით გამოსაყენებლად.

თავი III
დეკლარაციების ფურცლების და თანდართული მასალების ასლებით სარგებლობის შეზღუდვა

მუხლი 11. შეზღუდული გავრცელების ინფორმაციით სარგებლობის წესი

1. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 23 თებერვლის კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, ადამიანის პირად (კერძო) საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციით სამართლიანი სარგებლობის, მოქმედი კანონმდებლობით კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის შეზღუდული გავრცელებისა და დაცვის მიზნით შეზღუდული გავრცელების ინფორმაციის მფლობელს უფლება არა აქვს:

ა) გასავრცელებლად გაამრავლოს, გაავრცელოს ან გამოაქვეყნოს შეზღუდული გავრცელების ინფორმაციის შემცველი ასლები;

ბ) გააცნოს ან გადასცეს სხვა პირს შეზღუდული გავრცელების ინფორმაციის შემცველი ასლები;

გ) საჯარო ადგილას გააკრას შეზღუდული გავრცელების ინფორმაციის შემცველი ასლები;

დ) სხვა ფორმით გაამჟღავნოს შეზღუდული გავრცელების ინფორმაცია.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ გამოიყენება, თუ შეზღუდული გავრცელების ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება ოფიციალური საბუთის სახით შესაბამისად მომკვლევ ან საგამოძიებო ორგანოებში, სასამართლო დაწესებულებაში წარდგენას ან თუ უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტით შეზღუდული გავრცელების ინფორმაციით სარგებლობის განსხვავებული წესებია დადგენილი.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა აგრეთვე არ გამოიყენება, თუ შეზღუდული გავრცელების ინფორმაციის მფლობელს შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ წერილობითი ნებართვის ფორმით მიენიჭა მოცემული ინფორმაციით თავისუფალი სარგებლობის უფლება.

მუხლი 12. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ შეზღუდული გავრცელების ინფორმაციით სარგებლობის წესი

1. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ შეზღუდული გავრცელების ინფორმაციის გამჟღავნება.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ გამოიყენება, თუ შეზღუდული გავრცელების ინფორმაციის მფლობელს შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ წერილობითი ნებართვის ფორმით მიენიჭა მოცემული ინფორმაციით თავისუფალი სარგებლობის უფლება.

მუხლი 13. დასაზუსტებელი მონაცემების განმარტებისა და დაზუსტების თაობაზე დასკვნის გამოყენება

დასაზუსტებელი მონაცემების განმარტებისა და დაზუსტების თაობაზე დასკვნის არსებობის შემთხვევაში თანამდებობის პირის დეკლარაციის დაზუსტებული მონაცემები განიმარტება მხოლოდ მოცემული დასკვნის შესაბამისად.

თავი IV.
დეკლარაციების საჯაროობის უზრუნველყოფის სხვა ფორმები

მუხლი 14. თანამდებობის პირთა ეკონომიკური ინტერესების ბიულეტენი

1. თანამდებობის პირთა ეკონომიკური ინტერესების ბიულეტენს გამოსაცემად ამზადებს და მის გამოცემას უზრუნველყოფს საინფორმაციო ბიურო.

2. თანამდებობის პირთა ეკონომიკური ინტერესების ბიულეტენი გამოიცემა ყოველწლიურად შესაბამისი წლის მორიგი სადეკლარაციო პერიოდის დასრულების შემდეგ.

3. თანამდებობის პირთა ეკონომიკური ინტერესების ბიულეტენში განზოგადებული სახით აისახება თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის მაჩვენებლები. ბიულეტენის შედგენისას დაცული უნდა იქნეს ამ წესის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 15. დეკლარაციების საჯაროობის უზრუნველყოფის სხვა ფორმები

საინფორმაციო ბიურო შესაძლებელია დეკლარაციების საჯაროობას უზრუნველყოფდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმებითაც.

მუხლი 16. დეკლარაციის მონაცემებით ოფიციალური სარგებლობის საფუძველი

თანამდებობის პირის ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის ამსახველი ოფიციალური საბუთია საინფორმაციო ბიუროში წარდგენილი, რეგისტრირებული და შენახული დეკლარაცია, აგრეთვე საინფორმაციო ბიუროს ბეჭდით დამოწმებული ამავე დეკლარაციის ასლი.

დანართი №1

ფიზიკური პირის
განაცხადი
თანამდებობის პირის დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემის თაობაზე

თანამდებობის პირთა ქონებრივი
და საფინანსო მდგომარეობის
საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარეს
____
მოქალაქე________________
____
(ფიზიკური პირის სახელი და გვარი)

განაცხადი

გთხოვთ, გასცეთ________________

(თანამდებობის პირის თანამდებობის სრული დასახელება იმ სახელმწიფო დაწესებულებაში, სადაც იგი მუშაობს ან მუშაობდა შესაბამისი სადეკლარაციო პერიოდის დასაწყისისათვის) ________ ________ (თანამდებობის პირის სახელი და გვარი) მიერ ________ წლისათვის მორიგ სადეკლარაციო პერიოდში (თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით) შევსებული:

1. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის________ ფურცლები;
2. საფინანსო დეკლარაციის ________ ფურცლები;

განაცხადის მოტივაცია: ________________

(განაცხადის მოტივაცია შეივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის საგანს წარმოადგენს დეკლარაციის მე-12 ფურცელი)

განმცხადებელი ფიზიკური პირის:
ა) ხელმოწერა: ________
ბ) მუდმივად საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი: ________
გ) პირადობის მოწმობის სერია და ნომერი, პირადი ნომერი ან პასპორტის სერია და ნომერი: ________
დ) მოთხოვნის შედგენის თარიღი: ________

საინფორმაციო ბიუროს მიერ განაცხადის მიღებას

ვადასტურებ

საინფორმაციო ბიუროს
თავმჯდომარე ________ (ხელმოწერა)
საინფორმაციო ბიუროს მიერ განაცხადის მიღების თარიღი: ________

დანართი №2

იურიდიული პირის
განაცხადი
თანამდებობის პირის დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემის თაობაზე

თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო
მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს
თავმჯდომარეს ________
მოქალაქე ________
____
(ფიზიკური პირის სახელი და გვარი)

განაცხადი

გთხოვთ, გასცეთ________ (თანამდებობის პირის თანამდებობის სრული დასახელება იმ სახელმწიფო დაწესებულებაში, სადაც იგი მუშაობს ან მუშაობდა შესაბამისი სადეკლარაციო პერიოდის დასაწყისისათვის) ________ (თანამდებობის პირის სახელი და გვარი) მიერ ——— წლისათვის მორიგ სადეკლარაციო პერიოდში (თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით) შევსებული:

1. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ________ ფურცლები;
2. საფინანსო დეკლარაციის ________ ფურცლები

განაცხადის მოტივაცია: ________

(განაცხადის მოტივაცია შეივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის საგანს წარმოადგენს დეკლარაციის მე-12 ფურცელი)

განაცხადის წარმოდგენასა და თანამდებობის პირის დეკლარაციის ფურცლების ასლების მიღებაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები —
ა) სახელი და გვარი: ________
ბ) ხელმოწერა: ________
გ) სამსახური: ________
დ) თანამდებობა: ________
ე) პირადობის მოწმობის სერია და ნომერი, პირადი ნომერი ან პასპორტის სერია და ნომერი: ________
ვ) მუდმივად საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი: ________

განმცხადებელი იურიდიული პირის რეკვიზიტები —
ა) სრული ოფიციალური სახელწოდება: ________
ბ) იურიდიული მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი : ________
გ) მარეგისტრირებელი ორგანოს სახელწოდება, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი (თუ იურიდიული პირი ექვემდებარება რეგისტრაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად); ________

(იურიდიული პირის ბეჭდის ადგილი)

განმცხადებელი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ან იურიდიული პირის სახელით ხელმოწერაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის)—
ა) თანამდებობა: ________
ბ) სახელი და გვარი: ________
განაცხადის შედგენის თარიღი: ________ ხელმოწერა: ________
საინფორმაციო ბიუროს მიერ განაცხადის მიღებას

ვადასტურებ

საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე ________ (ხელმოწერა)

საინფორმაციო ბიუროს მიერ განაცხადის მიღების თარიღი: ________

დანართი №3

თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის
საინფორმაციო ბიურო

ცნობა

ეძლევა ________
________, მასზედ რომ მისი
(ფიზიკური პირის სახელი და გვარი ან იურიდიული პირის სრული სახელწოდება)
________ განაცხადი ________
(თარიღი და ნომერი) (თანამდებობის პირის თანამდებობა, სახელი და გვარი,
____
საიდენტიფიკაციო ნომერი)
____

——— წლის სადეკლარაციო პერიოდში შევსებული დეკლარაციის ფურცლების ასლების გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებულია მთლიანად (ნაწილობრივ) და შესაბამისად გაიცა:

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ფურცლის ნომერი: ________.

საფინანსო დეკლარაციის ფურცლის ნომერი: ________.

განსაკუთრებული აღნიშვნები: ________

დეკლარაციის ფურცლების ასლების გადაღების საფასური სრულად არის გადახდილი შემდეგი ოდენობით: ________. (განმცხადებელს უკან დაუბრუნდა დეკლარაციის ფურცლების ასლების გადაღების საფასური შემდეგი ოდენობით: ________).

საინფორმაციო ბიუროს
თავმჯდომარე ________
(ხელმოწერა)

— „———“ 199
(თარიღი)

განმცხადებელი ________
(ხელმოწერა)



აბა ყვავებს ვინ დაიჭერს...

მსახიობები იმპულსური ხალხია. ჯერ რაღაცას ჩაიდენენ, და მხოლოდ შემდეგ იწყებენ ფიქრს. ასე მოუვიდა 46 წლის ოპერის მომღერალს ჯორჯ პედრერასაც, შესანიშნავ ბარიტონს, რომელსაც ეჭვიანობის ნიადაგზე შემოაკვდა ცოლი და ამისათვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. ცოტა ხანს იგლოვა, მერე კი კვლავ მოუნდა სიმღერა, და ჩამოაყალიბა „ყმაწვილთა გუნდი“, რომელშიც შედიან ნარკოტიკის მოვაჭრეები, მოძალადეები და მკვლელები. ციხის დოკუმენტებით, „ყმაწვილები“ საოპერო კლუბის წევრებად გადიან. ისინი უშვებენ კასეტებსა და CD დისკოებს, რომლებსაც დიდი წარმატება აქვთ მსმენელთა შორის.

გივი ყვარელაშვილის ინიციატივა პერუშიც აუტაციათ

პერუს დედაქალაქში ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. გამოცდილი ჟიური, რომელშიც შედიოდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები და პოლიტიკური მოღვაწენი, ირჩევდა... ქალთა საპყრობილის სანტა-მონიკას პირველ მზეთუნახავს. კონკურსში 745 ტუსაღი ქალი მონაწილეობდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ულამაზესი პატიმრის წოდებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ მსოფლიოს 27 ქვეყნის წარმომადგენლები, იოლი წარმოსადგენია, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ არბიტრებს. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ის იყო, რომ კონკურსის მონაწილეს სცოდნოდა სიმღერა, ცეკვა და ჰქონოდა იუმორის გრძნობა. წელს პირველი პრემია მიენიჭა საფრას წარმომადგენელს ჯანინ ადრიანზეს. მას გვირგვინი დაადგა თავზე შარშანდელმა გამარჯვებულმა – რუსეთელმა ლუდმილა იმპერატომ. რისთვის ზის სილამაზის დედოფალი პერუს სანტა-მონიკას ციხეში, ცნობილია: აქაური კონტინგენტი მხოლოდ და მხოლოდ ნარკოშიკრიკებით არის დაკომპლექტებული.

რას წერს 20 ოქტომბრის რუსული პრესა

„კომერსანტ დეილი“. მხოლოდ აყვავებულ ქვეყანას შეუძლია მისცეს თავს იმის ნება, რომ ვადამდე დაითხოვოს პრეზიდენტი. ეს რუსეთისათვის დამღუპველი იქნებოდა. ქვეყნის პოლიტიკური ელიტა იმდენ ხანს კამათობდა იმაზე, თუ ვინ იქნება ბორის ელცინის მემკვიდრე 2000 წელს, რომ ახლა, მორიგ არჩევნებამდე ორი წლით ადრე, ასეთი არჩევანი არ არსებობს – რიგგარეშე რბოლას აუცილებლად მოიგებს რომელიმე ანტიელცინელი.

„სეგოდნია“. რუსეთის თავდაცვის მინისტრი იგორ სერგეევი, რომელიც აზია-წყნაროკეანის რეგიონის ქვეყნებში მოგზაურობს, უკვე ჩავიდა ვიეტნამში, საიდანც იგი დღეს ჩინეთს გაემგზავრება. ვიზიტის ძირითადი თემა, ოფიციალურად, არის რეგიონის უსაფრთხოებისა და მშვიდობის პრობლემები, აგრეთვე, სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის მდგომარეობა და პერსპექტივები.

„ნეზავისიმაია გაზეტა“. სამი მთავრობა ერთ წელიწადში – ეს ხელისუფლების კრიზისის ყველაზე თვალსაჩინო დასტურია. პრეზიდენტმა, რომელსაც აღარ აქვს იმედი, რომ მდგომარეობას საკადრო როქებით გამოასწორებს, უფლებამოსილებათა ნაწილი გადაულოცა ახალ პრემიერს – გაცილებით უფრო დამოუკიდებელს, ავტორიტეტულს და პოლიტიკურად ნეიტრალურს. თავის მხრივ, ელცინის ფიზიკური და პოლიტიკური სიძაბუნის სააშკარაოზე გამოტანამ პროვოკაციულად გამოიწვია როგორც „პროფესიული ოპოზიცია“, ისე მემარცხენეებისა და მემარჯვენეების ინტერესების ნაწილობრივი თანხვედრა: ახლა ერთნიც და მეორენიც განიხილავენ ერთ თემას – კონსტიტუციის შეცვლას პრეზიდენტის ძალაუფლების შეზღუდვის მიზნით.

„ინტერფაქსი“. მოსკოვის სამრეწველო საწარმოების წარმომადგენლებმა რუსეთის მთავრობას მოსთხოვეს შეასუსტოს საგადასახადო წნეხი საწარმოებზე სულ ცოტა ორჯერ. მრეწველობა მოითხოვს, აგრეთვე, დადგინდეს მთელი გადასახდელების დონე მთლიანი პროდუქციის მოცულობის 20 პროცენტის ოდენობით, გაიყინოს ყველა სახეობის საბიუჯეტო ვალები, გაუქმდეს დარიცხული საურავი და ჯარიმა, ყველა სახეობის საავანსო გადასახდელები ბიუჯეტში და მიწის გადასახადი – სამი წლის ვადით.

„მოსკოვსკაია პრავდა“. რა მოგველის უახლოეს პერსპექტივაში, თუ კვლავაც ბრმად განვაგრძობთ არჩეულ კურსს? ეს არის რუბლის შემდგომი გაუფასურება, თუმცა, რაღაც ნიშნულზე იგი უნდა შეჩერდეს, და სახალხო მოხმარების საქონლით საშინაო ბაზრის უზრუნველყოფის გაუარესება, შესაძლოა, განაწილების სისტემის აღდგენა. ამას იწვევს სახალხო მოხმარების საქონლის იმპორტის მკვეთრი შემცირებაც, რომლის წილი საცალო საქონელბრუნვაში ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ 60 პროცენტს შეადგენდა. იმპორტის საგადასახადო ტვირთი იმდენად მძიმეა, რომ ახლა იგი არსებითად წელში გაწყვეტილი და არაეფექტიანი გახდა.

„კომერსანტ-ვლასტი“. წინა ორშაბათს ბუნს ღალატისა და ჯაშუშობის ბრალდება წაუყენეს. 30 დღის შემდეგ მან ან უნდა იცნოს თავი ბრალეულად და დაუყოვნებლივ მოისმინოს განაჩენი, ანდა წარსდგეს ნაფიც მსაჯულთა წინაშე. სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატები ბუნს სთავაზობენ მოეშვას ჯიუტობას და მიენდოს მოსამართლის გულმოწყალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ ასცდება გაზის კამერა ან ელექტროსკამი.

„სეგოდნია“. ალბანეთის პოლიციამ ტირანაში აღმოაჩინა იატაკქვეშა კლინიკა, სადაც ექიმები ჩვილთა სხეულიდან ორგანოებს იღებდნენ და იტალიაში ჰყიდდნენ. ადამიანის ორგანოების კარგად აწყობილი ვაჭრობის შესახებ პირველი ეჭვები გაჩნდა პრესაში, კერძოდ, [illegible] სოციალისტების ორგანოს „ზერი იმპელიტის“ ფურცლებზე. საქმით დაინტერესდა პროკურატურა, რომლის გამოძიებამაც ინფორმაცია დაადასტურა.

„კომსომოლსკაია პრავდა“. ტერიტორიული „შრომის ბირჟების“ სპეციალისტთა ღრმა რწმენით, მოსკოვში მოსალოდნელია უმუშევრობის ახალი აფეთქება და მისი პიკი სწორედ ოქტომბრის ბოლოზე მოდის. ბოლო დროს, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, უმუშევართა რიცხვი მოსკოვში კატასტროფულად მატულობს.

გუშინ...

მერილენდი. აშშ პრეზიდენტის ბილ კლინტონის ინიციატივით მიმდინარე მოლაპარაკების მონაწილე ბენიამინ ნეთანიაჰუს მისი ქვეყნის მემარჯვენე პარტიებმა მოსთხოვეს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შეხვედრა ბეერ-შევაში მომხდარი აფეთქების გამო. მაგრამ, პრემიერის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისრაელის დელეგაცია არ მიატოვებს მოლაპარაკებას. პალესტინელთა ლიდერის არაფატის თქმით, აფეთქებათა მიზანია სამშვიდობო პროცესის საბოტაჟი. ასეა თუ ისე, მოლაპარაკება გადაიდო. ამასთან, ისრაელმა წინადადება წამოაყენა, შეცვალონ საუბრის თემა: ილაპარაკონ არა ღაზის სექტორში აეროპორტის მშენებლობაზე, არამედ ისრაელისათვის უსაფრთხოების გარანტიების მინიჭებაზე.

ნიუ-იორკი. ეუთოს წარმომადგენლებმა კოსოვოს განთავისუფლების არმიის მიერ სროლის განახლებასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ, მართალია, უარს არ ამბობენ კოსოვოში 2000 მეთვალყურის მივლინების გეგმებზე, მაგრამ ჯერჯერობით მეთვალყურენი არ შეეცდებიან კონფლიქტის ზონაში ჩასვლას, ვინაიდან კოსოვოს განთავისუფლების არმია ცდილობს, გამოიყენოს ყოველგვარი საბაბი შეთანხმების გასაუქმებლად, და არც სერბთა რეგულარული არმიის ქვეგანაყოფები აკლებენ ხელს.

მოსკოვი. რუსეთის მთავრობას სახელმწიფო სათათბიროში შეაქვს წინადადება, შემცირდეს დამატებითი ღირებულების გადასახადი – დღგ და მოგების გადასახადი, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის მე-9 ყრილობაზე გამოსვლისას. პრიმაკოვმა ხაზი გაუსვა, რომ „მთავრობა მხარს დაუჭერს ეროვნულ მწარმოებელს და თანდათან შეამცირებს საგადასახადო ტვირთს“.



* * *

პრემიერ-მინისტრ პრიმაკოვთან კრემლში შეხვედრისას ბორის ელცინმა კვლავ განაცხადა, რომ არ იყრის კენჭს პრეზიდენტად 2000 წელს. პასუხად პრიმაკოვმა უთხრა, რომ იგი თვითონაც არ ესწრაფვის პრეზიდენტობას.



ვაშინგტონი. აშშ პრეზიდენტმა კლინტონმა გადადო კალიფორნიაში გამგზავრება და 20 ოქტომბერს კვლავ მიიღო მონაწილეობა ნეთანიაჰუ-არაფატის მოლაპარაკებაში. კლინტონის თქმით, ტერორიზმთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება იქნება სამშვიდობო შეთანხმების დადება.

ბელგრადი. ნატოს ევროპის ძალების სარდალი კლარკი ბელგრადში შეხვდა იუგოსლავიის ლიდერებს. ვიზიტის მიზანია შეამოწმონ, თუ როგორ მიმდინარეობს სერბთა ჯარების გამოყვანა კოსოვოდან. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის რუბინის თქმით, სერბ სამხედრო მოსამსახურეთა დაახლოებით ნახევარმა უკვე დატოვა პროვინცია.

ბონი. გერმანიის ახალი მმართველი კოალიციის წევრები – სოციალ-დემოკრატები და „მწვანეები“ შეთანხმდნენ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის თაობაზე. 16 პოსტიდან სამს – საგარეო საქმეთა, გარემო ბუნების და ჯანდაცვის მინისტრებისას – დაიკავებენ „მწვანეთა“ პარტიის წარმომადგენლები. ახალი კანცლერი სოციალ-დემოკრატი შრედერი ოფიციალურად დადგება თანამდებობაზე 27 ოქტომბერს – ახალი მოწვევის პარლამენტის მიერ მისი კანდიდატურის მოწონების შემდეგ.

პარიზი. გუშინ აქ კვლავ მიმდინარეობდა უფროსკლასელი მოსწავლეებისა და სტუდენტების მასობრივი მანიფესტაცია. მოსწავლეები მოითხოვენ განათლების სისტემის გაუმჯობესებას, კერძოდ, მასწავლებელთა შემადგენლობის გადიდებას, კლასების შემცირებას და მოდერნიზებული მოწყობილობით სასწავლებლების უზრუნველყოფას. მანიფესტაციაში მონაწილეობდა დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი, მათ შორის, მასწავლებლები, რომლებიც მხარს უჭერენ მოსწავლეთა მოთხოვნებს.

ჩიკაგო. ლიტვის პრეზიდენტმა ადამკუსმა შეერთებული შტატების ამ ქალაქში გამოსვლისას ამერიკელებს მოუწოდა მეტი კაპიტალი დააბანდონ მისი ქვეყნის ეკონომიკაში. პრეზიდენტის თქმით, რუსეთის საფინანსო კრიზისი ოდნავადაც არ შეხებია ლიტვას და იგი მზად არის, ჩაებას მოლაპარაკებაში ევროკავშირთან შეერთების შესახებ. ადამკუსმა დაადასტურა, რომ ლიტვას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შევიდეს ნატოში – რუსეთის საწინააღმდეგო აზრის მიუხედავად.

რადიო თავისუფლება

ისრაელი არ მოაწერს ხელს შეთანხმებას იორდანეს დასავლეთი ნაპირიდან თავისი ჯარების გაყვანის შესახებ, სანამ პალესტინელთა ავტონომიის ხელისუფალნი არ მიიღებენ მკაცრ ღონისძიებებს ტერორიზმის აღსაკვეთად, განაცხადა ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ მას შემდეგ, რაც შეიტყო ქალაქ ბეერ-შევაში მომხდარი ტერორისტული აქტის ამბავი, სადაც რამდენიმე ხელყუმბარის აფეთქების შედეგად 64 კაცი დაშავდა.

ევროპის კავშირმა მკაცრად დაგმო რეპრესიები, რომლებსაც იუგოსლავიაში განიცდიან მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელი საშუალებები. ამ რამდენიმე დღის წინათ ბელგრადში დაიხურა სამი დამოუკიდებელი გაზეთი და ორი რადიოსადგური. ხელისუფლებმა მათ ბრალად დასდეს კოსოვოს ამბების „არაპატრიოტული გაშუქება“.

ნატოს კავშირი არ დაუშვებს ახალ საბრძოლო აფეთქებას კოსოვოში, განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმა სოლანამ. მან ეს განცხადება გააკეთა იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ კოსოვოში მოკლულია სამი პოლიციელი სერბი, რის გამოც სერბთა ჯარებმა განაახლეს სამხედრო ოპერაციები. გაერომ შეაჩერა ალბანელი ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული ავტოკოლონების გაგზავნა, ვინაიდან მხარის დასავლეთ ნაწილში გრძელდება საარტილერიო სროლა.

ესპანეთის უზენაესი სასამართლოს წევრი ბალთაზარ გარსონი ლონდონს ჩავიდა, რათა ბრიტანეთის ხელისუფალთა ნებართვით დაჰკითხოს იქ დაკავებულ გენერალ პინოჩეტს მისი მმართველობის დროს უცხოელი მოქალაქეების, მათ შორის, ესპანელების ხვრეტასთან დაკავშირებით.

ჩეჩნეთის უზენაესი შარიათული სასამართლო დასჯით ემუქრება პარლამენტის დეპუტატებს, რომლებიც რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის განახლებას მოითხოვენ. ამ მოთხოვნას განაპირობებს პრეზიდენტ მასხადოვის იმპიჩმენტის საკითხის განხილვის აუცილებლობა. ჩეჩნეთში ისლამური სახელმწიფოს შექმნის მომხრენი აცხადებენ, რომ მასხადოვის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ რელიგიური კანონის საფუძველზე. გუშინ ჩეჩნეთის პარლამენტი განაგრძობდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის პრეტენდენტთა განხილვას.

თურქეთს აქვს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ სირიელი ოფიცრები ქურთი სეპარატისტების მხარეზე ომობენ, განაცხადა თურქეთის თავდაცვის მინისტრმა. პრეზიდენტმა დემირელმა კვლავ მოუწოდა სირიას, შეუწყვიტოს მხარდაჭერა ქურთების მუშათა პარტიის ბოევიკებს და ხაზი გაუსვა, რომ ეს უკანასკნელი გაფრთხილებაა, და ახლა თურქეთი, საჭიროების შემთხვევაში, უყოყმანოდ იხმარს ძალას.

ნიგერიის ნავთობმომპოვებელ ქალაქ ვარისთან გამავალი ბენზინსადენის აფეთქების დროს ძირითადად დაიღუპნენ ისინი, ვინც დაზიანებული სადენიდან გადმოღვრილ საწვავს აგროვებდა – ბევრ დაღუპულს ხელში დარჩა ქილები და ჯამები, რომლებშიც ბენზინს ასხამდნენ. მილსადენის მეპატრონე კომპანიის განცხადებით, სათბობის გაჟონვა საბოტაჟის შედეგია, ხოლო მესაბოტაჟენი იმიტომ აფუჭებენ მილებს, რომ მთავრობამ გამოუყოს ფული დარგისათვის: ნიგერიაში ნავთობი უამრავია, მაგრამ ნავთობგადამამუშავებელი დარგი უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ეკონომიკურ-სტრატეგიული საკითხების ახალი კომპლექსი, რომელიც განსაზღვრავს ოცდამეერთე საუკუნეს

კლინტონის ადმინისტრაციის მიერ წარმართულმა ორწლიანმა კამპანიამ იმის შესახებ, რომ დაერწმუნებინა მთავარი ნავთობკომპანიები აემენებინათ რაც შეიძლება სწრაფად მრავალმილიარდიანი დოლარის ღირებულების მილსადენი კავკასიაში, შესაძლოა, კრახი განიცადოს.

ოქტომბრის დამლევს აშშ-ისა და სხვა შვიდი სახელმწიფოს კომპანიებმა უნდა გადაწყვიტონ კასპიის ზღვაში არსებული ნავთობის უზარმაზარი რესურსების ტრანსპორტირების შესახებ. რეგიონის არამდგრადი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც რუსეთსა და ირანს შორის მდებარეობენ, ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა, გადამწყვეტი იყოს.

კასპიის რეგიონი დიდი პოლიტიკის განხორციელების უახლეს ასპარეზად იქცა. რეგიონი მარტო ნავთობიდან მიღებულ დიდ სიმდიდრეს კი არ გვპირდება, არამედ მსოფლიოს ზესახელმწიფოთა შორის მაღალფსონიანი კონკურენციის საშუალებას.

უდიდესი ბრძოლა კასპიის ნავთობის საერთაშორისო ბაზრებზე ტრანსპორტირების მარშრუტებზე კონტროლის კონკურენციით დაიწყო. ეს მილსადენები როგორც ნავთობს გაატარებენ, ასევე ვაჭრობისა და ძალაუფლების ახალ დერეფნებად ექცევიან სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ალიანსს, რომლებიც მილსადენის მარშრუტს გააკონტროლებენ და ათწლეულების განმავლობაში რეგიონს უზედამხედველებენ.

კლინტონის ადმინისტრაციამ ყველაფერი იღონა ნავთობკომპანიების დარწმუნებაში მილსადენის მარშრუტად ბაქო-ჯეიჰანი აერჩიათ. როგორც ჩანს, ადმინისტრაცია ამ ბრძოლას აგებს.

გასულ კვირას ადმინისტრაციის, კონგრესისა და ნავთობკომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიუებში აღნიშნეს, რომ ასსკ კომპანიებმა, შესაძლოა, გადაწყვიტონ ის, რომ ამ ეტაპზე ამერიკის მიერ მხარდაჭერილი პროექტის მშენებლობა საკმაოდ ძვირია. სავარაუდოა, რომ აღნიშნულმა კომპანიებმა განაცხადონ, რომ მიზანშეწონილად მიაჩნიათ გაცილებით მოკლე, ამჟამად ბაქოდან (აზერბაიჯანის დედაქალაქი) სუფსამდე (საქართველოს შავი ზღვის სანაპირო) მშენებარე ნავთობსადენის გამოყენება ან იმავე მარშრუტზე უფრო დიდი მოცულობის მილსადენის მშენებლობა.

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ნავთობი ტანკერებში ჩაიტვირთება და შავი ზღვით ევროპისაკენ გადაიზიდება. მოვლენათა ამგვარი განვითარება მარტო მილიარდობით დოლარს კი არ დაუკარგავს ამერიკის მოკავშირე თურქეთს, არამედ საგრძნობლად გაზრდის ტანკერების მოძრაობას ვიწრო ბოსფორის სრუტეში, რასაც, თურქეთი სასტიკად ეწინააღმდეგება.

გადაწყვეტილების დამტკიცება 29 ოქტომბერს არის ნავარაუდევი. ასსკ-ს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა რობინ ბრანაგანმა სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, რომ ამჯერად კიდევ განიხილება ყველა ვარიანტი.

ოფიციალური ვაშინგტონის აზრით, ამერიკის მიერ მხარდაჭერილ პროექტს არ მიენიჭება უპირატესობა. ვაშინგტონში ამჟამად იმაზე მსჯელობენ, თუ რამდენად სერიოზული იქნება ამგვარი გადაწყვეტილება ადმინისტრაციისა და ამერიკის უშიშროების ინტერესებისათვის.

„ეს გაწბილებაა ჩვენთვის, მაგრამ მე მას დამარცხებას არ ვუწოდებდი. ნახევარი პური უკეთესია, ვიდრე არაფერი. ნავთობი უფრო აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე გაივლის, ვიდრე სამხრეთით – ირანისაკენ, ან ჩრდილოეთით – რუსეთისაკენ. შესაძლოა, ბაქო-ჯეიჰანი ოდესლაც განხორციელდეს“, – განაცხადა კანზასელმა რესპუბლიკელმა, სენატორმა სენ ბრაუნბეკმა.

შესაძლოა, ნავთობკომპანიები, მათ შორის „ამოკო“, „პენზოილი“ და „ექსონი“, საკუთარ გადაწყვეტილებას ყველა მხარისათვის რაც შეიძლება დამაჯერებლად გამოაცხადებენ და იტყვიან, რომ ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი შორეულ მომავალში აშენდება. მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი უკმარისია იმათთვის, ვინც ძალისხმევით მუშაობდა ვაშინგტონში ბაქო-ჯეიჰანის პროექტის ხორცშესხმისათვის.

„გულახდილად რომ გითხრათ, ჩემი აზრით, ეს დამარცხებაა. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებდით ამ საკითხს, მაგრამ ვერ გავაკეთეთ საკმარისი მისი რეალიზაციისათვის. ჩვენ გვსურდა ორი ერთ მაურად. ეს ჩვენს როგორც კომერციულ ინტერესებზე, ასევე, თავისთავად, თავმოყვარეობაზე დარტყმაც გახლავთ“, გვითხრა სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც კასპიის საკითხებს მეურვეობს.

სენატორ ბრაუნბეკის აზრით, მიზეზი იმისა თუ რატომ ვერ შესძლო აშშ ნავთობკომპანიებზე ზემოქმედება, ისიც არის, რომ პრეზიდენტმა კლინტონმა დაკარგა „ძალაუფლება და მორალური დარწმუნება“ მის გამო ატეხილი აურზაურის გამო.

არსებობენ უფრო ხელშესახები ფაქტორებიც. მათ შორის აღსანიშნავია: ნავთობის გაუფასურება, რაც კომპანიებს იმის საშუალებას არ აძლევს, რომ 4 მილიარდზე მეტი დოლარი დააბანდონ პროექტის რეალიზაციისათვის, გაურკვევლობა იმაზე თუ რა რაოდენობის ნავთობი იქნება მოპოვებული უახლოეს წლებში კასპიაში; იმის იმედი, რომ აშშ-ის მიერ ირანისადმი გამოცხადებული სანქციები მალე მოიხსნება და ირანის მარშრუტი უფრო ხელსაყრელი გახდება.

ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტს აშშ-ის ადმინისტრაცია შემდეგი ფაქტორების გამო ანიჭებდა უპირატესობას: მილსადენი გაივლიდა ამერიკის მეგობრულ ქვეყნებზე (აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი) და ამით მათ უფრო შეაკავშირებდა დასავლეთთან; მარშრუტის წყალობით, აზერბაიჯანი და საქართველო გამოვიდოდნენ რუსეთის „ჩრდილიდან“; მილსადენი არ გაივლიდა რუსეთზე და ირანზე.

თუმცა, ადმინისტრაციის სამწუხაროდ, ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტი ყველაზე გრძელი და ძვირია სხვა ალტერნატიულ მარშრუტებთან შედარებით.

შარშან ნავთობკომპანიებმა მორიდებით სთხოვეს კლინტონის ადმინისტრაციას ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის ნაწილობრივი დაფინანსება. მათ განუცხადეს, რომ ნებისმიერი სახის დაფინანსება მიიჩნეოდა როგორც მთავრობის მიერ ნავთობის ინდუსტრიისადმი გაწეული დახმარება და ამის გამო ეს პოლიტიკურად შეუძლებელი გახდებოდა.

ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის დაუფინანსებლობის გამო ამერიკამ თურქეთს სთხოვა ნავთობკომპანიებისათვის მნიშვნელოვანი საგადასახადო და სატარიფო შეღავათები გაეწია. თუმცა, როგორც რამდენიმე დღის წინათ აშშ-ში განაცხადეს, თურქეთს არასოდეს მოუმზადებია შეღავათების ამგვარი პაკეტი და სინანულით აღნიშნეს, რომ თურქეთის მთავრობის არამდგრადობის გამო ძნელია ამ ქვეყანასთან ურთიერთობა.

„ხშირ შემთხვევაში ნავთობკომპანიებმა არც კი იციან ვის მოელაპარაკონ, ჩვენ არაერთხელ ვუთხარით თურქებს, რომ მოსალაპარაკებლად კონკრეტული წინადადებებით მოსულიყვენენ, მაგრამ ამაოდ. რასაკვირველია, მათ ახლა ძალიან ეწყინებათ, მაგრამ თავის თავს დააბრალონ“. – მიაჩნია ერთ-ერთ სანავთობო კონსულტანტს.

ამჟამად ადმინისტრაციის წარმომადგენლები მუშაობენ იმაზე, რომ ნავთობკომპანიათა გადაწყვეტილების ტექსტი რაც შეიძლება სრულად შეესაბამებოდეს აშშ-ის ინტერესებს. არაერთმა ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ არსებული ეკონომიკური რეალიებიდან გამომდინარე, მათ შეუძლიათ გაიგონ კომპანიათა გადაწყვეტილება მილსადენი საქართველოს ტერიტორიას არ გასცდეს.

„ნავთობზე არსებული დაბალი ფასები და დიდ კაპიტალდანახარჯებზე არსებული მღელვარება კონსენსუსის მიღწევის სირთულეს ქმნის. ამის გამო კომპანიებს სურთ, რომ სიფრთხილით მოეკიდონ ამგვარ საკითხებს. ჩვენ გვსურს ბაქო-ჯეიჰანის რეალიზაცია. რამდენიმე წლის წინათ ხალხი არც კი მიიჩნევდა სერიოზულად აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის საკითხს. ამჟამად ყველა აცნობიერებს, რომ ეს დრომ მოიტანა“, – განაცხადა ელჩმა სესტანოვიჩმა, რომელიც კასპიის ქვეყნებისადმი აშშ-ის პოლიტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ასსკ ერთ-ერთი ნავთობკომპანიის ხელმძღვანელის განცხადებით, საქართველოს გავლით მილსადენის მშენებლობით კომპანიები გამოეხმაურებიან აშშ-ის ინტერესებს.

„მათ მიიღეს რაც სურდათ, რაც გახლავთ აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი, მხოლოდ ეტაპობრივი მიდგომით. ბევრი საკითხი, როგორც წესი, თანდათან ხორციელდება. თუ შენ დიდი სახლის მშენებლობას აპირებ, ჯერ ნაწილ-ნაწილ უნდა დაიწყო, შემდეგ თანდათან გააფართოო და თუ არა და... სწორედ ამგვარად ვფიქრობთ ჩვენ“, – თქვა ნავთობკომპანიის ხელმძღვანელმა.

ბაქოდან საქართველოს შავი ზღვის სანაპირომდე უკვე მიმდინარეობს ადრეული ნავთობის მილსადენის მშენებლობა, მაგრამ ეს მილსადენი უკმარისია კასპიის რეგიონში უახლოეს წლებში მოპოვებული დიდი რაოდენობის ნავთობის გადაზიდვისათვის. ის ფაქტი, რომ უკვე არსებობს შესაბამისი მარშრუტი, შედარებით გააადვილებს დიდი მოცულობის ნავთობსადენის მშენებლობას.

ჯერჯერობით გაურკვეველია რა ბედი ელის შავი ზღვის სანაპიროსთან მისულ ნავთობს. შავი ზღვის ერთადერთი საზღვაო გასასვლელი ბოსფორის სრუტეა, სრუტე, რომელიც უკვე ისედაც გადატვირთულია, კვეთს სტამბოლს. თურქეთის ხელისუფლების განცხადებით, სრუტეს არ ძალუძს მოზღვავებული ტანკერების მოძრაობის უზრუნველყოფა.

სატელეფონო ინტერვიუს დროს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ისმაილ ჯემმა კონსორციუმის ოფიციალური გადაწყვეტილების დამტკიცებამდე, თავი შეიკავა რაიმე კომენტარისაგან, თუმცა, მისი განცხადებით, მილსადენების მარშრუტების ირგვლივ არსებული კონკურენცია ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კასპიის რეგიონში მომხდარ მოვლენებზე.

„იგი ქმნის ეკონომიკურ-სტრატეგიული საკითხების იმ ახალ კომპლექსს, რომელიც განსაზღვრავს 21-ე საუკუნეს. რეგიონის გარკვეული ქვეყნები მსოფლიოს პოლიტიკაში ახალ დიდ მოთამაშეებად მოგვევლინებიან. რეგიონს მოშორებულ სახელმწიფოებსაც სურთ საკუთარი ინტერესების განხორციელება. კონკურენცია, ბრძოლა გავლენისათვის უკვე დაიწყო“, – განაცხადა ისმაილ ჯემმა.

სტივენ კინზერი.
„ნიუ-იორკ ტაიმსი“,
11 ოქტომბერი.

თარგმნა ზია აბაშიძემ.

სასწორი პოლასკენ იხრება

პოლა ჯონსი მიმართავს მეორე ცდას 2 მილიონი დოლარის ხელში ჩასაგდებად – იმისათვის, რომ 1991 წელს ლითლროკში ბატონი კლინტონი, მაშინდელი არკანზასის გუბერნატორი, შეეცადა ეიძულებინა იგი „უღირსი სექსუალური კონტაქტისათვის“, ხოლო უარის მიღების შემდეგ სდევნიდა და საბოლოოდ კარიერაც გაუფუჭა. ჯონსის ადვოკატები ამბობენ, რომ საკმარისია კლინტონმა გადაიხადოს 1 მილიონი, ხოლო მეორე მილიონს იძლევა ნიუიორკელი მაგნატი პირშფილდი, რომელსაც მთელი ეს ისტორია ყელში ამოუვიდა. კლინტონის ადვოკატებს ჯერჯერობით არაფერი უპასუხიათ. მათ მხოლოდ კვლავ განაცხადეს, რომ ეს ტყუილებია, ხოლო ჯონსი ერთი შანტაჟისტი დედაკაცია. მიუხედავად ამისა, ისტორია სავსებით მელოდრამატულიც კია იმ მხრივ, რაც სამართალწარმოებას ეხება. საოლქო მოსამართლემ უარყო ჯონსის სარჩელი, როგორც უსაფუძვლო. და აი ახლა, ნაირ-ნაირი მონიკების შემდეგ, გადაწყვიტა, რომ ჯონსი სიმართლეს ამბობდა, და – საქმის გადასინჯვის ენთუზიასტი გახდა. მან თქვა, რომ სამშაბათს ინტერნეტში შეიტანს ჩვენებებს ამასთან დაკავშირებით. ვარაუდობდნენ, აგრეთვე, რომ ინტერნეტშივე იქნებოდა კლინტონის ჩვენებანი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მათი სრული ტექსტი არ არის. თუმცა, იქ არც იყო არაფერი მაინც და მაინც საინტერესო – კლინტონი უარყოფდა როგორც თვით შეხების ფაქტს, ისე ჯონსის შემდგომ დევნა-შევიწროებასაც. მაგრამ, ეს იყო პირველი შემთხვევა ამერიკის პრაქტიკაში, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი იძულებული გახდა, სასამართლოსათვის მიემართა, როგორც მოპასუხეს.



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

არცთუ მოძველებული არქივიდან

1992 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი, აჰა, მაისიც!..

(ყოფილი დრამატურგის, ამჟამად ძალად გაპოლიტიკოსებულის ქრონიკალური ჩანაწერები)

ჩანართი, არა ტელეფონით თქმული:

საერთოდ, ატესტატ-დიპლომის მიხედვით კი არა, არსებითად, რა განათლების, რა კულტურის დონეზეც დგანან გამსახურდიას ეს „ფეთქებადი" მხარდამჭერნი, ეს თუნდა იქიდანაც ჩანს, რომ მათ სახლებში მათივე სათაყვანებელი პრეზიდენტის დიდტანიან წიგნს – „წერილები, ესსეები" – ვერ აღმოაჩენთ; როგორც წიგნით მოვაჭრენი სევდით იტყვიან ხოლმე, იგი ჩაწვა: ამ „უთვალავი" მოთაყვანიდან არათუ წამკითხველი, მას სრულად 70 ათასი უბრალოდ მყიდველიც არ გამოუჩნდა... და მაინც, მიუხედავად ასეთი არასახარბიელო „საბაზრო სიტუაციისა", პრეზიდენტიავტორი გამომცემლობა „სამშობლოს" ავალებს თავისი ნაწერების ხუთტომეულის გამოცემას!

... ეს ცნობა-ამბავი ცილისწამებასა და მონაგონში რომ არ ჩამითვალონ, კერძოდ, ვაკეში მცხოვრებმა ზვიადოსანმა და შოთას მადიდებელმა („სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!") ქართველმა ქალებმა, რომლებმაც 25 მარტს, ქართველი მწერლების ყრილობას უჩვენეს თავიანთი „საქმენი საგმირონია" – დახიეს, აკუწეს, გათელეს და „საგმიროდ" ცეცხლს მისცეს ისეთი ქართული წიგნები, ბუკინისტებთანაც რომ ვერ წააწყდებით, და ახლა, ნაბრძოლ-ნაომართ, სურვილი თუ აღეძრებათ, ერთი წიგნი მაინც მოეპოვებოდეთ საშინაო ბიბლიოთეკაში, შეუძლიათ დღესაც, 25 მაისს, მიაკითხონ ჭავჭავაძის პროსპექტზე, სახანძრო რაზმის პირდაპირ მდებარე მაღაზიას, სადაც ძალზე იაფად, ასი გრამი ნიერის ფასად, იყიდება მათთვის ყოველმხრივ მოსაწონი შემოქმედის ნაპრეზიდენტალ გამსახურდიას „წერილები, ესსეები" (დიახ, ორ „ეს-ეს"-იანი!).

ეს ხელმარცხნივ, ხელმარჯვენივ კედელზე კი – შეეძლებათ ამოიკითხონ ხატოვანი ასოებით გამოყვანილი

ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს.

აკაკი

თითქოს დროული იქნებოდა, აქვე ძველი ბერძენი ფილოსოფოსის აზრსაც თუ გავაზიარებდნენ:

როგორიც ბრბოა, წინამძღვარიც ისეთია;
რაც წინამძღვარია, ბრბოც მსგავსია მისი...

ზენონი

ჩვენმა დრომ წინამძღვარს ლიდერი შეარქვა, მაგალითად, ზვიად გამსახურდიას...

ტელეფონით:

– ...მაგრამ ჩვენი საერთო გონებრივი უბადრუკობა უფრო ის არის, რომ „სარანგში" მთელი თავისი სიმაღლით არა ზვიადზე ვიღაც შეპრეტილი ასული წარმოგვიდგა, – სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის პროფესორი ზაურ კვარაცხელია და... ოი, დედა, რა სამარცხვინოა, რა სამარცხვინოა და, აფსუების სასიხარულოდ, ჩვენი საერთო, საერთო საქმის, საქართველოს რა პირდამამხობელია, რომ ასეთი პატივსაცემი კვარაცხელიები და მგალობლიშვილებიც კი დგანან ახლა სოხუმში იმ „თავიანთ" ცალკე მიტინგებზე, სადაც ფართოშუბლიანებს, ნადარეიშვილებსა და ჯაიანებს ვერ იხილავთ...

(გვიანდელი ჩანართი (მარტი, 1993 წ.): სწორედ ამ ცალკე გამსახურდიას მხარდამჭერმა მიტინგებმაც, ქართველებში ამღვრეულმა წყალმაც გაათამამა, გაათავხედა არძინბა და მის მიერ დაგეშილი აფხაზი მგელკაცები, რასაც ლესელიძე-განთიად-გაგრის ტრაგედიები და ლტოლვილობა მოჰყვა; ასე რომ, ცოტა რამ მაინც ჩვენს თავსაც დავაბრალოთ).

აგერ ახლა ზაარლანდის პრემიერ-მინისტრმა ოსკარ ლაფონტენმა პირველი ჰუმანიტარული ნობათი რო მოგვაშველა, ჩამოტანს დაავალა, დაწვრილებით გამიგეთ, ქართველებს ამჟამად ყველაზე უფრო რა ესაჭიროებათ, რომ შემდეგი რეისით ვაახლოთო... მინდოდა ჩვენი მთავრობის სახელით შემეთვალა, ჰერრ ოსკარ, ქართველებს წინათაც და, მით უმეტეს, ახლა ყველაზე მეტად არა ნიჭი, უფრო ჭკუა, ჭკუა გვჭირდება, – შეიძლება ნიჭიერი იყო და უჭკუო იყო, პირიქითაც არის ხოლმე, აკი ჭკუა და ნიჭი ეროდროულად არცთუ ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, – მაგრამ გადავიფიქრე, რადგან საქართველოს უერთგულესი გერმანელი მეგობარი ჩვენთვის, ქართველებისთვის, მაკარონისა არ იყოს, არც ამ უსაჭიროესი დეფიციტის გამოგზავნას დააყოვნებდა, რომ ეს ფიზიკურად შესაძლებელი იყოს... ეჰ, რამდენჯერ მითქვამს და ერთხელ კიდევ შევეხეთქები გულს, – ადრე არ მეგონა, თუ ასეთი ბრიყვი, წინდაუხედავი, თავისივე მტერი, ჭკუამოკლე იქნებოდა ჩვენი ერი...

– ო, არა მთელი ერი! – იმედიანად შევეპასუხე, – საქართველოში თუ არის მზია ბაქრაძე, არის მარიკა ბაქრაძეც, თუ არის ავთანდილ რცხილაძე, არის ვიქტორ რცხილაძეც, ანდა ახლო წარსულიდან: დღეს მთავრობის სახლის კიბე – „კათედრაზე" პროფესორი ვახტანგ ბოჭორიშვილი და დაფნის გვირგვინით ამკობს ზვიად გამსახურდიას, იდგა უნივერსიტეტის კათედრაზე პროფესორი ანგია ბოჭორიშვილი და პატივს მიაგებდა სოკრატესა და პლატონს...

ჰოდა, ცოტა მეც მერწმუნე – საქართველო არ დაიღუპება, თუკი დღევანდელი სახელმწიფო საბჭოს წევრების დიდი ნაწილი, რასაკვირველია, თავის თავმჯდომარიანად, მოხვდება მომავალ პარლამენტში და გამსახურდიაც ხელს აიღებს ქართველი ერის ისტორიაში აქამდე ენით უთქმელ და კალმით აუწერელ ბოროტებაზე...

* * *

რა ექნა, ნამეტნავად მიჭირს დავფარო და ლამის დამცდეს, საცხინვალოდ ედუარდ შევარდნაძის თავგადადებას მაინც აფერუმ-მეთქი; ეს მით უფრო, როცა იცი, ნაპრეზიდენტალი გამსახურდია მის ადგილზე როგორ მოიქცეოდა: არათუ მშფოთვარე ცხინვალს... იგი ხომ ახლაც ბუნკერშია, დუდაევის ბუნკერში, ვაითუ გროზნოსაც შემოაღწიონო კრემლის ქართველმა აგენტებმა, რომელთა შიშით, არჩევნების შემდეგ, ალმა-მატერს, მიუხედავად სტუდენობის მხრივ არაერთგზის თხოვნა-მოპატიჟებისა, სათოფეზეც აღარ გაეკარა, თუმცა იქ ერთგული დაცვაც ეგულებოდა პრაფისსორ პროტესტო ყიყაჩაშვილის თავკაცობით, ქვეყნად პოპულარობა მეცნიერებით თუ ვერა, ეგებ ამით მაინც მოეპოვეოო...

* * *

(დღევანდელი ჩანართი: ერთობ გამახარა იმ ამბავმა, რომ, როცა აფხაზეთში ქართველებს ახლა ასე უჭირთ, ჩემი კარგი ნაცნობი ნუგზარ მგალობლიშვილი, ღმერთმაც ქნას უკვე ყოფილი (?!) „ზვიადელი", იქ ფართოშუბლიანთა რიგებში უყოყმანოდ ჩამდგარა.

ამას მეტი ფასი უნდა დაედოს უფრო იმიტომ, რომ მან ეს მოიმოქმედა მანამ, ვიდრე დღეს „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას" „ზეპატრიოტული" მიმართვა „ჩრდილოეთ კავკასიის საბრძოლო რაზმებისა და შენაერთებისადმი" გამოქვეყნდებოდა, რომლის მსგავსს, სხვათა შორის, ავადსახსენებელი, თავმომჭრელი უკვდავებისთვის და საეპიტაფიოდ – მხოლოდ კალმოსანი „პრეზიდენტი კოშმარული ოპერეტიდან" თუ მოიფიქრებდა, რა თქმა უნდა „ეროვნულ საკითხებში" მისი ამჟამინდელი მრჩევლის ვალერია ნოვოდვორსკაიას და მოსკოვში ახლახან „დანიშნულ", „რუსეთის მთავრობასთან აკრედიტებული ელჩის" ჩაზავას გონებრივი ხელის შეწყობით!

ვინც იცნობს ზვიად გამსახურდიას პიროვნულ „მხედრულ-ვაჟკაცურ" ბუნებას, ამ მიმართვის ბოლო სიტყვები „საქართველოს იმპერიის" დათრგუნვა-დასამარცხებლად უთუოდ ნაკარნახევია არა იმდენად, მართლაც საბრძოლო ჟინით, რამდენადაც შიშ-კანკალით, ვაითუ მთიელთა კონფედერაციამ მე, როგორც ქართველი, მძევლად ამიყვანოსო:

„ჩემი მხრივ მზად ვარ თქვენს რიგებში ჩავდგე უბრალო მებრძოლად, თუ ამის ნებას მომცემთ და უზენაესის ნებაც იქნება".

საკითხავი კია, „ბატონი პრეზიდენტი" ამ შემთხვევაში რომელ უზენაესს შესთხოვს – ალაჰს თუ მამაზეციერს?!

გულით მინდა ესეც ვიცოდეთ და დავიხსომოთ: „საქართველოს იმპერიას" დაშლა თუ არ უწერია, მისი ყოფილი პრეზიდენტ-„იმპერატორი" დოლარებზე გაწუწკებული, თურქეთში ნამოგზაურები კახპა „კდემამოსილივით" ურცხვად გადათქვამს, რომ მას ამ „მიმართვასთან" საერთო არაფერი აქვს, და რომ ეს შეთხზეს მისმა მტრებმა, შევარდნაძისტებმა...

და იმის იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ამას მისი მოტაშ-მოფანდურე ბრიყვები სულ იოლად დაიჯერებენ.

25 აგვისტო, 1992 წელი).

* * *

ყველაფერს თავისი დრო და ალო აქვს, და ეს დრო დროულად უნდა შენიშნო, რათა დაგვიანება შემდეგ სანანებლად არ გაგიხდეს.

ცოტა ზემოთ მეცნიერება ვახსენეთ... დიახ, მეცნიერება და „მეცნიერები..."

საყოველთაო-სავალდებულო „განათლების" წერაქვით საქართველოს, ჩვენი მარჩენალი მიწის სულ ერთიანად ამოსავლებად, რა თქმა უნდა, უფრო სიბრიყვით, ვიდრე სიბრძნით, ჯერ კომუნისტებმა უთხარეს და უთხარეს ძირი, მერე მათ გამსახურდია-ქორიძე წამოეშველნენ და რაც მოასწრეს-მოასწრეს, მაგრამ, აბა, ვინ იფიქრებდა, ამ თხრა-თხრილის გაღრმავებას ახალი ხელისუფლება ასე ძალუმად ხელს თუ შეუწყობდა: მისი წაყრუება-დასტურით ახლა დღე არ გავა, სოფლად თუ ქალაქად, ვიღაცამ თუ ვიღაცეებმა, არა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მსგავსი, – უმაღლესი სასწავლებელი არ გახსნას ან არ გახსნან...

პატიმრობიდან მახსენდება, ავჭალის კოლონიაში რა სასაცილოდ აბურთავებდნენ ერთ მიამიტ ქიზიყელს, რომელმაც არ იცოდა, თუ რომელ საუკუნეში ცხოვრობდა, – მაგას ბაკურციხის ორსართულიანი სკოლა აქვს დამთავრებულიო, ახლა კი...

„ბაკურციხის კომერციული ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილებაზე..."

„ახმეტის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი აცხადებს..."

„პედაგოგიური სიბრძნის აკადემია აცხადებს..." (ჰმ, „აკადემია", „სიბრძნის...").

„თბილისის ხელოვნების აკადემია აცხადებს მიღებას..."

„ქუთაისის ხელოვნების ინსტიტუტი აცხადებს..."

„თბილისის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს..." (ჰმ „ქალთა"... ეს იმ დროს, როცა მამაკაცი მასწავლებლები სკოლებში სანთლით საძებნია, რაც ასე დამღუპველად მოქმედებს დისციპლინისა და, საერთოდ, სწავლააღზრდის დონეზე).

თერთმეტმილიონიან მოსკოვში ორად ორი სამედიცინო ინსტიტუტია და ესეც ებევრებათ, ჩვენთან კი...

„თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი „საქართველო" აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების სპეციალობებზე..."

„ქუთაისის სამედიცინო ინსტიტუტი „ქუთაისი" აცხადებს..."

ამბობენ, ამის რანგის სხვა, ორი თუ სამი, „სამედიცინოები" უკვე ფუნქციონირებენო და უახლოეს ხანში უნივერსიტეტებიც გაიხსნებაო ზუგდიდსა და ხაშურში...

დღევანდელ სახიფათო ვითარებაში ვინც მანქანით მგზავრობს, მაგისტრალებზე თვალს მოჰკრავს მოპატიჟების არაერთ პლაკატ-განცხადებას... დიახ, ახლა აბიტურიენტები თვითონ როდი ეძებენ უმაღლეს სასწავლებლებს, თვით „უმაღლესები" – „კოლეჯები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, აკადემიები" ეძებენ საკბილოს, რა გზებით შემოიტყუონ და „განანათლონ" მავანნი...

კი, მაგრამ... როგორ? ამ „სპეციალობებზე" სპეციალისტების მოსამზადებლად, რაკი ჩვენი სამეცნიერო და „სამეცნიერო" კადრები ისეც უზომოდ გადატვირთულნი არიან, პროფესორ-მასწავლებლებს სოფელ მოხისში თუ ქალაქ ჩხარში ჰარვარდის ან კემბრიჯ-ოქსფორდის უნივერსიტეტებიდან ხომ არ მოიწვევენ-ჩამოიყვანენ?!

ერთ ასეთ ახლად გახსნილ უმაღლესზე მითხრეს, თუმცა მას საცირკო პროფილი არა აქვს, მაგრამ რაც იქ ხდება, ეს პირდაპირ ცირკიაო...

დღევანდელი ბუმი ამ „საცირკო ინსტიტუტებისა" ძალიან მაგონებს ედუარდ პირველის დროს აზვავებულ ღლეობებს, ქვეყნის ყველა რაიონს „ისპანკას" ეპიდემიასავით რომ მოედო და სახალხო დროისა და დოვლათის გასანიავებელ წყაროდ იქცა, თუ „აგრაფინობა", თუ „ქაქუცობა", თუ „საჭამიასერობა", თუ... მაგრამ ამჟამად ეს უკვე მივიწყებული, შედარებით უწყინარი ღლეობები, აბა, რა შესადარებელია დღევანდელ უკვე რამდენიმე ათეულ „კოლეჯებ-ინსტიტუტებთან" –შხამასოკოებთან, რომლებიც ეჭვი არ არის, კიდევ უფრო მალე მოუსწრაფავენ სიცოცხლეს ერს, რომლის ძლიერება, როგორც მხოლოდ ახლა, ასე დაგვიანებით ვრწმუნდებით, თურმე სოფელი და მუშაკაცი ყოფილა...

საკვირველი კია, ნუთუ ჩვენი გონიერი მთავრობა ვერ გრძნობს და ვერ ხვდება, რომ ამდენი „დღის სწავლებანი" უფრო მეტად დააჩქარებს ისეც შემოღამებული საქართველოს დღის საბოლოო დაღამებას, რომელსაც გათენება აღარ მოჰყვება?!

„ თუ ამოწყდა გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდაო", – განუჭვრეტია არჩილს, ჯერ კიდევ როდის, ამ შემთხვევაში უფრო მეფეს, ვიდრე პოეტს". („მაფი წიგნი", ტ. II, 1979 წ.).

დიახ, არასოდეს და არსად არჩილს არ უთქვამს, თუ ამოწყდაო ნასწავლი კაცი, მაშინ საქართველოო...

თანაც ნასწავლი თუ „ნასწავლი?" ამას წინათ ერთ-ერთი სახელმწიფო ინსტიტუტის (ახლა, ვინ იცის, ეგებ უკვე აკადემიად გარდაქმნილის) რექტორი, რომელიც სახელით და, როგორც ამ გულახდილობიდან გამოსჭვივის, ალბათ, გულადობითაც ერთ დიდ ფრანგს (კორსიკელს) ესხნიავება, წერდა, ჩვენთან შემომსვლელთა განათლების დონე მარტო წერა-კითხვის ცოდნით ამოიწურებაო (არ აზუსტებს კი, გაწაფული თუ ბორძიკი კითხვით, წერა კი... ო, ეს, აბა, რა საკითხავია!).

ჰოდა, ბარაქალა ჩვენს საშუალო „განათლებას" და ამ „განათლების" ბაზაზე მიღებულ „უმაღლესსაც" და თუ წლითიწლობით, „ქალბატონებო და ბატონებო", უკვე დადუღებული სახელმწიფო სწავლაგანათლების სფეროშიც კი ასეთი მდგომარეობაა, მაშინ რაღას უნდა მოველოდეთ მხოლოდ ფულით მოსადუღებელ „კერძო, კომერციულისგან?"

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს დღევანდელ გაუკუღმართებულ ეროვნულ ქცევა-ზნეს, ასეთ დასკვნამდე მისვლა თითქოს არ უნდა გაგვიჭირდეს: როცა სახელმწიფო მთელი ხუთი წლის მანძილზე სტიპენდიის სახით გარკვეულ თანხას გიხდის, ოღონდაც ისწავლეო, და შენ მაინც ფუქსავატობა-ცუღლუტობაზე გიჭირავს თვალი და წიგნთან მეგობრობით თავს არ იწუხებ, ხუთწლიანი „განათლების" მოსავლის აღებისას კი, რექტორატში თუ ოდნავადაც შეჭოჭმანდნენ, რა ფერის დიპლომი მოგართვან, შენ მათ, ამ დაყოვნებით როგორც დიდად შეურაცხყოფილი, პიჯაკის უბის ჯიბიდან რევოლვერის ამოყოფილ ცხვირს უჩვენებ, ჰოდა, მაშინ, აბა, რაღას იზამს, „ქალბატონებო და ბატონებო", ასეთი ყოყმანისას (იყოყმანებენ კი?!) „კომერციადამთავრებული", მთელი ხუთი წელიწადი „სწავლის" საფასურად პაპიკო-დედიკოს ათასებს რომ გაყრიდა და გაყრიდა?!

ისე, კაცმა რომ თქვას, „დამბაჩა-მუქარაც" რომ გამოვრიცხოთ, გვჭირდება ანდა დაგვჭირდება კი, თუნდაც ნამდვილი სპეციალისტები, რამდენსაც მოამზადებენ თურმე უკვე დღესაც ასამდე „ფუნქციონირებადი" კერძო უმაღლესი სასწავლებელი, სახელმწიფო ინსტიტუტებ-უნივერსიტეტების ჩათვლით; თუ ქუთაისის ხელოვნების ინსტიტუტი, თუ თბილისის კულტურის აკადემია, თუ ჭოპორტის იურისპრუდენციის ლიცეუმი, თუ ბობოყვათის სოციოლოგ-მენეჯერთა საჩვენებელ-სანიმუშო პანსიონსალონი, და მრავალი, მრავალი სხვაც?!

ხომ არ ვიფიქროთ, რომ ყველა ის გაუმაღლისებულნი, დიპლომით გათამამებულ-გაამაყებულნი, უმუშევრობის მომიზეზებითაც, მასობრივად წავლენ საზღვარგარეთ და მერე საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად ისევე აღარ დაბრუნდებიან, როგორც აღარ ბრუნდება, მაგალითად, ომიანობისას მიუნხენში ჩარჩენილი, ოკრიბელი ქრისტეფორე კირკიტაძე?!

და ასე, ამგვარად, წლიდან წლამდე „განათლებული" საქართველო ბოლოს და ბოლოს სულ ერთიანად ხომ არ დაიწრიტება ეროვნული სისხლისაგან და ჩვენს მეზობლებს, ფიზიკური შრომის „მწიგნობართ", მუშახელად მოწვეულ თუ შემოსეულ სომხებს, აზერბაიჯანელებს, ქურთებს და თურქებს ხომ არ დარჩებათ „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი" საქართველო?!

აბა როგორ დაიჯერო, რომ ეს მესმის და გამეგება მე – უკვე სკლეროზმოდებულ „მოხე" მწერალს, და ეს არ გაეგებათ და ამ უბრალოზე უბრალო მექანიზმს ვერ სწვდებიან ჩვენი რესპუბლიკის გონებამკვირცხლი მეთაურები?!

იქნებ, იქნებ... რაკი ახლა მთელი მათი გულისყური დემოკრატიის დამკვიდრებისკენ არის მიმართული, რომლის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი აზრის თავისუფლება და პიროვნების თაოსნობა-საქმიანობის შეუზღუდაობაა, იქნებ არ უნდათ მოიმდურონ „მეცნიერ-ბიზნესმენები" და არც „სწავლისმწყურვალთ" აწყენინონ, მით უმეტეს მოახლოებული არჩევნების წინკართან...

ჰო, მაგრამ... თუკი ეს, არსებითად, ახლომხედველი „დემოკრატია" დიდ ზიანს მოუტანს ისეც შრომას გადაჩვეულთ და ქვეყნის დაქცევას კიდევ უფრო არ დააჩქარებს?!

რაკი ვიცი, ჩემს აზრს „თლათ" უფროსობა ანგარიშგასაწევად არ მიიჩნევს, ამიტომ კვლავ ანტიკურ ბრძენს, ზენონს მოვიშველიებ: ბუზი მანამ უნდა მოკლა, სანამ ბუზია, თორემ, როცა სპილოდ გადაიქცევა, ველარ მოერევიო...

„ესე იგი" ყველაფერს თავისი დრო და ალო აქვს, და ეს დრო დროულად უნდა შენიშნო, რათა დაგვიანება შემდეგ სანანებლად არ გაგიხდესო...

ვფიქრობ, სწორედ ამ სფეროს – ქვეყნის დაქცევა-არდაქცევას განეკუთვნება ესეც – ჯერ კიდევ ოფიციალურად გაუცხადებელი მოსაზრება, დედისერთები ჯარში არ უნდა გაიწვიონო, „ესე იგი" ერთი შვილის მშობლებს ამ შემთხვევაში პრივილეგია უნდა ეძლეოდეთ თურმე...

კი, მაგრამ... როგორ ეს, „ქალბატონებო და ბატონებო", ერთშვილიანებს, მოურიდებლად და პირდაპირ თუ ვიტყვით, თავისივე თავის, თავისივე შვილის და თავისივე ერის ამ მტრებს, თუნდაც შეუსმენელ მტრებს, ამ უპირატესობის მინიჭებით ისინი კიდევ უფრო უნდა გაეალაღოთ, თუ... ასეთი მშობლები ყოველმხრივ და ყველასგან უნდა იკიცხებოდნენ, უწინარესად, სახელმწიფოსაგან, რაღაცნაირი კანონითაც კი... და, როცა ამის თაობაზე სახელმწიფო საბჭოში თუ მომავალ პარლამენტში ბჭობა გაიმართება, წინასწარ უნდა ვიცოდეთ, სხვებზე ადრე სწორედ ერთშვილიანები იძრობენ ქარქაშიდან ხმალს, ოღონდ არა ერისა და სამშობლოს მარად სასიცოცხლოდ, – საკუთარი ერთადერთი პირმშოს სტომაქზე ხელის გადასაფარებლად...

აბა მათთვის რა საგანგაშოა, თუკი ამჟამად საქართველოს ქართულ მოსახლეობაში ერთშვილიანი ოჯახების (თუ ასეთ ოჯახს, საერთოდ, ოჯახი ეთქმის!) რაოდენობა ნახევარზე მეტსაც კი აჭარბებს, ერის დაბერების, მაშასადამე, მისი ახლო აღსასრულის უპირველესი მაჩვენებელი – პენსიონერები მოსახლეობის ლამის ერთ მესამედსაც შეადგენენ, რაც ასმილიონიან ერებსაც კი შეაშფოთებდათ; ამას დაუმატეთ მკვლელობები, რომელთა რიცხვი დიდ ქვეყნებსაც „შეშურდებოდათ", აგრეთვე ავტოავარიების უამრავი მსხვერპლი, ერის სადარაჯოზე დაღუპულები... მოკლედ, ჩვენ ახლა იმ უბედურზე უბედური ხალხი ვართ, რომლის წიაღში სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას...

კიტა გუაჩიძე.

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 262-271.

SIC!

ხელისუფლების სტრატეგიული ამოცანა – რუსეთის მოსახლეობის ამოწყვეტა-გაჟუჟვა

ლენინის კრემლის ბიბლიოთეკაში არის ერთი შეუმჩნეველი წიგნი, რომელიც 1912 წელს გამოიცა დუბლინში. თავფურცელზე წარწერაა: „**To my only autenthic Interlocutor, the magnificent Reducer of the Univerce**".

(„ჩემს ერთადერთ ჭეშმარიტ და ერთგულ თანამოსაუბრეს, ქვეყნიერების დიდებულ მკვეცავს"). ხელმოწერა გაურკვეველია, მაგრამ ცხადია, რომ ლენინს წიგნი აჩუქა თვით ავტორმა – ვინმე **Rev. John O` Shannon**-მა (ღირსმა ჯონ ო` შენონმა), რომლის ფოტოგამოსახულებაც ამშვენებს მომდევნო გვერდს. 45 წლის ირლანდიელი მღვდლის მოკრძალებული ნაშრომი “**The Appropriateness of Progress in Connection with Growth of the Population**” („პროგრესის კანონზომიერებანი მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით“), შეუმჩნეველი დარჩებოდა და არ გამოკრთებოდა მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში, რუსეთის პროლეტარიატის მომავალი ბელადი შემთხვევით რომ არ გადაჰყროდა ცოდნისმოყვარე ირლანდიელს (ისინი ლონდონში ხვდებოდნენ ერთმანეთს, სადაც ორივენი ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ).

ღირსმა ირლანდიელმა რუსეთელ დევნილზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. იმდენად ძლიერი, რომ 1919 წელს, როდესაც ახალგაზრდა სახელმწიფოს სულ არ ემეცნიერებოდა, ლენინი თავის მეორე თანამოსაგრეს სწერდა: „ამხ. ლუნაჩარსკის. ა. ვ.! ხომ არ შეიძლება, სასწრაფოდ შესრულდეს ამხანაგებისათვის ერთი ინგლისელი სწავლულის **O` Shannon**-ის ბროშურის თარგმანი? ბევრმა ინგლისური კითხვა არ იცის, არადა, სასარგებლო იქნებოდა, წიგნი განვეეხილა. ოღონდ: გთხოვთ, გაამრავლოთ არა უმეტეს 15 ეგზ.-ისა. წიგნს თან ვურთავ. კარგად. ლენინი".

ეს ბარათი ღიხანს იყო მთარგმნელისა და ფილოსოფოსის ივანე გუსიატნიკოვის ოჯახის საკუთრება, სწორედ იმ გუსიატნიკოვისა, რომელსაც ლუნაჩარსკიმ გადასცა ბროშურა ლენინის დავალებასთან ერთად. ფილოსოფოსი სიამოვნებით ჩაუჯდა სასწრაფო შეკვეთას (მოსკოვში, 1919 წლის ოქტომბერში, ინგლისური ენის ცოდნა ბევრს არ მოეთხოვებოდა), მაგრამ მეორე დღეს დააპატიმრეს: მაშინდელი ხელისუფალნი შეუთანხმებლად მოქმედებდნენ. სანამ ლუნაჩარსკი მთარგმნელის დაპატიმრების ამბავს შეიტყობდა, სანამ გუსიატნიკოვს ციხიდან გამოაშვებინებდნენ, სანამ ბოდიშებს მოუხდიდნენ... ერთი სიტყვით, ჩვენ დღემდე არ ვიცით, თარგმნა თუ არა მან ბროშურა. რაც შეეხება ბარათს, ლუნაჩარსკიმ რომ გადასცა მთარგმნელს წიგნთან ერთად (რომ სცოდნოდა, ვისთვის ირჯება, და ენა არ წაეგლო!), იგი მთარგმნელის ოჯახმა დაიტოვა – უნივერსალურ დაცვის სიგელად. შარშან ბარათი ჩიკაგოს აუქციონზე გაიყიდა მოკრძალებულ ფასად – ხუთი ათას დოლარად: ლენინი მოდაში აღარ არის, და გუსიატნიკოვის შვილთაშვილს ვაჭრობა აღარ დაუწყია.

ო` შენონის მიხედვით, გამოდის, რომ ერთი ერი (ან პოპულაცია) თავისი აყვავებისათვის განუწყვეტლივ უნდა მატულობდეს, ფართოვდებოდეს, ითვისებდეს ახალ ტერიტორიებს, ხოლო მეორე, – სიცოცხლის შესანარჩუნებლად, განუხრელად კლებულობდეს. ეს განსხვავება, ღირსი მამის რწმენით, დამოკიდებულია ორ რამეზე: ტემპერამენტსა და ისტორიულ ფაზაზე, რომელსაც გადის ერი. თუმცა, ტემპერამენტი თითქმის არაფერს არ წყვეტს: იტალიელებს ცივსისხლიანობას ვერ დასწამებ, არადა, ირლანდიელმა მღვდელმა ისინი კლებადი ერების თანრიგში მოახვედრა – გერმანელებთან და ინგლისელებთან ერთად, რომელთა კლებაც ო` შენონს განსაკუთრებით ეფონება გულზე. სამაგიეროდ, ირლანდიელებს, ლათინურამერიკელებსა და უბრალოდ ამერიკელებს, იაპონელებსა და და ებრაელებს შეუძლიათ დატბნენ ზრდადი ერის წოდებით, ვინაიდან მათს ეროვნულ სახელმწიფოებში (თუ ახლა ებრაელთა ოცნება საკუთარი სახელმწიფოს შესახებ, ფრთხილად დასძენს ქადაგი) წარმატების პირობას წარმოადგენს სწორედ მოსახლეობის სწრაფი ზრდა: საჭიროა მუშახელი, საქმე ყველას მოეძებნება, და თვით მცხოვრებთა სიმრავლე ეროვნული სიამაყის საგანი ხდება.

...ყველაზე გონივრული ის იქნებოდა, — უბრალოდ გაგვეჟუჟა ყველა, ყველა... და მათ ნასახლარზე მიწა დაგვეტკეპნა.

ვ. ი. ლენინი.

რუსეთი ო` შენონმა მოახვედრა იმ ქვეყნების თანრიგში, რომლებისთვისაც სევსვიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ხალხის თანდათანობითი, მკაცრად პროპორციული კლება. ამაში ბრალი მიუძღვის მოსახლეობის აპათიურობას, რომელმაც უკვე გამოიარა თავისი დიდების პიკი და, ვინაიდან სიგანეში ზრდას ველარ შეძლებს, ამიტომ, მთელი ძალები უნდა მოახმაროს ბობოქარ სამრეწველო ზრდას – მაგრამ, ამისათვის ხალხს არავითარი სტიმული არ გააჩნია, ვინაიდან რუსეთში „**people is separated from the Power as nowhere else**" (ხალხი გამოყოფილია ხელისუფლებას, როგორც სხვაგან არსად, გვ. 67). ქვეყნის აყვავება ერის ცნობიერებაში არანაირად არ უიგივდება პირად კეთილდღეობას – პირიქით, რაც უკეთ გრძნობს თავს ქვეყანა, მით უარესად გრძნობს თავს რიგითი მოქალაქე. მთავარი მიზეზი, რომლის გამოც, განუმზადებს პასტორი რუს ერს კლებადობას, – ეს არის თავისი ძირითადი წინაამდეგობის გადაწყვეტის უუნარობა". „დიდმა იმპერიებმა, რომელთა სამფლობელო ქვეყნიერების რამდენიმე ნაწილს სწვდება, და ესაზღვრება მსოფლიო ოკეანის სხვადასხვა არეს, – მაღალფარდოვნად უხსნის მკითხველს ავტორი, – უნდა შეიმუშაოს ერთიანი საზრისი საკუთარ ბუნებასა და ნატურაზე. ვთქვათ, ბრიტანეთის იმპერიამ თავის წესად გაიხადა, განუხრელად მისდიოს ერთობ გონებაშეზღუდული ოფიცრის წესების კოდექსს; რაც შეეხება რუსეთს, რომელსაც თითქმის თანაბარ ნაწილებად ჰყოფს ევროპისა და აზიის საზღვარი, იგი ვერასდროს ვერ მივა ერთიან დასკვნამდე თავისი დანიშნულების თაობაზე. ამიტომ, რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობა და თვით ტერიტორია განუხრელად უნდა კლებულობდეს იმ მომენტამდე, სანამ ქვეყანაში არ დარჩება ზუსტად იმდენი ხალხი, რამდენიც საკმარისი იქნება თანხმობისათვის (**Consent**)" (გვ. 128). ჩვეულებრივ, რუსეთში საკმარისია ორნი შეთანხმდნენ, რომ სამნი უკვე კამათს იწყებენ.

ო` შენონს აქვს კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო მოსაზრება: 140-ე გვერდზე იგი აცხადებს, რომ რუსეთი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იტანჯებოდა: „**Deepest Slavery**"-საგან (უღრმესი მონობისაგან), მაგრამ მისგან განთავისუფლებას მოჰყვება მხოლოდ მოთხოვნილებათა ზრდა („**growth of demands**") წარმოების გაუდიდებლად. ასე რომ, რუსეთის განთავისუფლების პირველი შედეგი შეიძლებოდა გამხდარიყო მისი მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედის განადგურება – მაშინ არის იმედი, რომ უღრმესი მონობისაგან გაღვიძებული ხალხი ამ მოთხოვნილებათა ნაწილს მაინც დაიკმაყოფილებს. აქვე შევნიშნავთ, რომ რუსეთმა რამდენადმე გაუსწრო კიდეც პასტორის პროგნოზს – პირველი ორმოცი წლის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლებამ გაჟუჟა დაახლოებით 50 მილიონი კაცი, რასაც მოჰყვა კიდეც შედეგად ერთობ შედარებითი „სიუხვე".

ირლანდიელის თითქმის არც ერთ არგუმენტს არ ეთქმის მეცნიერული. მაგრამ, რუსეთის ისტორიისათვის პირუთვნელი თვალის გადავლება მოწმობს, რომ რუსეთი თითქოს მართლაც ისწრაფვის თავისი მოსახლეობის შემცირებას, ვინაიდან ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას ამჯობინებს მაქსიმალური სისხლისღვრით, და იქ, სადაც საკმარისი იქნებოდა ასი მოქალაქის გაწირვა – წირავს ათასს. ასე ხორციელდება პრინციპი – „არ არის ადამიანი – არ არის პრობლემა". პასტორის მიერ მოყვანილი სტატისტიკური ცხრილები (უამცხრილებოდ ლენინი წიგნს ხელშიც არ აიღებდა) ნათლად მოწმობს, რომ 1870-1910 წლებში აშშ მოსახლეობა განუხრელად მატულობდა (უმთავრესად, იმიგრაციის ხარჯზე), ხოლო, რუსეთის მოსახლეობა ერთ ადგილს ტკეპნიდა, თანაც, გასული საუკუნის 90-იან წლებში შიმშილობის გამო კლებულობდა კიდეც. და ეს იმ დროს, როდესაც გასული საუკუნის დამლევი და ახლანდელის დამდეგი რუსეთის ისტორიის შედარებით სასიკეთო პერიოდია! ხოლო რუსეთის დიდმა რეფორმატორებმა ივანე მრისხანემ და პეტრე პირველმა, რომლებსაც ო` შენონი „**The bloodshedding Reducers**" პირსისხლიან მკვეცავებს უწოდებს, თავიანთი რეფორმების გულისათვის გაწყვიტეს მოსახლეობა – ერთმა მეოთხედით, მეორემ თითქმის მესამედით (პუნქტუალურ ირლანდიელს არ ავიწყდება მოსახლეობის აღწერათა არასრულყოფილების მოხსენიება). „ზოგჯერ ვერ დამიძლევია შემოწოლილი ეჭვები, რომ რუსეთში მთელი რეფორმირება ამოიწურებოდა მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის უზარმაზარი რიცხობრივი შემცირებით, რის ხარჯზეც წყდებოდა მთელი რიგი გადაუდებელი საკითხები", – ერთგვარი შიშით აყალიბებს თავის მოსაზრებას პასტორი შრომის 129-ე გვერდზე.

ნამდვილი მადლი თუ გინდა, ის იქნება, ეს მონური ქვეყანა ამოწყვიტო და გაჟუჟო ისე, რომ მისი ნასახიც აღარ დარჩეს...

ვ. ი. ლენინი.

მაგრამ, ლენინს არ შეეშინდა.

საინტერესოა, ეს თეორია შევადაროთ ბუნდელი არონ კოპეცკის, შემდეგ – მენშევიკის მოგონებებს, რომელმაც 1925 წელს გონივრულად მოუსვა ქვეყნიდან, მერე კი თვალსაჩინო სიონისტი გახდა. მის სტატიაში „უკანასკნელი საუბარი ლენინთან", რომელიც ისრაელში გამოქვეყნდა 1958 წელს, და მაშინვე გადაბეჭდა ნიუ-იორკის „ახალმა ჟურნალმა", ვკითხულობთ: „უეცრად სახე მოეღრიცა და მოთმინებიდან გამოსულმა, ავად ამოიხრიალა:

– ვინ იცის, ეგებ ახლა მართლაც... ყველაზე გონივრული იყოს – უბრალოდ, გავჟუჟოთ ყველა, ყველა... და მათ ნასახლარზე მიწა დავტკეპნოთ! თქვენი მეგობრები ჩემზე ამბობენ, სისხლისმსმელიაო, დაუზრემებიათ, რომ ჩვენ სასტიკნი ვართ... ძალიან ბევრს ველოლიავებით ყველას! გვეშინია, ხელი არ გაგვესვაროს. ნამდვილი მადლი თუ გინდა, ის იქნება, ეს მონური ქვეყანა ამოწყვიტო და გაჟუჟო ისე, რომ მისი ნასახიც აღარ დარჩეს... – მაგრამ აქ გონს მოეგო და კილო შეიცვალა, – წაიკითხავ ყოფილი ამხანაგების ნაწერს – და, კაცმა არ იცის, რას არ გათქმევინებენ".

აქ კოპეცკი აღწერს თავის უკანასკნელ შეხვედრას ლენინთან კომინტერნის მეორე კონგრესზე. ასე წამოსცდა ლენინს თავისი მიზანი, სამოქალაქო ომის აზრი, მიზეზი იმ აუხსნელი მასობრივი რეპრესიებისა, „წითელი ტერორის" სახელწოდებით რომ შევიდა ისტორიაში. ასე ესმოდა პატრიოტიზმი – და სწორედ ასეთი გაგება უანდერძა თავის პარტიას.

მეტისმეტად ეგზოტიკურად ხომ არ გამოიყურება ის ვერსია, რომ ლენინი თავის მოღვაწეობაში ირლანდიელი პასტორის ვარაუდებით ხელმძღვანელობდა? მაგრამ, ჯერ ერთი, ისინი შეიძლებოდა დამთხვეოდა მის საკუთარს. მეორეც, ბევრი რამ საბჭოთა წარსულის ისტორიაში მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას. და საერთოდ, ო` შენონი, უაღრესად წესიერი კაცი, როგორც მეცნიერი, ახირებულად არ უწოდებდა საყვარელ თანამოსაუბრეს „ქვეყნიერების დიდებულ მკვეცავს".

ჩვენ არ ვიცით, ლენინისეული ეგზემპლარის რა გვერდებშია შემორჩენილი ფრჩხილით მონიშვნის ანაბეჭდი: ბელადის ბიბლიოთეკა ჩვენთვის მიუწვდომელია, დაბეჭდილია მხოლოდ კატალოგი, და ჩვენ ო` შენონის თხზულებას გავეცანით აშშ კონგრესის ბიბლიოთეკაში. შეიძლება მხოლოდ იმკითხაო, გრძელდებოდა თუ არა ილიჩისა და მისი ირლანდიელი მეგობრის ურთიერთობა, ჰქონდათ თუ არა მათ მიმოწერა...

1934 წელს პასტორი უკვალოდ გაქრა. იმ დროს საბჭოთა საგარეო დაზვერვისათვის შეუძლებელი უკვე არაფერი იყო: აგენტურული ქსელი გამართულად მუშაობდა. ამ პასტორმა ძალზე ბევრი რამ იცოდა, ანდა, სტალინს არ სურდა საბჭოთა პოლიტიკური დოქტრინის ავტორობის გათქმა.

თავისი წიგნის 121-ე გვერდზე პასტორს გამოაქვს გამაოგნებელი დასკვნა: ტექნიკისა და კომუნიკაციის განვითარების კვალობაზე ისტორია ჩქარდება. უნებლიედ ენაზე გადგება შეგონება: ახალი საუკუნის დაწყებიდან რუსეთის ხელისუფლება თავის ერს წინანდელზე უფრო სწრაფად უნდა ანადგურებდეს.

რუსეთში ხალხი ყოველთვის ფეხებზე ეკიდათ, და, ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გმირული სიკვდილის კულტი ჩვენს სამშობლოში ასე ფართოდ ინერგებოდა. დავუფიქრდეთ: არსად და არასდროს, შემოქმედ ერს, მშენებლობის ხარაჩოებს შებმულს, თავის თავს ახალგაზრდას რომ უწოდებს, – არ ულაპარაკია ამდენი სიკვდილზე, არ უმღერია მისთვის ასეთი გზნებით, არ აუყვანია იგი ცხოვრებისეულ ღირებულებათა პირამიდის მწვერვალზე. გმირი პიონერებისა და იატაკქვეშა კომკავშირელებისადმი მიძღვნილი წიგნები ალსავსე იყო წამების ისეთი დოკუმენტური აღწერით, რომ თვით მარკიზ დე სადსაც შეშურდებოდა.

გვრჩება ერთი ნუგეში. „ვინ იცის, – გამოთქვამს ვარაუდს პასტორი თავისი შრომის ბოლო, 215-ე გვერდზე, – ეგებ უფალს სურს, რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება სრულად წაიყვანოს თავისთან ყველაზე მართალი ერები?"

მაშინ ჩვენ ჭეშმარიტად სამოთხეში ამოგვიყვია თავი.

ჟურნ. „ოგონიოკი" (№ 41).

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

იუბილე

თბილისის სააქციო საზოგადოება სპორტკომპლექს „ლაგუნა ვერეში" სამ დღეს გრძელდებოდა საჩვენებელი შეჯიბრებები ცურვაში, სინქრონულ ცურვასა და წყალბურთში. ასპარეზობები სპორტკომპლექსის ამოქმედების მე-20 წლისთავს მიეძღვნა.





ზუსტად ორი ათეული წელიწადი მიილია მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგა ეს ჩინებული სპორტული ბაზა. ზუსტად ამდენივე ხანია კომპლექსის საქმიანობას უნარიანად უძღვება ამჟამად საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ვეტერანი წყალბურთელი ვლადიმერ გოიაშვილი.

ორი ათეული წლის გადასახედიდან



— ჩემი ყმაწვილობისას მდინარე მტკვარსა და ვერეს შუა სპორტსმენთა ერთი უსაყვარლესი ადგილი იყო, — იგონებს ბატონი ვლადიმერი — „ფიზკულტურელთა პარკს" ეძახდნენ, ჩინებული დარბაზებითა და მოედნებით, სამი საცურაო აუზით: ყველაზე მცირეს, სასწავლოს „ლიაგუშატნიკს" ეძახდნენ; მოზრდილსა და ღრმას, რომლის ცენტრშიც ხის ხუთმეტრიანი კოშკურა იდგა „კრაკადილნიკი" ერქვა, ხოლო მესამე საცურაო, 20X25 მეტრზე, „ბეგემოტნიკად" იყო მონათლული. უამრავი სპორტსმენი იყრიდა თავს „ფიზკულტურელთა პარკში". მე და ჩემი მეგობარი კრივში კი ვვარჯიშობდით, მაგრამ ხშირად შურით შევცქეროდით აუზებში თევზებივით მოსრიალე გოგო-ბიჭებს. ერთ დღეს ვეღარ მოვითმინეთ, ღობეზე გადავძვერით და ისე შევიპარეთ საცურაოზე. დაგვინახეს, დაგვიჭირეს და დაგვსაჯეს — მაზუთი წაგვისვეს თავზე და ისე გაგვიშვეს შინ. იძულებული გავხდით, თმა გადაგვეპარსა. რამდენიმე დღის შემდეგ, სიბრაზე რომ დაგვიცხრა, საცურაოს ხელმძღვანელობას მივადექით და ცურვის სექციაში ჩავეწერეთ. მწვრთნელად დაგვინიშნეს გიორგი დათაძე, ძველი მეზღვაური, წესიერი, ინტელიგენტი კაცი, რომელიც მშობელივით არ გვაკლებდა ყურადღებას. მაშინ მერვე კლასში ვიყავი. მალე მე და რამდენიმე ჩემმა მეგობარმა ამპლუა შევიცვალეთ — უფრო წყალბურთმა გაგვიტაცა. ახლაც სიყვარულით ვიხსენებ „ფიზკულტურელთა პარკს"...

— რომელიც მტკვრის სანაპირომ „შეიწირა", არა?

— ეს იყო ორმოცდაათიანი წლების ბოლოსა და სამოციანი წლების დასაწყისში. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მშენებლობამ პარკამდე მოაღწია. გვერდს ხომ არ აუვლიდნენ. ტრადიციის შენარჩუნების მიზნით, გადაწყდა საცურაო აუზები აეშენებინათ იმ ადგილას, სადაც ახლა რესტორანი „არაგვია", პროექტებიც მზად იყო, მაგრამ ფიზკულტურელებს მაშინაც ქეიფის მოყვარულებმა აჯობეს — თავისთვის „გაშანსეს" ის ადგილი.

აუზის მშენებლობა გადაწყდა „ფიზკულტურელთა პარკის" მოპირდაპირე მხარეს, მდინარე ვერეს გადაღმა, სადაც ზოგან ჭაობი იყო, ზოგან კი ხუხულები იდგა. მართლაც, მალე დაანგრიეს ქოხმახები და დაიწყეს აუზების მშენებლობა, მაგრამ მალევე შეწყდა საკავშირო მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

მას შემდეგ ათ წელზე მეტმა განვლო. 1976 წელს საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ედუარდ შევარდნაძემ თავის გამოსვლაში უარყოფითი შეფასება მისცა „ფიზკულტურელთა პარკის" გაუქმებას და თბილისელებს ამოცანად დაუსახა, უმოკლეს ვადაში განეახლებინათ აუზების მშენებლობა. რამდენიმე დღის შემდეგ აქაურობა, მართლაც, სამშენებლო ტექნიკით აივსო. მაშინ საქართველოს სპორტკომიტეტში განყოფილების გამგე ვიყავი და საწყლოსნო სახეობები ჩემთან შემოდიოდა. სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დავით პერტენავამ მიხმო და ამიხსნა, ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, მშენებლობის ზედამხედველად ინიშნებიო. მეც ყოველდღიურად უთენია მივდიოდი ობიექტზე და გვიანობამდე აქ ვიყავი. თბილისის თავკაცი თენგიზ მენთეშაშვილი თავად აკონტროლებდა მშენებლობის მიმდინარეობას, კვირა ისე არ გაივლიდა, თავად ბატონი ედუარდიც არ შეგვეხმიანებოდა. მახსოვს, ბეტონის ჩასხმა რომ დავიწყეთ, ქარხანას 40 საათის განმავლობაში მუშაობა არ შეუწყვეტია. ბოლოს, მოპირკეთებისა და დასუფთავების სამუშაოებზე 400-მდე ადამიანი საქმიანობდა. 1978 წლის 13 ოქტომბერს საწყლოსნო კომპლექსი საზეიმოდ გაიხსნა. დირექტორად მე დამნიშნეს.

პირველი დიდი კურიოზი მაშინ შეგვემთხვა. გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო ირანმა საბჭოთა კავშირს გაზის მოწოდება შეუწყვიტა. წყალს ვერ ვათბობდით და, ფაქტობრივად, აუზს ვერ ვამუშავებდით. მოსახლეობისათვის ეს შეუმჩნეველი რომ ყოფილიყო, ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ აუზზე „ივერიის" კონცერტები გაგვემართა. ტივი შევკარით და ორი კვირის განმავლობაში ივერიელებს ისეთი ეგზოტიკური კონცერტები გამოუვიდათ, რომ მაყურებელი არ მოკლებიათ. შემდეგ გაზიც მოგვაწოდეს და სპორტსმენებიც ჩაებნენ საქმეში.

— ორი ათეული წლის განმავლობაში, ალბათ, ბევრ სახელოვან სპორტსმენს მოუსინჯავს თქვენი აუზის ბილიკები...

— აქ სხვადასხვა დროს უვარჯიშიათ გივი ჩიქვანაიას, ლერი გოგოლაძეს, ვლადიმერ ისელიძეს, მიხეილ გიორგაძეს, დავით რურუას, გელა ტუკვაძეს, კახა კანდელაკს, აქ დაოსტატდნენ ლიანა ცოტაძე, სერგი შალიბაშვილი, გიორგი ჩოგოვაძე, დიანა მჭედლიძე, ქრისტინა ფალასანიდი, ლელა მამიაური, ელენე მაისურაძე და სხვები. 12 წლის განმავლობაში ჩვენთან იმართებოდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირები ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე და მსოფლიოს უძლიერესი წყალბურთელები იხილეს ქართველმა გულშემატკივრებმა. საგულისხმოა ისიც, რომ პირველად აქ ჩამოყალიბდა წყალბურთელ ქალთა გუნდი „ივერია", რომელიც შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ დროთა განმავლობაში უსახსრობის გამო ეს კოლექტივი დაიშალა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილ საბჭოეთს ორჯერ ესტუმრა ამერიკელ წყალში მხტომელთა გუნდი და ორივე სამატჩო შეხვედრა ჩვენთან გაიმართა.

— ცხადია, „ვერეს" სპორტული კომპლექსი მარტო ოფიციალურ შეჯიბრებათა სარბიელი არ ყოფილა...

— რა თქმა უნდა, ჩვენ უდიდეს ღირსებად სწორედ ის მიგვაჩნია, რომ აქ ორი ათეული წლის განმავლობაში ათასობით მოზარდმა ისწავლა ცურვა, უამრავმა ადამიანმა გაიკაჟა ჯანმრთელობა. უწინ ბავშვებისთვის ყოველთვიური აბონემენტი 6 მანეთი ღირდა, ხოლო დიდებისთვის — 6-9 მანეთი. ამით იმის თქმა მსურს, რომ აუზით სარგებლობა, პრაქტიკულად, ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, განსაკუთრებით ინტელიგენციისათვის, რომელმაც კარგად იცოდა ცურვის ფასი. დღეს კი მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. მართალია, ყოველდღიურად, საშუალოდ, 500-მდე ადამიანი მოდის აუზზე, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. ბიუჯეტში საწარმოებზე მეტი თანხა შეგვაქვს, შეღავათს ვერ გვაძლევს სახელმწიფო — მსოფლიო ბანკის დავალებააო. დაავადებულ ბავშვებს, რა, მსოფლიო ბანკი გაგვიკურნავს?

როგორც იცით, 1995 წლიდან სპორტული კომპლექსი პრივატიზებულია. ორიოდე წლის წინათ ინვესტორიც გამოგვიჩნდა — ქართულ-გერმანული ერთობლივი ფირმა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მათთან ურთიერთობამ იმედები გაგვიწბილა, ამიტომ ხელშეკრულება გავაუქმეთ. ახლა თავად გვიხდება ყველაფერზე ზრუნვა. ამასთანავე, საკუთარი დანაკარგების ხარჯზე, თითქმის უფასოდ ვემსახურებით საქართველოს ნაკრებ გუნდებს საწყლოსნო სახეობებში, მათ შორის სინქრონულ მოცურავეთა ჯგუფსაც. არ გვინდა, ეს სახეობა დავკარგოთ. ხშირად ჩვენთან ვარჯიშობენ თბილისის „დინამოს" წყალბურთელებიც, დიდ დახმარებას ვუწევთ თავდაცვის სამინისტროს და დედაქალაქის მერიასთან არსებული სპორტის სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სკოლას საწყლოსნო სახეობებში. როგორც აღვნიშნე, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ფულს ვერავინ გვიხდის, არადა შვიდი ოქტომბრიდან 1000 კუბომეტრი გაზის ფასი 174-დან 250 ლარამდე გაიზარდა. როგორ მოვიქცეთ, ჩვენც მოვუმატოთ აბონემენტებს ფასი? მაშინ ხომ ისინიც ვეღარ ივლიან, ვინც დღესდღეობით გაჭირვებით მაინც ახერხებს აბონემენტის ყიდვას. მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში საცურაო აუზი საკუთარ თავს ვერ ინახავს, მას სახელმწიფო ეხმარება, ჩვენთან კი ჯერჯერობით ყველაფერი პირიქითაა. კიდევ კარგი, ამას წინათ შემწედ მოგვევლინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგატა" (პრეზიდენტი ცისანა მჭედლიძე). ერთობლივად გამიზნული გვაქვს მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, რადგან კომპლექსი ითხოვს რეკონსტრუქციას, ზოგიერთი კვანძი შესაცვლელია, ტექნოლოგია — გასაახლებელი, სავარჯიშო დარბაზებისთვის შესაძენია თანამედროვე მოწყობილობა. ზოგიერთი სამუშაო უკვე დავიწყეთ. მალე დავამთავრებთ მძლავრი ქვაბის მონტაჟს, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს შეუფერხებელ მუშაობას, კეთილმოეწყობა სააქტო დარბაზი, სადაც შევქმნით „ლაგუნა ვერეს" კლუბს, რომლის წევრობაც ბიზნესმენებსაც შეეძლებათ და ერთმანეთის დახმარებით ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ. სპორტული კომპლექსის მიერ გავლილი ორი ათეული წელი იმის ნათელი დასტურია, რომ უქმად არ გვიცხოვრია და მომავალშიც საქმეს რა გამოგვილევს.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

* * *

სპორტის სტაჟიან გულშემატკივრებს აუცილებლად ეხსომებათ 1978 წლის 13 ოქტომბერი: ამ დღეს მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე საზეიმოდ გაიხსნა თბილისის საწყლოსნო სპორტული კომპლექსი სპორტული დარბაზებით, სახტომი კოშკურითა და სამი საცურაო აუზით.

ტევა არ იყო ნაირფერად აჭრელებულ ტრიბუნებზე. ჩვენს დედაქალაქს, მთელ საქართველოს ამ გრანდიოზული სპორტული ბაზის მწყობრში ჩადგომას ულოცავდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოეთიდან ჩამოსული ცნობილი მოღვაწეები, სპორტსმენები. ზეიმი დაამშვენა წყალში მხტომელთა, მოცურავეთა, წყალბურთელთა და სინქრონულ მოცურავეთა საჩვენებელმა გამოსვლებმა.

სპორტული ფოტოჟურნალისტის ალექსანდრე კოტორაშვილის ეს ფოტოები მაშინდელი დღესასწაულის კადრებია და ოცი წლის წინანდელ სინამდვილესთან გვაახლოებს.

სამბო

მხოლოდ „ვერცხლი" და „ბრინჯაო"

კალინინგრადში დამთავრდა სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს რვა მოჭიდავეც მონაწილეობდა. როგორც გულშემატკივრებმა იციან, საქართველოს სამბისტები, ტრადიციულად ერთ-ერთი უძლიერესები არიან. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან თბილისში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე 5 ოქროს მედალი და გუნდური პირველობა მოვიპოვეთ. კალინინგრადში კი, სადაც ჩვენები ბოლო მომენტში ნასესხები ფულით გაემგზავრნენ, შედარებით მოკრძალებულ შედეგებს დასჯერდნენ. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში კასპელმა **ივანე გამხიტაშვილმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ ქუთაისელი **თემურ ნეფარიძე** (57 კგ.), მცხეთელი **არჩილ ჩოხელი** (68 კგ.), გორელი **ნიკოლოზ ბიბილაშვილი** (74 კგ.), გორელი **იოსებ ახალბედაშვილი** (100 კგ.).

საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ თამაზ ნეფარიძე (ქუთაისი, 52 კგ.), ბადრი ჯანიაშვილი (კასპი, 62 კგ.) და გია შარიაშვილი (82 კგ.).

საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო რუსეთის ნაკრები. მეორე-მესამე ადგილებზე უკრაინელები და მონღოლები გავიდნენ. ქართველი სამბისტები მხოლოდ მე-4 ადგილით დაკმაყოფილდნენ.

დავამკვიდროთ ცხოვრების ჯანსაღი წესი!

ბაგრატიონის ძეგლიდან-გორგასლის ხიდამდე

კრწანისის რაიონის სპორტკომიტეტისა (თავმჯდომარე ამირან აფრიამაშვილი) და იმავე რაიონის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების (უფროსი დავით სანიკიძე) ინიციატივით ამ დღეებში მოსწავლე ახალგაზრდობისთვის მოეწყო, ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მავნე ჩვევების აღმოფხვრის მიზნით, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ბაგრატიონის ძეგლიდან გორგასლის ხიდამდე კროსში მონაწილეობდა 900-მდე მოზარდი. 1500 მეტრზე რბენისას ფინიშის ხაზი ვაჟთა შორის პირველმა გადაკვეთა 68-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ დათო ფურცელაძემ, მეორე იყო 65-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ვასიკო ვაშაკიძე, ხოლო მესამე — 67-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გურამ ღელაღუტაშვილი. 500 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის პირველი მიიჭრა ფინიშთან მაია მურადაშვილი (67-ე საშუალო სკოლა), მეორე ადგილი დაიკავა ლელა ხაჩატუროვამ (მე-9 გიმნაზია), ხოლო მესამე — მაია ჭილლაძემ (75-ე საშუალო სკოლა).

სპორტული ღონისძიებები გაგრძელდა თბილისის ძველ ისტორიულ აბანოთუბანში. მოსწავლეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ეროვნულ სპორტულ სახეობებში: ლახტში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ელისტის ექო

რატომ წააგეს ინგლისელებმა

XXXIII
CHESS
OLYMPIAD

ლონდონი (იტარ-ტას-საქინფორმი). მეტოქეებმა კი არა, არამედ არაყმა და გუნდში უთანხმოებამ დაგვღუპა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც ახლახან რუსეთის ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში დამთავრდა, — ასეთი რამ აღიარა აქ ინგლისის ნაკრების კაპიტანმა, 30 წლის დიდოსტატმა დევიდ ნორვეუდმა „ერთა ტურნირზე" ხელის მოცარვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ ფავორიტად აღიარებულმა ინგლისის გუნდმა აქ მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა. „ვფიქრობ, რომ არაყმა თავისი საქმე გააკეთა", — აღნიშნავს კაპიტანი ალკოჰოლით „დაძაბულობის მოხსნის" თაობაზე, რასაც ბრიტანეთის კუნძულებზე უფრო ხშირად ფეხბურთელებს უკავშირებენ.

ნორვეუდმა ეს გულახდილად მას შემდეგ თქვა, რაც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინგლისელი მოჭადრაკე ნეიჯელ შორტი გამოვიდა მკაცრი კრიტიკით კაპიტნისა და ნაკრებში მისი კოლეგების წინააღმდეგ. შორტმა ბრალად დასდო მაიკლ ადამს, თავის მემკვიდრეს პირველ დაფაზე, „ენთუზიაზმის სრული უქონლობა". პირველი ნომრის „მარცხენა" თამაშს, მიაჩნია შორტს, დაემატა ენტონი მაილზის ჭირვეულობაც, რომ არ მჯდარიყო ჯონათან სპილმენის დაფის გვერდით.

„სპილმენი, — როგორც ნორვეუდი აღიარებს, — ძალიან ნერვიულია, ტონის კი, კარგად რომ ითამაშოს, სრული კონცენტრაცია სჭირდება".

ნორვეუდი, თავის მხრივ აღნიშნა შორტმა, მართლაც რომ კარგი მოჭადრაკეა, რასაც შეუპოვარი შრომით მიაღწია, მაგრამ ის, რომ მნიშვნელოვანი მატჩების დროს ხშირად დადის ბარებსა და რესტორნებში „დემორალიზაციულ ზეგავლენას ახდენს გუნდზე".

„მართლაც რომ ძალიან ცუდად გამოვედით: ამას არავითარი გამართლება არა აქვს, — ამბობს ნორვეუდი. — პირადად მე მრცხვენია, ამის შემდეგ მე კაპიტნობა აღარ მსურს".

შეეცადა რა განემარტა „ენთუზიაზმის უქონლობა", ადამსმა თქვა: „მიკი რუსეთში თამაშზე მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა, რომ მას ექნებოდა ცალკე ტუალეტი — ძალიან არ უყვარს მას ყოფილ საბჭოთა კავშირში გამოსვლა".

როცა ინგლისელები ელისტაში ჩავიდნენ, გაირკვა, რომ ადამსი იძულებული იყო ეს ადგილი სპილმენთან ერთად გაეზიარებინა. ტუალეტი, აგრეთვე, უსახური ბინა გამოუყვეს ყალმუხეთის პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის — ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტისა და ამ ოლიმპიადის მთავარი ორგანიზატორის პირადი განკარგულებით. „მოთამაშეთა უკმაყოფილება როგორმე რომ გაენეიტრალებინათ, მასპინძლებმა ბევრი არაყი და ხიზილალა მოგვართვეს, — თქვა ნორვეუდმა. — აი, სწორედ ამან დაგვღუპა".

მაგრამ, როგორც კაპიტანმა თქვა, ყალმუხეთში „მაინც უფრო ნაკლებს ვსვამდით, ვიდრე შარშან ევროპის ჩემპიონატზე, რომელზეც გავიმარჯვეთ".

ინგლისის ჭადრაკის მთელი ისტორიის მანძილზე აქ ძალით მეორედ მიჩნეულმა ეროვნულმა გუნდმა მთელ რიგ შემთხვევებში მეტისმეტად ცუდად ითამაშა, მაგრამ ინგლისელებისათვის ყველაზე მძიმე მომენტი, მიაჩნია ნორვეუდს, დადგა ტურნირის ბოლოს, როცა მათ ვერ დაამარცხეს პოლონელები, რომლებსაც მეოცე ადგილი უკავიათ საშუალო რეიტინგფურცლის მიხედვით.

ცუდი გამოსვლის კიდევ ერთ მიზეზად ნორვეუდმა დაასახელა დროში განსხვავება. ჩვენ უნდა გვეთამაშა გრინვიჩის დროით დილის შვიდ საათზე, როცა მხოლოდ თვალებს ვიფშვნეტთ, თქვა კაპიტანმა. ჩვენ უფრო ნაშუაღამევის თამაშს ვამჯობინებდით. ამ დროს ღვება ხოლმე ადაპსი...

მთლიანად შეაჯამა რა ინგლისელ მოთამაშეებთან ელისტაში თავისი ურთიერთობის შედეგები, ნორვეუდმა ფილოსოფიურად შენიშნა: „მოჭადრაკეები მძიმე ხალხია, რის გამოც ხშირად ისინი უცნაურად გამოიყურებიან, მაგრამ მათ ასეთი უცნაურობა რომ არ სჭირდეთ, ისინი, ალბათ, ასე კარგად ჭადრაკს ვერ ითამაშებდნენ".

ყოველი მხრიდან

ბურთს პოლიცია იცავს

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ბურთში, რომელიც 9 დოლარი ღირს, მილიონებს იძლევიან. ათასობით ამერიკელი შურით შესცქერის მის მფლობელს — 26 წლის ფილ ოზერსკის.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ეს ბედნიერი კაცი, ერთ-ერთი ამერიკული ინსტიტუტის ლაბორანტი, შემთხვევით გახდა ბეისბოლის ამ პატარა ბურთის ბატონ-პატრონი. ის ცნობილი ბეისბოლისტის მარკ მაკგუაირის სუპერსარეკორდო, 70-ე დარტყმის შემდეგ ბეისბოლის მინდვრის გარეთ აღმოჩნდა და ოზერსკი დაეუფლა. გუნდ „სენტ-ლუის კარდინალსის" სნაიპერმა კი ამით მოხსნა როჯერ მორისის მიერ 1961 წელს დამყარებული რეკორდი — 61 დარტყმა.

ამ საბეისბოლო მატჩის შემდეგ მრავლად გამოჩნდა ამ „რეკორდსმენი" ბურთის შეძენის მსურველი. ფილ ოზერსკის მოსვენება დაეკარგა, მისი ადვოკატის განცხადებით, მის სამეურვეოს წამდაუწუმ აკითხავენ აუქციონების ორგანიზატორები და ამ უჩვეულო სუვენირში დიდძალ ფულს სთავაზობენ.

ფილი ყოყმანობს, ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს, რა გზა გამოუნახოს თავის უჩვეულო ნადავლს. ერთი რამ კი დროზე მოიფიქრა — ბურთი შესანახად გადასცა „ბეისბოლის დიდების დარბაზს". აქედან მას არავითარი სარგებელი არ ექნება, რადგან მუზეუმი არაკომერციული ორგანიზაციაა და გამოფენილი ექსპონატისთვის ფულის გადახდა არ შეუძლია. თუმცა, ექსპოზიციის დირექტორი იმედოვნებს, რომ ოზერსკი კეთილგონიერებას გამოიჩენს და ბურთს მუზეუმს აჩუქებს.

ამჟამად ბურთი — ექსპონატი ელექტრონული სიგნალიზაციით აღჭურვილი მინის ყუთშია მოთავსებული. მუზეუმის ხელმძღვანელობა ფიქრობს, იქვე გამოფინოს მაკგუაირის ხელკეტი, აგრეთვე, მისი და ოზერსკის ფოტოები. მილიონებად ღირებულ რელიკვიას კი დღედაღამ პოლიციელები იცავენ.

დაიჭერს ორ კურდღელს?

„ოლიმპიური დიდება" — ასე ჰქვია ფილმს ნაგანოს თეთრი ოლიმპიადის შესახებ. მისი პრემიერა ნიუ-იორკში 21 იანვარს უნდა გაიმართოს, მას უამრავი ხალხი დაესწრება, ვინაიდან უკვე მიპატიჟებულია 800 კაცი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

საპატიო სტუმრებს შორის უნდა იყოს ცნობილი ნორვეგიელი მოთხილამურე ბიორან დელიც. თუმცა, თავად სპორტსმენს დიდი, არცთუ ადვილად გადასაჭრელი პრობლემა წამოეჭრა — 19-20 იანვრისათვის ნორვეგიაში უნდა დაიწყოს ქვეყნის ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. ამიტომაც დელიმ უნდა გადაწყვიტოს — ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა თუ ფილმის საზეიმო პრეზენტაციაში.

— ადრე მე ერთ დღეს ორ ადგილას ყოფნა მომისწრია, — ამბობს სპორტსმენი, — მაგრამ არ მომხდარა, რომ ერთსა და იმავე დღეს ორ შორეულ კონტინენტზე ვყოფილიყავი.

თუმცა, თუ ნორვეგიულ გაზეთს „აფტენპოსტენს" დავუჯერებთ, დელის მაინც უნდა ორი კურდღლის დაჭერა — 19 იანვარს იგი მონაწილეობას მიიღებს 30 კილომეტრზე რბოლაში, 21-ში დილით სტარტს აიღებს 10 კილომეტრზე სირბილში, შემდეგ კი ჩაჯდება თვითმფრინავში და ნიუ-იორკისაკენ გასწევს.

დროის სხვაობის გამო, ის ფილმის პრემიერასაც ჩაუსწრებს და საზეიმო ბანკეტსაც. შემდეგ კვლავ თვითმფრინავში აღმოჩნდება და ნორვეგიაში გამოფრინდება. შაბათს, 23 იანვარს კი იგი გამოდევნებითი რბოლის მონაწილეთა შორის იქნება.

ბიორან დელი ოცნებობს მომავალ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, რათა თავისი საოლიმპიადო მედლების კოლექცია გაამდიდროს. აქამდე მას 8 მედალი აქვს მიღებული.

იქმნება ახალი ოჯახი

აქ დაფარული და გასაიდუმლოებული არაფერი იქნება — მომავალი წლის 16 ოქტომბერს იქორწინებენ ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენი, ნორვეგიელი მოციგურავე იუჰან-ულაფ კოსი და არანაკლებ ცნობილი ავსტრალიელი მოცურავე, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი სამანტა რილი.

ჯვრისწერა ბრისბენში გაიმართება (აქ ცხოვრობს სამანტა, ხოლო ამ ქალაქის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს იუჰანი). რალიმ და კოსმა ერთმანეთი 1994 წელს გაიცნეს, შარშან კი გამოაცხადეს თავიანთ ნიშნობაზე.

წინდახედული ჩემპიონები სამართლიანად არ ჩქარობენ ცოლქმრულ უღელში შებმას, თავიანთ ქორწილში ნახევარი მსოფლიოს დაპატიჟებას აპირებენ და ახლა სასიძოც და საპატარძლოც სტუმრების სიის შედგენითა და მოსაწვევების გაგზავნით არიან გართულნი. პირველი მოსაწვევი მიიღო სახელგანთქმული მოციგურავის მთავარმა მეტოქემ — მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა ბარტ ველდკამპმა, ახლა ბელგიაში რომ ცხოვრობს. ერთი წლის შემდეგ გასამართი ქორწილისათვის საჩუქრების ძებნაში არიან კოსის პირველი მწვრთნელი სვეინჰოვარდ შლეტტენი, აგრეთვე, საქმროს ნორვეგიელი კოლეგები.

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

საქართველო ევროგაერთიანებაში მაინც გაწევრიანდება

„19 ოქტომბრის მოვლენები საქართველოს ევროგაერთიანებაში გაწევრიანებაზე არანაირ გავლენას არ იქონიებს“, — განაცხადა ბეას კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ გაბრიელ კულულაშვილმა. მისი თქმით, მთელმა ევროპამ დაინახა რა სწრაფად მოხდა გუშინდელი მოვლენების ლოკალიზაცია და მოგვარება.

სენაკში მოსახლეობა სიმშვიდეს ინარჩუნებს

ელენე თევდორაძე და მიხეილ სააკაშვილი სენაკის რაიონის გამგებელსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას შეხვდნენ და მადლობა გადაუხადეს იმ ოპერაციისთვის, რომელიც მათ საკმაოდ მაღალ დონეზე, თითქმის უმსხვერპლოდ განახორციელეს. მათ აღნიშნეს, რომ საქმეში ძალოვანი სტრუქტურებია ჩართული, რომლებიც საკუთარი პროექტითა და სქემით იმ ოპერაციებს ახორციელებენ, რასაც დამნაშავეთა დაკავება და გაუვნებელყოფა უნდა მოჰყვეს, ისინი მიიღებენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

დეტალები

ამბოხებული აკაკი ელიავას ჯგუფში, სანამ იგი რამდენიმე თანმხლებთან ერთად მიიმალებოდა, განხეთქილება მოხდა, როგორც ბეას კორესპონდენტს ქუთაისში მყოფმა დეპუტატმა ვიტალი ხაზარაძემ განუცხადა, არსებული ინფორმაციის თანახმად გუშინ ბაზაში დაბრუნებულ ელიავას თანამზრახველებმა პრეტენზიები წაუყენეს იმის თაობაზე, რომ მათი იმედები გააცრუა და თბილისში შესვლა ვერ შეძლეს. ამ უსიამოვნო კამათის შემდეგ ელიავამ სახლში წასვლა გადაწყვიტა და მას შემდეგ რამდენიმე პირთან ერთად აღარავის უნახავს.

ტერიტორია კონტროლდება

სამტრედია-ხობის ტერიტორია მთელი რადიუსით კონტროლდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს შენაერთების მიერ.

სენაკში ამ დილით დამატებით შეყვანილია კიდევ რამდენიმე სამხედრო ქვედანაყოფი გორის სასწავლო ცენტრიდან და სატრანსპორტო მაგისტრალებს აღნიშნულ მონაკვეთზე ისინი აკონტროლებენ.

სუფსის ტერმინალის დაცვა გაძლიერებულია

სუფსის ნავთობის ტერმინალთან ამჟამად დისლოცირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო ქვედანაყოფი. სუფსის ტერმინალის დაცვის გაძლიერება, ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ, გამოიწვია იმან, რომ იყო ინფორმაცია დასავლეთ საქართველოში გარკვეული ძალების მიერ სიტუაციის დაძაბვის მცდელობის შესახებ.

ბანძაში ავარიას ორი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა

19 ოქტომბერს ღამის 23 საათისთვის, როდესაც აკაკი ელიავას მომხრე ძალები სენაკში ბრუნდებოდნენ, სოფელ ბანძაში ერთ-ერთმა ჯავშანმანქანამ მართვა დაკარგა და პოლიციის შენობას შეეჯახა. დაიღუპა ორი ჯარისკაცი. შეჯახება შემთხვევითი იყო, არანაირ სამხედრო მოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: იბერიამ და ბეამ.

ხმა ერისა

ვიღაცას, ალბათ, ხელს აძლევდა

ზურაბ თორია, მწერალი: – ჩემი დამოკიდებულება სენაკის მოვლენების მიმართ, რა თქმა უნდა, უარყოფითია. ჯერ კიდევ აგვისტო-სექტემბერში იყო მითქმა-მოთქმა, სამეგრელოში რაღაც მზადდებაო, თვესაც კი ასახელებდნენ, მაგრამ ჩვენმა სამართალდამცავებმა რატომღაც ამჯერადაც უნიათობა გამოიჩინეს და აჰა, რაც მოხდა!...

მიუხედავად იმისა, რომ სენაკის პერიპეტიებს მთელი საქართველო თვალს ტელევიზიით ადევნებდა, მეტისმეტად „დაინტერესებული“ პირები მაინც ირწმუნებოდნენ, ელიავას ბანდის უკან მთელი სამეგრელო დგასო. ეტყობა, ვიღაცას ხელს აძლევს ამ თითო-ოროლა ავანტიურისტს გვერდში „მთელი სამეგრელო“ ამოუყენოს და ძველი სცენარით ახალი ტრაგედია დაატრიალოს. მაგრამ ჩემთვის კარგად არის ცნობილი, რომ არამცთუ მთელი სამეგრელო, მისი მცირე ნაწილიც კი არ აჰყვება ელიავების ყოყლოჩინურ მოთხოვნებს, რადგან ხალხი დაიღალა ამ თვითმარქვია „პოლიტიკოსების“ ავანტურისტული მოწოდებებისაგან.

ლია აჭარაძე, სამაჩაბლოელი ლტოლვილი: – სენაკში აკაკი ელიავას ამჟამინდელმა გამოხდომამ, როგორც შემსრულებელთა, ისე დამკვეთთა იმედები ვერ გაამართლა და ჩაიფუშა. იგი იმ ჯაჭვის ერთი უხეირო რგოლი გამოდგა, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შორსგამიზნულ ამბიციურობაზე იყო დაფუძნებული და საერთაშორისო მასშტაბით ავტორიტეტის შელახვასთან ერთად ქვეყნად არეულ-დარეულობასაც ითვალისწინებდა, მაგრამ...

მათი იმედი, დუხჭირი ყოფით თავგაბეზრებული ხალხი მხარში დაგვიდგებაო, არ გამართლდა.

ალექსანდრე ბითაძე, პოლიტიკური უნივერსიტეტის სტუდენტი: – დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა თანდათან იშუშებს ჭრილობებს და ცხოვრებაც სიდუხჭირისა და წინააღმდეგობების მიუხედავად ნელა, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ კალაპოტში დგება, ჩვენ ახალგაზრდებს, არავითარი სურვილი არა გვაქვს დესტაბილიზაციის ნებისმიერ ახალ მცდელობას, ვინც უნდა იყოს მისი წამომწყები, მივემხროთ.

ჩვენთვის, მომავალი თაობისთვის, ახლა მთავარი უფრო დიდი მიზანი განათლებაა და მისი ხელიდან გაშვების უფლებას არავის არ მივცემთ.

ნელი ბაბუნია, ეკონომისტი, სოფელი ბანძა: სენაკში მიმდინარე მოვლენები სამარცხვინოა, და ვერ დავიჯერებ, რომ აკაკი ელიავას თავისი სამშობლო და ხალხი უყვარდეს, ან მისი კუთხე სამეგრელო, რომელიც ასე დასუსტებულია დღეს. მე პირადად ჩემს თავზე გამოვცადე ეს საშინელება, როცა მარტვილის რაიონის ცენტრი ასეთმა ავაზაკებმა 1992 წელს დაბომბეს და დღესაც ერთი ადმინისტრაციული შენობაც კი არა დგას. ჩვენ დავიღალეთ — სოციალურმა და ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ხალხი წელში გატეხა და ღამის წყვდიადში, როცა ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა მოსახლეობას და ამდენი სამხედრო ტექნიკა გაატარეს ჩვენს სახლებთან, იმ ხმაურში და გაურკვევლობაში ძალიან მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდით, ნუთუ ბოლო არ მოეღება ავაზაკების თარეშს?! ასეთი არეულობის დროს უბრალო გადაადგილების საშუალებაც კი არა გვაქვს, მე პირადად ავადმყოფი შვილი უნდა წამეყვანა საოპერაციოდ თბილისში და ეს ვერ მოვახერხე, რადგან გზები ჩაკეტილი იყო. მადლობა ღმერთს, ამ მხრივ დროულად გვეშველა.

კახა ბერიძე, სტუდენტი: – სენაკის მოვლენებმა აშკარად დაგვანახა, რომ ვიღაცას არ ეპრიანება ქვეყანაში არჩევნების მოწყობა, მე ჩვენს ხელისუფლებას ოპოზიციაში ვუდგავარ, მაგრამ არსებული ვითარების შეცვლა მხოლოდ კანონიერი გზით მიმაჩნია სწორად. იარაღით ხელისუფლების დამხობამ წარსულში უკვე დაგვანახა, რაც მოგვიტანა. დღეს კვლავ იგივეს იმეორებენ... პოლიტიკური საკითხების იარაღის საშუალებით გადაწყვეტა სრული უმეცრებაა და დანაშაულია...

ნიკო ბარამიძე, პენსიონერი: – რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ამბავია, მაგრამ, მეორე მხრივ, ხალხს ყელში ამოუვიდა ყველაფერი. თუკი პოლიციელებს, რომლებსაც თვეობით არ მიუღიათ ხელფასი, გამომძალველობას მისდევენ და უხელფასობა მაინცდამაინც არ აწუხებთ, თუკი ასევე იქცევიან მებაჟეები და გადასახადის ამკრეფნი, რაღა გასაკვირია, რომ 18-20 წლის ჭაბუკებს მესამე ძალისაგან შეგულიანებულმა ელიავამ აუბნიოს გზა-კვალი?

ვიცი, ახლა ძველ კომუნისტობას გამიხსენებენ, მაგრამ წითელ არმიაში დღეს ავადსახსენებელი კომისარი რომ იყო, მას თავისი დანიშნულება ჰქონდა. დღეს აღარ არსებობს აღარავითარი აგიტაცია-პროპაგანდა, ანდა თუ არსებობს, ისიც ანტისახელმწიფოებრივია. აი, სწორედ ამას უნდა დაუფიქრდეს ჩვენი ხელისუფლება და არ ჩაუგდოს გამოუცდელი, მშიერ-მწყურვალი ჭაბუკების მომავალი ხელში ვიღაც ვიგინდარებს.

ნინო ჭყონია, მუსიკოსი: – როცა სენაკის ამბები გავიგე, საქართველოში დატრიალებული ის უბედური დღეები გამახსენდა, სამოქალაქო ომმა რომ მოგვიტანა. არადა, დროულად რომ არ აღმოეფხვრათ ელიავას და მის მომხრეთა გაუაზრებელი ამბოხება, ისევ იმის მომსწრენი გავხდებოდით, რაც ერთხელ უკვე მწარედ ვიწვნიეთ. ასეთმა „პარტრიოტმა“-მეამბოხეებმა შეიძლება ქვეყანა დააქციონ.

გრიგოლ ერაძე, განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური ცენტრის გამგე: – რასაც სჩადიან, მიმართულია იქითკენ, რომ ახლოვდება არჩევნები, და ასეთი პროვოკაციული გამოხტომები ვიღაცეებს ეპრიანებათ. ამ არეულობაში ისევ სოციალურად დაუცველი და უმწეო ხალხი იჩაგრება.

საუბრები ჩაიწერეს
საინფორმაციო
სამსახურის
თანამშრომლებმა:
ლელა დონაძემ,
ნანა სულავამ,
თეიმურაზ
კინწურაშვილმა.

მწერლის გახსენება

ყველას თავის გურამ ასათიანი ჰყავს

„ზურამ, შენ სხვისი ტვირთის შესამსუბუქებლად მოხვედი ამქვეყნად... სულით ხორცამდე პოეტი იყავი და ერთი დღითაც არ გიცხოვრია უპოეზიოდ... მე დღეს პირველად გავიგე შენი დუმილი და ეს დუმილი დიდებულია და არა შემზარავი“ – ასე გამოეთხოვა უკანასკნელად არჩილ სულაკაური მწერალ გურამ ასათიანს. პიროვნებას, რომელიც ქართული სულისა და ხასიათის იშვიათი მკვლევარი, დახვეწილი და სრულყოფილი ანალიტიკოსი გახლდათ.

მოკრძალებული, ნატიფი, დამახასიათებელი ჟესტებითა და მიხრა-მოხრით, ახლობლებისთვის უსაყვარლეს მეგობარს ქართულ ლიტერატურაში განსხვავებული სააზროვნო მასშტაბები და სტილი გამოარჩევდა.

„მან, ... ზუსტი აქცენტებით აღბეჭდა ჩვენი ისტორიული სინამდვილიდან არეკლილი და ქართულ მხატვრულ ცნობიერებაში გარდასახული ურთიერთგამომრიცხავი თვისებები ეროვნული სულისა, რომელმაც ერთნაირი წარმატებით დასძლია ამაღლებაცა და დაცემაც, საამაყოცა და სამარცხვინოც“ – იტყვის გურამ ბენაშვილი საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანის“ მიერ გამოცემულ „უბის წიგნაკის“ შესავალში „მაესტრო“, რომელიც გურამ ასათიანის დაბადებიდან 70 წლისთავს მიეძღვნა და მწერლის ხსოვნის საღამოს დაურიგდა დამწრე საზოგადოებას, რომელთა უმრავლესობას მწერლის თაყვანისმცემლების გარდა ქართული კულტურის ღვაწლმოსილი მოღვაწენი წარმოადგენდნენ.

გურამ ასათიანის თაობა ექსტრემისტ მწერალთა თაობას არ ეკუთვნოდა, ისინი დისიდენტები გახლდნენ და სამშობლოს ბედს, ისევე როგორც საერთოდ სამყაროსას, თავისებური ფილოსოფიით აღიქვამდნენ. სწორედ ეს ჩანდა საარქივო მასალებიდან ამონარიდ მის ლიტერატურულ კომპოზიციაში, რომელიც დამსწრეთ მუზეუმის ლიტერატურულმა თეატრმა წარუდგინა. ეს ჩანდა მის გულთბილ მოგონებებშიც.

აღსანიშნავია ქალბატონ იზა ორჯონიკიძის დიდი ღვაწლიც, რასაც იგი უკვე მესამე წელიწადია ეწევა, რათა საქართველოს საზოგადოებრიობას ამ მყუდრო, „საოჯახო სცენიდან“ ლიტერატურის მუზეუმის სეიფებში უმკაცრესად დაცული საარქივო მასალები გააცნოს.

ასე იყო იმ დღესაც, როცა საინტერესო კომპოზიციის მეოხებით გურამ ასათიანის კალმით ნაწერი თაბახების სითბო და სიღრმე ვიგრძენით.

ლიტერატურის თეატრის ფოიეში გამოფინეს გურამ ასათიანის ხელნაწერები და ფოტოები საოჯახო ალბომებიდან.

ია კალანდარიშვილი.

მილოცვა
მზია მახარაძეს

გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ მშვიდ და ბედნიერ ცხოვრებას. მუდამ ასეთი მომღიმარი და ლამაზი ყოფილიყავი.

მეგობრები.

გასტროლები

ისევ სამშობლოში...

თბილისს ჩვენი ორი სასიქადულო თანამემამულე ეწვია – ამჟამად სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის პრიმა ბალერინა ირმა ნიორაძე და ლონდონის კოვენტ გარდენის სამეფო ბალეტის პრემიერი იგორ ზელენსკი. მათ სპექტაკლების გარდა პრესკონფერენციაც გამართეს.

როგორც ქალბატონმა ირმამ აღნიშნა, უკვე მესამე წელიწადია, რაც ის და იგორ ზელენსკი თბილისური გასტროლების ეგიდით საქველმოქმედო კონცერტებს მართავენ ბავშვთა ფონდის დასახმარებლად. ამ მისიის განხორციელებაში მათ ფინანსურად ხელს უმართავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ასკანელი ძმები“, რომელსაც ქალბატონ ირმას მეუღლე ზურაბ ჩხაიძე ხელმძღვანელობს.

საბალეტო ხელოვნებას ირმაც და იგორიც პირველად თბილისში ეზიარნენ. მათი პედაგოგები ამ დარგის კორიფეები – ვახტანგ ჭაბუკიანი და სერაფიმა ვეკუა იყვნენ.

ამ ხელოვანთა შემოქმედებითი ცხოვრება, როგორც თვითონვე აღნიშნეს, საკმაოდ რთული და შრომატევადია, მაგრამ იმავდროულად აღსავსეა ახალი აღმაფრენებით და მიღწევებით.

იგორ ზელენსკიმ დიდი გულისხმიერებითა და სიყვარულით გაიხსენა საქართველოში გატარებული ბავშვობის წლები და აღიშნა, რომ სიძნელეების მიუხედავად, მაინც შეძლებს ხოლმე მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლას, რათა თავისი ხელოვნებით ირმასთან ერთად სილამაზე და სიკეთე მიანიჭოს ქართველ მაყურებელს. ამჯერად მათ ჩაიკოვსკის „გედის ტბაში“ იცეკვეს, ხოლო სამომავლოდ კი ბალანჩინის რეპერტუარს გვპირდებიან.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში პირველმა სპექტაკლმა ანშლაგით ჩაიარა. ორკესტს თამაზ ჯაფარიძე დირიჟორობდა. ირმას და იგორს პარტნიორობა ირაკლი ბახტაძემ, ერიკ ბაბლიძემ, გიორგი ტაბატაძემ, ქეთევან მუხაშავრიამ და მაია ზურაშვილმა გაუწიეს.

დღეს მაყურებელი მეორედ შეხვდება მათ ისევ „გედის ტბაში“.

თამარ ელოშვილი.

განცხადება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმის – მანტიების შეკერვის თაობაზე, კონკურსში გამარჯვებული ესკიზის მიხედვით.

სატენდერო დოკუმენტების ღირებულებაა 18 ლარი.

საგარანტიო დეპოზიტის თანხა, რომელიც ტენდერის მონაწილეებს შეაქვთ ტენდერის მომწყობი ორგანიზაციის სპეციალურ სახაზინო ანგარიშზე, შეადგენს 800 ლარს.

სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა 1998 წლის 3 ნოემბრის 12 საათი.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი,
ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ოთახი 7,
ტელეფონი 920935, 920934, ფაქსი 982073.

გახსენება

გიგი პაპინაშვილი



„გიგი მოკლეს!..“ ზუსტად ერთი წლის წინათ მართლაც მეხივით გავარდა ეს განგაშიანი ფრაზა მთელ თბილისში.

იმ ტკივილიან დღეებში გიგი პაპინაშვილის უსათნოეს მშობლებთან სამძიმრის სათქმელად ისინიც კი მიდიოდნენ, ვინც შორიდან თუ იცნობდა მას.

გიგი უყვარდათ, სწამდათ, ეიმედებოდათ ყველგან – ოჯახში, ნაცნობ-მეგობრებში, პროკურატურაში, თეატრალებში, თანატოლებში. ამიტომაც უკვირდა მის სევდამწარებულ დედას, ქალბატონ ნათელას ის, თუ როდის მოასწრო მისმა მხოლოდშობილმა ვაჟმა ამდენი სიკეთისა და სიყვარულის დათესვა.

გიგი პაპინაშვილმა ბევრი ტკივილი და დარდი წაიყოლა მარადისობის გზაზე და სამაგიეროდ დიდი სიყვარული დაუტოვა ყველას. წელიწადი გასრულდა გიგის გარეშე, მაგრამ ხსოვნა იოტისოდენადაც არ გაფერმკრთალებულა. მის მშობლიურ კოლექტივში არც იმის სურვილი გაფერმკრთალებულა, რომ დროზე და ბოლომდე მიუზღონ მკვლელს საკადრისი.

ქალბატონმა ნათელამ შვილისადმი მიძღვნილ წიგნში გიგის სიტყვები დაბეჭდა ერთ მეგობარზე – „სული რენტგენის სხივებით რომ გაუშუქო, ხინჯის ნატამალს ვერ უპოვით“. თავად გიგიც ასეთი იყო, ასევე უხინჯოდ გაიარა მან მანძილი მიწიდან ზეცამდე. ამიტომ ასეთადაც დარჩება მისი ხსოვნა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა.

პრეზენტაცია

მართალი წიგნი დიდ მეცნიერზე

„ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები“, – ასე ჰქვია პროფესორ გიორგი ციციშვილის წიგნს, რომელიც შალვა ნუცუბიძის დაბადების 110-ე წლისთავს ეძღვნება. წიგნის სპონსორია სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა“.

თვალსაჩინო პოლიტიკური პიროვნების და დიდი მეცნიერის შალვა ნუცუბიძის ცხოვრებისეული პერიპეტიების მაგალითზე გაშუქებულია სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური ღონისძიებების სისტემა, რომელიც ემსახურებოდა რეჟიმისა და ოფიციალური იდეოლოგიისადმი დაუმორჩილებელი ეროვნული პატრიოტების ალტერნატიულ-ოპოზიციური სულისკვეთების დათრგუნვას და მათი ეროვნული ღვაწლის გაბიაბრუებას, – ნათქვამია წიგნის ანოტაციაში.

მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის ფუძემდებლის აკადემიკოს მ. ნუცუბიძის როლი ქართული კულტურისა და მეცნიერული აზრის ისტორიაში განსაკუთრებულია. იგი თამამად იხვეჭს საპატიო ადგილს მე-20 საუკუნის მსოფლიო ფილოსოფიური აზრის კორიფეების გვერდით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მე-20 საუკუნის უაღრესად რთულ, წინააღმდეგობრივ და სისასტიკით აღსავსე პერიოდში შალვა ნუცუბიძის პირადი ადამიანური ბედის შეუცნობლობა მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიზეზი გახდა. შალვა ნუცუბიძის მიმართ მიზნობრივი ცილისწამება, მისი ცხოვრებისეული აუხსნელი ვითარების გაუთვალისწინებლობის გამო, ზოგჯერ საფუძვლად ედებოდა გაურკვევლობასა და საწოთირო ბრალდებას. სათანადო დოკუმენტების ხელმიუწვდომლობამ და ისტორიის შესაბამისი პროცესების სიღრმისეული გააზრების სირთულეებმა, მათგან დამოუკიდებლად, მრავალი ახალი კითხვა და გაუგებრობა წარმოშვა.

პროფესორ გიორგი ციციშვილის აღნიშნული წიგნი სწორედ ამას აშუქებს. წიგნში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შალვა ნუცუბიძის პოლიტიკური ცხოვრების კონკრეტული საკითხების გარკვევას. აღსანიშნავია დიდი მეცნიერის პიროვნული ღირსებების წარმომჩენი დამატებითი ნიუანსები, ყურადღება გამახვილდა ახალ მომენტებზე. საინტერესოა შალვა ნუცუბიძის პოლიტიკური პორტრეტის გაშუქების მიზნით მის მიმართ წაყენებული ბრალეულობის გაანალიზების ავტორისეული თვალსაზრისი.

ავტორმა შალვა ნუცუბიძის მაგალითზე გააანალიზა საბჭოთა საქართველოში მიმდინარე ის პოლიტიკური პროცესი და მისი თანმხლები რეპრესიები, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა ქართველი ნაციონალისტების თუ „ფაშისტ-ჯაშუშების“ ბრალდებები, მონოგრაფიული ნარკვევით წარმოაჩინა სრული სიმართლე და ამით საბოლოოდ დაგვაკვალიანა იმ გზაზე, რომლითაც უნდა ვიაროთ ჩეკისტური დოკუმენტების გამოქვეყნებისას.

ამისათვის მოძიებულია ე. წ. „სუკის“ და საქართველოს სხვადასხვა არქივში ათეული წლების მანძილზე არსებული მასალები, 1990-1991 წლებში მოპოვებული დოკუმენტები, საქართველოს პრეზიდენტის არქივში შენახული მასალები და დოკუმენტები და სხვა.

სუკის არქივის მასალებს შორის ავტორმა განსაკუთრებული ყურადღების ობიექტებად შალვა ნუცუბიძის სისხლის სამართლის საქმეები აქცია, მათი საერთო მოცულობა ათას გვერდს აღემატება.



გიორგი ციციშვილი
ჩეკისტური
ბრალდებები
შალვა ნუცუბიძის მიმართ და
მათი დოკუმენტურ-
ანალიტიკური კომენტარები

– აღნიშნული საქმეები ისეა გაფორმებული, – წერს ავტორი, – რომ მთლიანად ადასტურებს მისი შემქმნელი ჩეკისტების მონაპოვრების „სიმართლეს“. მაგრამ კრიტიკული დამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ დოკუმენტაციის შინაგანი წინააღმდეგობები. ამ საქმეებთან დაკავშირებულ სხვა საარქივო მასალებსა და პუბლიკაციებში მოცემული წყაროებით კიდევ უფრო გვიღრმავდება ეჭვები ჩეკისტური დოკუმენტაციისადმი, ხოლო პრობლემების გარშემო დაგროვილი საერთო ცოდნით წარმართული ჩეკისტური დოკუმენტაციის ანალიზი, კონკრეტულ-ისტორიული კვლევა სრულყოფილად ააშკარავებს, რომ მთელი ეს საქმეები სხვა არა არის რა, თუ არა მიზნობრივ-სახელმწიფოებრივად და ჩეკისტურ-ფალსიფიცირებულად შედგენილი დოკუმენტების კრებული, მასში მართალია შალვა ნუცუბიძის და სხვათა ეროვნული პატრიოტიზმი, ხოლო ჩეკისტურად ნამართავია რადიკალური „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“, ფაშიზმი და გერმანიის სასარგებლო ჯაშუშობა, – აღნიშნავს ავტორი.

საინტერესო დამატებითი ინფორმაციის მოწოდებისათვის ავტორი მადლობას უხდის ქალბატონ ქეთევან და თამარ ნუცუბიძეებს, მარიამ ლორთქიფანიძეს, სერგო ჯორბენაძეს, გივი ჟორდანიას, ნოდარ ლომოურს, სოკრატ ხურცილავას, ბიძინა ლუტიძეს, გიზი ფამალიშვილს, ლევი კაციტაძეს, ვახტანგ ქარუმიძეს, დურმიშხან ცინცაძეს, ომარ გოგიაშვილს, ალეკო ასლანიშვილს, აკაკი თოფურიას და სამსონ ჩაგუნავას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი დიდი მეცნიერისა და პედაგოგის შალვა ნუცუბიძის ყველა პატივისმცემლისათვის სამაგიდო წიგნია. მას უნდა იცნობდეს ჩვენი ახალგაზრდობა, რათა წინაპართა ტრადიციებზე, სამშობლოსათვის მათი თავდადებული ბრძოლის მაგალითებზე აღიზარდოს.

სწორედ ამაზე გაამახვილეს ყურადღება ამას წინათ წიგნის მოყვარულთა საზოგადოებაში, სადაც აღნიშნული წიგნის პრეზენტაცია მოეწყო.

პრეზენტაციაზე გამოვიდნენ მარიამ ლორთქიფანიძე, ედუარდ კოდუა, კოტე ანთაძე, გივი ჟორდანია, ლია ნადარეიშვილი და სხვები. აღინიშნა, რომ პროფ. გ. ციციშვილმა, პროფესიონალ ისტორიკოსებს შორის პირველმა ქართულ ოფიციალურ პრესაში ჯერ კიდევ 1989 წლის თებერვლიდან წამოიწყო (გაზეთი „სახალხო განათლება“) პუბლიკაციების მთელი სერია, რომელშიც ჭეშმარიტად ახსნა საქართველოს უახლესი (20-30-იანი წლების) ისტორიის პრობლემები და საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური პროცესები (პოლიტიკური რეპრესიები) ობიექტურად გააშუქა (იხ. მისი „დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები“).

ითქვა, რომ პროფ. გ. ციციშვილმა ხანგრძლივი ისტორიული კვლევისა და არქივების (სუკის არქივის) უნიკალური დოკუმენტების გამოყენებით შეძლო შეექმნა ისტორიული პირველწყაროების ფუნდამენტური საფუძველი, რომელზეც დააფუძნა დიდი მეცნიერისა და გამოჩენილი მამულიშვილის აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის უაღრესად რთულად ასახსნელი ცხოვრებისეული პერიპეტიების მართებულად წარმოჩენა. პროფ. გ. ციციშვილის აღნიშნული წიგნი არის იშვიათი, უაღრესად ჩინებული მეცნიერული ნაშრომი, რომელმაც მეცნიერ-სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ამ წიგნით იწყება შალვა ნუცუბიძის რთული და გამიზნულად გაყალბებული ბიოგრაფიის მეცნიერული გაშუქება და შალვა ნუცუბიძის ფაქტობრივი აღორძინება.

პრეზენტაციაზე თსუ ახალი ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა კოტე ანთაძემ აღნიშნა, რომ კათედრის გადაწყვეტილებაა წიგნი უნივერსიტეტის ან ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემიაზე წარადგინონ.

მზია გელენავა.

ხსოვნა

ელენე დოლიძე

ჩვენო საყვარელო ელიკო!

შენი ავადმყოფობის დროს თითოეული ჩვენგანი თავისებურად გემშვიდობებოდა. ზოგი ამ უბედურებას ემოციურად გამოხატავდა. ზოგი გულდამძიმებულნი, დარდიანი ვბრუნდებოდით სახლში, ვინაიდან ვიცოდით, ასეთი მძიმე მდგომარეობიდან მხოლოდ სასწაულს შეეძლო შენი გადარჩენა, მაგრამ სასწაული არ მოხდა. და აი, ახლა ვდგავართ შენს კუბოსთან თვალცრემლიანნი, გაერთიანებული საერთო დარდით. არც გვიკვირს, რაც დაგემართა; შენ ხომ შენი საყვარელი, ნიჭიერი, ულამაზესი შვილიშვილის რატის გარეშე არ შეგეძლო სიცოცხლე. მისი უდროოდ, ტრაგიკულად წასვლამ ამ ქვეყნიდან გადაგიყოლა კიდეც. ბოლო დღეებში, როცა მეტყველების უნარი დაჰკარგე, მხოლოდ მას ელაპარაკებოდი ჩუმად, თვალცრემლიანი, ჰპირდებოდი – მალე მოვალო. აკი აუსრულე კიდეც. ბევრი კარგი პიროვნული თვისება გქონდა, მაგრამ ყველაზე ძლიერი შენი განსაკუთრებული სიყვარული იყო მეგობრისა – ერთგული, უღალატო სიყვარული. ამიტომაც მიგყვება ამდენი ცრემლი უკანასკნელ გზაზე. მსუბუქი იყოს შენთვის საქართველოს მიწა, ჩვენი განუმეორებელო მეგობარო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

მეგობრები.



სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 17 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი

პაატა ზურაბის ძე ლაკერბაია.

სამსახურის პირადი შემადგენლობა იზიარებს გარდაცვლილის ოჯახის მწუხარებას და თანაგრძნობას უცხადებს მათ ამ მძიმე განსაცდელის ჟამს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელმა შპს „პრესამ“ ცალკე წიგნად გამოსცა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“
„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

დაინტერესებულ გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს წიგნის დიდი რაოდენობით ან უშუალოდ გამომცემლისგან შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.

მისამართი: მ. კოსტავას 14, მე-4 სართული,
ტელ: 93-26-99.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ ბოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“, რკინიგზის ჩიხი 20.